გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
ხუთშაბათი, 8 სექტემბერი, 2005 წელი.
№211 (5244)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბუნებრივი სიცოცხლეა, ცრუ იდეებით და კოტრებით ბუნების გაცვანა ყველა უკაცრისობაზე უსამაგლოესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

## კრიმინალური შემთხვევა თუ პოლიტიკური ანგარიშსწორება?



**გუშინ, ღამის 4 საათზე, ჯერჯერობით დაუდგენელი პირები თავს დაესხნენ მწერალ ირაკლი კაკაბაძეს და სცემეს. მას დაზიანებები თავის არეში აქვს მიყენებული.**

გამოითქმის ათასგვარი მოსაზრება, პროტესტი, რასაც განსაკუთრებით ამძაფრებს ის ფაქტი, რომ ირაკლი კაკაბაძე შალვა რამიშვილის დაკავების შემდეგ ტელეკომპანია „202“-ში საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობდა. მას გადაცემა „დებატები“ მიჰყავდა.

დაზარალებულმა გუშინ უარი თქვა პროკურატურის მუშაკთან საუბარზე. მისი თქმით, თავდასხმა მოხდა ქუჩაში, თუმცა დეტალებს ვერ იხსენებს. მან არ დაადასტურა გავრცელებული ინფორმაცია, რომ ის მისმა პროდიუსერმა ზაალ ბაიდაშვილმა სცემა. საზოგადოების ერთი ნაწილი, მომხდარს ხელისუფლების მხრიდან დაკვეთად აფასებს.

– ფაქტია, რომ ძალადობა, შიში, ტერორი, ხელისუფლების მმართველობის ერთ-ერთი ატრიბუტი გახდა, – ასე აფასებს კაკაბაძეზე თავდასხმის ფაქტს პოეტი რატი ამაღლობელი.

იხ. მე-2 გვ.



## პრეზიდენტი განძის სკოლაში გაკვეთილს დაესწრო

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ ნინოწმინდის რაიონის სოფელ განძას ეწვია. მან დაათვალიერა განძის ვაჰან ტერიანის სახელობის სომხური საშუალო სკოლა, რომელიც გუშინ სამცხე-ჯავახეთში პრეზიდენტის რწმუნებულმა გოგა ხაჩიძემ და გამგებელმა საზეიმოდ გახსნეს.**

პრეზიდენტმა სააკაშვილმა სკოლა დაათვალიერა და გაკვეთილსაც დაესწრო.

შემდეგ პრეზიდენტმა მოსახლეობას სიტყვით მიმართა. მისი განცხადებით, უახლოეს მომავალში ჯავახეთის მოსახლეობას ყველანაირი პირობა შეექმნება, რათა ეკონომიკური მდგომარეობა გამოსწორდეს. მისივე თქმით, ძალიან მალე მოგვარდება რეგიონში გზების პრობლემა და მოსახლეობას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის გაყიდვის პრობლემა არ ექნება.

ნინოწმინდასა და ახალციხეში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემსყიდველი პუნქტები. პრეზიდენტი სააკაშვილი მოსახლეობას დაპირდა, რომ მათი პროდუქტი იმ ფასში იქნება ჩაბარებული, რა ფასსაც მოსახლეობა მოითხოვს.

განძის ვაჰან ტერიანის სახელობის სომხური საშუალო სკოლა უშუალოდ პრეზიდენტის ინიციატივით ოთხ თვეში აშენდა.

## მატარებელი მიდის, მაგრამ არა იქით, საითაც უნდა წავიდეს...



ამბობს დავით ზურაბიშვილი

იხ. მე-3 გვ.

## ⊙ ინფორმაცია

### ერთობლივი გეგმით

საპარლამენტო ოპოზიცია საშემოდგომო სესიისთვის მუშაობის ერთობლივ გეგმას ამუშავებს.

ამ საკითხთან დაკავშირებით გუშინ საპარლამენტო ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის“ ოთახში რესპუბლიკელების, კონსერვატორებისა და მემარჯვენეების წარმომადგენლებმა კონსულტაციები გამართეს.

კონსერვატორების მხრიდან შეხვედრას დეპუტატები ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა ესწრებოდნენ, რესპუბლიკელებიდან – პარტიის ლიდერი დავით უსუფაშვილი და პარლამენტარი ლევან ბერძენიშვილი. შეხვედრაზე მემარჯვენეებს დავით გამყრელიძე და ფიქრია ჩიხრაძე წარმოადგენდნენ. შეხვედრა დახურულ რეჟიმში მიმდინარეობდა.

### მოეწყობა თუ არა რეფერენდუმი?

საზოგადოებრივი მოძრაობა „სახალხო ფორუმი“ მერებისა და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით ცენტრალურ საარჩევნო კომისიას განმეორებით მიმართავს.

საინიციატივო ჯგუფი ცესკოში განცხადებას იმ შენიშვნების გათვალისწინებით შეიტანს, რის საფუძველზეც კომისიამ მათ რეფერენდუმის ჩატარების მიზნით ხელმოწერების შეგროვებაზე უარი 2005 წლის ივლისში, ერთხელ უკვე უთხრა.



როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა აკაკი ასათიანმა განაცხადა, მერებისა და გამგებლების არჩევითობის აუცილებლობა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლესთან დაკავშირებით ბოლო დღეების განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა.

ასათიანის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ ცესკო არც ახალ განცხადებას დააკმაყოფილებს, ისინი კომისიის გადაწყვეტილებას სასამართლოში გაასაჩივრებენ. პარალელურად, „სახალხო ფორუმი“ ამავე საკითხზე პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივით შესვლის მიზნით ხელმოწერების შეგროვებას დაიწყებს. საამისოდ 30 ათასი მოქალაქის ხელმოწერაა საჭირო. თუმცა, ასათიანი ირწმუნება, რომ „სახალხო ფორუმს“ 300 ათასი ხელმოწერის შეგროვებაც კი შეუძლია.

ოპოზიციური პარტიების მიერ შექმნილმა საინიციატივო ჯგუფმა რეფერენდუმის ჩატარებასთან დაკავშირებით საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას პირველად 2005 წლის ივნისში მიმართა. ცესკომ ეს განცხადება არ დააკმაყოფილა. კომისიამ უარის თქმის მიზეზად ის ფაქტი დაასახელა, რომ სარეფერენდუმო შეკითხვა არასწორი ფორმულირებით იყო ჩამოყალიბებული და განცხადებაში საინიციატივო ჯგუფის წევრთა მისამართები და სიები არ იყო დაზუსტებული.

ამჯერად ცესკოში განაცხადი მხოლოდ „სახალხო ფორუმის“ ინიციატივით შევა. კომისიამ სარეფერენდუმო საკითხზე გადაწყვეტილება განცხადების შეტანიდან ერთი თვის ვადაში უნდა მიიღოს.

### თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი იზრდება

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 6 მილიონ 400 ათასი ლარით იზრდება. ამის შესახებ მთავრობის ინიციატივა გუშინ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა პირველი მოსმენით განიხილა და მოიწონა.

მთლიანობაში 2005 წელს თადაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 368 მილიონ ლარს შეადგენს. ბიუჯეტი გაეზრდებათ ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს და საზღვრის დაცვის დეპარტამენტს, რომელთაც პრეზიდენტის ინიციატივით 1 მილიონი ლარი დაემატათ.

აღნიშნულ ცვლილებებს პარლამენტი სავარაუდოდ მომავალ სასესიო კვირაში დაამტკიცებს.

ინტერპრესნიუსი

## ⊙ პანორამა

**32 წლის** მონიკა ლევინსკი აპირებს სწავლას ლონდონის ეკონომიკის სკოლის სოციალური ფსიქოლოგიის კურსებზე. ამის შესახებ ლევინსკი წერდა ლონდონის ერთ-ერთ გაზეთში, თუმცა, არანაირი კომენტარი ამ ინფორმაციისთვის არ გაუკეთებია. აღსანიშნავია, რომ იმ ქვეყნების მოქალაქეებისთვის, რომლებიც არ შედიან ევროკავშირში, კურსებზე სწავლა წელიწადში 12 ათასი გირვანქა სტერლინგი ჯდება.

* * *

**უკრაინის** პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ სახელმწიფო მდივნად დანიშნა ვიცე-პრემიერი ოლეგ რიბაჩუკი. მან ამ თანამდებობაზე შეცვალა ალექსანდრე ზინჩენკო, რომელმაც უარი განაცხადა მუშაობაზე იმის გამო, რომ უშიშროების საბჭოს მდივანი პეტრე პოროშენკო, სახელმწიფოს მეთაურის პირველი თანაშემწე ალექსანდრე ტრეტიაკოვი და პარლამენტში პრეზიდენტის მხარდამჭერი ფრაქციის ხელმძღვანელი ნიკოლოზ მარტინენკო „მონაწილეობდნენ კორუფციაში და ამეტებდნენ დაკისრებულ უფლებამოსილებას“.



* * *

**თურმე,** თამბაქოს წევა იწვევს თვალის დაავადების გარკვეულ ფორმას, რომელსაც ეწოდება „ყვითელი ლაქის ასაკობრივი დისტროფია“. თამბაქოს წევა ანადგურებს უჯრედებს თვალის ბადურის არეში, ამავე დროს, თამბაქოს მწეველი საკვებიდან ვეღარ ითვისებს ყუათიან ნივთიერებებს, რომლებიც აუცილებელია კარგი მხედველობის შენარჩუნებისთვის.

* * *

**ისრაელის** თავდაცვის მინისტრმა შაულ მოფაზმა განაცხადა, რომ ისრაელის არმია ღაზის სექტორს მთლიანად დატოვებს 12 სექტემბრისთვის. ისრაელის ხელისუფლებამ პალესტინის მხარეს შესთავაზა, რომ კონტროლი დაუწესოს მდინარე იორდანის დასავლეთი ნაპირის ჩრდილოეთ ნაწილს, საიდანაც გაიტანეს ებრაელთა 4 დასახლება. მანამდე ვარაუდობდნენ, რომ ეს ტერიტორია ისრაელის არმიის კონტროლის ქვეშ დარჩებოდა.

## ნინო ანანიაშვილი:



## ავდგები და სულ წავალ აქედან!

იხ. მე-2 გვ.



## შენებაშია გაშვენება...

იხ. მე-6 გვ.

⊙ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## თბილისი ცხინვალს კონფლიქტის ზონაში მეწარმეობის მხარდამჭერის პროგრამას სთავაზობს

იხ. მე-2 გვ.

## ვითომ „კატრინას“



## ბრალია ჩვენში ბენზინის გაძვირება?

იხ. მე-2 გვ.



## მართლა პირველი [illegible] პარლამენტარი?

იხ. მე-3 გვ.

**გუშინ** თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მორიგი ტურის მატჩი:

**საქართველო – მაკედონია**
73:60



დღის თემა

# კრიმინალური შემთხვევა თუ პოლიტიკური ანგარიშსწორება?



(პირველი გვერდიდან)

რესპუბლიკური პარტიის ლიდერის დავით უსუფაშვილის განცხადებით, ეს თავდასხმა ხელისუფლების მხრიდან საზოგადოებისა და მედიის დაშინების ცდაა. ოპოზიცია აუცილებლად მიიღებს ზომებს, რათა ასეთი ფაქტები არ მიფუჩეჩდეს. რესპუბლიკური პარტია ჟურნალისტებს და საზოგადოებას მიმართავს, ხელისუფლების ამგვარ ქმედებებთან დაკავშირებით მტკიცე პოზიცია გამოიჩინონ. უსუფაშვილის თქმით, ირაკლი კაკაბაძეს სერიოზული შეფასებები და მოსაზრებები ჰქონდა „ხელისუფლების მიერ განხორციელებულ პრივატიზაციასთან დაკავშირებით. იგი საუბრობდა გარკვეულ ინტერესჯგუფებზე“, გამოირჩეოდა პირდაპირობით და „202“-ის ღამის ეთერის დებატებში მისი მონაწილეობა, როგორც ჩანს, ვიღაცისთვის უკვე მიუღებელი აღმოჩნდა.

ახალი მემარჯვენეები ამ თავდასხმასთან დაკავშირებით საერთაშორისო ორგანიზაციების ინფორმირებას აპირებენ. „ეს არის მიზანდასახული სადამსჯელო ღონისძიება, რომელიც ხელისუფლებამ განახორციელა, ხელისუფლება იმ ადამიანთა ტერორზეა გადასული, ვინც განსხვავებულ აზრს გამოთქვამს და ობიექტურად აფასებს მათ ქმედებებს“, — აღნიშნა დავით გამყრელიძემ.

— დღეს პირველად შემეშინდა როგორც ჟურნალისტს, დედასა და მოქალაქეს, — აცხადებს ცნობილი ტელეწამყვანი ინგა გრიგოლია. — ამდენი დამთხვევა და ჟურნალისტების წინააღმდეგ წამოწყებული კამპანია სრულ უფლებას მაძლევს ვივარაუდო, რომ ჟურნალისტების წინააღმდეგ ხელისუფლებამ ღია ტერორი წამოიწყო.



მძაფრ პროტესტს გამოთქვამს კონსერვატიული პარტია და დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას მოითხოვს. ამასთან, შინაგან საქმეთა მინისტრს გადადგომისკენ მოუწოდებს.

ვანო მერაბიშვილმა კი კომენტარებისგან თავი შეიკავა და მხოლოდ ის განაცხადა, ამ ფაქტის შესახებ მხოლოდ მთავრობის სხდომაზე შევიტყვეო.

მომხდარ ფაქტზე ნინოწმინდის სოფელ განძაში სკოლის გახსნის ზეიმზე ყოფნისას კომენტარი გააკეთა საქართველოს პრეზიდენტმა. მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ირაკლი კაკაბაძის ცემა შესაძლოა პროვოკაცია იყოს. თუ ეს ასეა, გამოძიებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს პროვოკატორთა გამოსავლენად და ისინი უმკაცრესად დასაჯოს. ჟურნალისტებზე ძალადობის ფაქტებს ქართული სახელმწიფო არ დაუშვებს. პრესის თავისუფლება ის არის, რითაც მე ყველაზე მეტად ვამაყობო.

როგორც გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე პრეზიდენტის პრეს-სპიკერმა გელა ჩარკვიანმა განაცხადა, საქართველოს პრეზიდენტმა უშუალოდ დაავალა შს მინისტრს, რომ ეს ფაქტი უახლოეს მომავალში გამოიძიონ და დამნაშავენი დაადგინონ.

გამოძიება დაიწყო.

**სანდრო ალექსიძე**

მთავრობა

# ვითომ „კატრინას“ ბრალია ჩვენში ბენზინის გაძვირება?

**მთავრობის გუშინდელი სხდომა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა დამაიმედებელი განცხადებით დაიწყო. მისი თქმით, ქარიშხალმა „კატრინამ“ კვალი საქართველოს ეკონომიკასაც დაატყო, რადგან ნავთობპროდუქტების ფასები საგრძნობლად გაიზარდა. „მაგრამ, საბედნიეროდ, უკვე დაიწყო ფასების სტაბილიზაცია და ძირითადი მიმართულებებით კლება. ასე რომ, ვფიქრობ, ნორმალურ ვითარებას ვუბრუნდებით“, — დასძინა ნოღაიდელმა.**



პრემიერ-მინისტრმა მადლობა გადაუხადა ეკონომიკური განვითარების მინისტრს ირაკლი ჩოგოვაძეს და მის გუნდს: საქართველოს მთავრობასა და თურქულ კონსორციუმს შორის უკვე დაიდო ახალი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც თბილისისა და ბათუმის აეროპორტებს თურქული კომპანიები „ტავი“ და „ურბანი“ ააშენებენ. ნოღაიდელის თქმით, ის 95-მილიონდოლარიანი ინვესტიცია, რომელსაც ხსენებული თურქული კომპანიები აეროპორტების მშენებლობაში ჩადებენ, საქართველოში ბევრ დარგს განავითარებს.

„ეს არის ძალიან დიდი ნდობა საქართველოს ეკონომიკის აღორძინებისთვის“, — თქვა ირაკლი ჩოგოვაძემ მთავრობის სხდომაზე.

სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ კიდევ ერთხელ წარადგინა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც ზედმეტი მარეგულირებელი კომისიები უნდა გაუქმდეს და ექვსის ნაცვლად ორი დარჩეს. ბენდუქიძის თქმით, არც მთავრობა და არც პარლამენტი ამ ინიციატივას არ ეწინააღმდეგებიან.

სახელმწიფო მინისტრი კანონპროექტის პარლამენტში გატანას გეგმავს. მისი აზრით, მხოლოდ ერთ საკითხზე არის აზრთა სხვადასხვაობა, — მათ ფული ბიუჯეტში შეიტანონ, თუ თვითონ დახარჯონ.

„კამათობენ მხოლოდ იმაზე, მარეგულირებელი კომისიები თვითონ შეაგროვებენ და დახარჯავენ ფულს, როგორც უნდათ, თუ ეს იქნება გამჭვირვალე პროცესი და ჩვეულებისამებრ ჩაირთვება ბიუჯეტის კონტროლის ყველა მექანიზმი“, — ამბობს ბენდუქიძე.

სახელმწიფო მინისტრის ამ პროექტს იუსტიციის მინისტრი კოტე კემულარია ნაჩქარევად მომზადებულს უწოდებს. მისი თქმით, მართებული არ არის დამოუკიდებელი მარეგულირებელის ჩვეულებრივ უწყებად გადაქცევა, სამინისტროს მსგავსი კიდევ ერთი უწყების შექმნა, მისი ბიუჯეტიდან დაფინანსება და კონტროლის პალატის მიერ შემოწმება.

მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ კოტე კემულარიამ განაცხადა, ამ საკითხზე საქართველოს პარლამენტი და მთავრობა კიდევ ერთხელ იმსჯელებენო.

**თამარ შაიშმელაშვილი**

საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

# რაში ვერ დაეწევა კაციტაძე გოგორიშვილს?

**რაკი მემარჯვენეების თქმით, დავით გამყრელიძეს წყლის სანაყავად არ ეცალა, იმთავითვე გადაწყვიტა, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის მიწვევა არ მიეღო. მის პრესკონფერენციას ჯერ პარლამენტის ვიცე-სპიკერის წყობიდან გამოსვლა, შემდეგ კი ბიუროს გადაწყვეტილება მოჰყვა, რომლის თანახმადაც, საკითხი საპროცედურო საკითხთა კომიტეტს უნდა შეესწავლა. შეგახსენებთ, რომ საქმე ბექაურ-რამიშვილის სკანდალთან დაკავშირებით მიხეილ მაჭავარიანის სახელის გაჟღერებას ეხება.**

ხათუნა გოგორიშვილმა კომიტეტის სხდომის დაწყებამდეც იცოდა, გამყრელიძე რომ არ მივიდოდა და მემარჯვენეებს იმავე კომიტეტის წევრი მამუკა კაციტაძე რომ წარმოადგენდა. ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიცია“ საკითხში გასარკვევად დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას მოითხოვდა, საპროცედურო საკითხთა კომიტეტის მიერ განხილვას კი ეწინააღმდეგებოდა. კაციტაძის თქმით, ეს ყველაფერი კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებს სცილდებოდა და სასაცილო ხდებოდა. ამასთან, მემარჯვენეები უნდობლობას უცხადებდნენ საპროცედურო საკითხთა კომიტეტს, მელიისა და მისი კუდის ანდაზას იხსენებდნენ. — რას იზამთ, ერთი მხრივ, მე და მიხეილ მაჭავარიანი მეგობრები ვართ, მეორე მხრივ, მე საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე ვარ, — ჩაიღიმა ქალბატონმა ხათუნა გოგორიშვილმა. რა ვქნათ, ასეთ ქვეყანაში ვცხოვრობთო, — არც კახა კუკავამ დაიშურა ირონიული ტონი. გოგორიშვილმა ისიც აღნიშნა, მეგობრობის მიუხედავად „მელიის კუდობას“ რომ არ აპირებდა. და მაინც, მამუკა კაციტაძემ მოითხოვა, კომიტეტს დრო არ დაეკარგა ამ უშედეგო განხილვაზე. სხვა შემთხვევაში ის სხდომის დატოვებას აპირებდა მანამ, სანამ სხვა საკითხებზე არ გადავიდოდნენ. ხათუნა გოგორიშვილმა მისი გადაწყვეტილება არ მოიწონა — იქნებ რას ვაპირებთ, დაგველოდეთო. კაციტაძეც დარჩა და კომიტეტის თავმჯდომარისგან მოისმინა წინადადება სამკაციანი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. რაკი, გოგორიშვილის თქმით, მისი კომიტეტი პატარაა და ორი ოპოზიციონერის, კაციტაძისა და კუკავას, მეტი არ ჰყავთ, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში ორივე შევა, მესამე კი ფრაქცია „მაჟორიტარების“ წევრი ფრიდონ რუხაია იქნება.

— ჩვენი ფრაქციიდან ჯგუფის მუშაობაში არავინ მიიღებს მონაწილეობას, — თქვა ხათუნა გოგორიშვილმა. — ბრმად გენდობით. ნახეთ, გამოიძიეთ, მოგვახსენეთ.



კაციტაძის რეაქცია ისეთი არ ყოფილა, როგორსაც, ალბათ, ელოდნენ საპარლამენტო უმრავლესობის წევრები. მოთმინებით გისმენდით, მაგრამ ვერ გამაოცეთო, — ასე დაიწყო თავისი საპასუხო გამოსვლა მამუკა კაციტაძემ. ცოტა სიტყვიერი წაკენწვლის შემდეგ ბატონმა მამუკამ განაცხადა, რომ მისი თანაფრაქციელები ამ საკითხს პლენარულ სხდომაზე დააყენებენ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საგამოძიებო კომისია არ შეიქმნება, მემარჯვენეები ხელიდან არ გაუშვებენ სამუშაო ჯგუფის შექმნის შანსს. კახა კუკავამ აღნიშნა, რომ საგამოძიებო კომისიისგან განსხვავებით, სამუშაო ჯგუფს შეზღუდული უფლებები აქვს და ბევრი პრობლემა შეექმნება. კომიტეტის თავმჯდომარემ ჯგუფს ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების მოგვარება აღუთქვა.

დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის იდეით დიდად არ მოხიბლულა გიგი წერეთელი:

— არ შეიძლება, პარლამენტი პროკურატურას ჩაენაცვლოს. თავად კაციტაძე ამბობს, ჭორები არსებობსო. მითქმა-მოთქმის გამო როდის შექმნილა საგამოძიებო კომისია? ამიტომ ვფიქრობ, რომ სამუშაო ჯგუფის შექმნა სწორი წინადადებაა.

„მემარჯვენე ოპოზიციის“ წარმომადგენელს განსახილველი საკითხი უმნიშვნელოდ სულაც არ ეჩვენებოდა. სამუშაო ჯგუფის შექმნის იდეით უკმაყოფილომ განაცხადა, ჩემს კანდიდატურას აცილებას ვაძლევო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. გოგორიშვილი შეუვალი იყო:

— თქვენ იქნებით სამუშაო ჯგუფის წევრი! კომიტეტის წევრი ვალდებულია, დავალება შეასრულოს, ხოლო თუ უარს იტყვით, ცხადი გახდება, რომ მხოლოდ ჭორები გაინტერესებთ და არა — სიმართლე.

რადგან ქალბატონმა ხათუნამ მამუკა კაციტაძეს რამდენჯერმე შეაწყვეტინა სიტყვა, ერთხელ მასაც არ დაამთავრებინა სათქმელი ბატონმა მამუკამ — მართალია, შეწყვეტინებაში ვერ დაგეწევით, მაგრამ მაინც უნდა გაგაწყვეტინოთო. ვერც შეწყვეტინებაში დამეწევით, ვერც — სხვა რამეშიო, — თავი მოიწონა ქალბატონმა ხათუნამ. მამუკა კაციტაძის პროტესტის მიუხედავად, სამუშაო ჯგუფის შექმნის საკითხს კენჭი უყარეს. კაციტაძემ და კუკავამ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს. 11 ხმა არც ერთის წინააღმდეგ — კომიტეტმა გადაწყვეტილება მიიღო.

— არაფერი გესმით, წინააღმდეგ მიგეცათ ხმა, სათქმელად ხომ არ მექნებოდა, ერთხმად გავიდა-მეთქი, — კვლავ ღიმილი მოიშველია ხათუნა გოგორიშვილმა.

სავარაუდოდ, უმრავლესობა მხარს არ დაუჭერს დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას და „მემარჯვენე ოპოზიციას“ მოუწევს, სამუშაო ჯგუფით დაკმაყოფილდეს.

**რუსუდან გახარია**

სიტუაცია

# ნინო ანანიაშვილი: ავდგები და სულ წავალ აქედან!

**სკანდალი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის თემაზე, ეტყობა, კარგა ხანს არ დაცხრება. გიგი უგულავას გადაწყვეტილებამ ააღელვა თბილისის ინტელიგენცია, ააღელვა ოპერისა და ბალეტის თეატრი.**

— ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ იმ შეურაცხმყოფელი სიტყვების გამო, რასაც ქალბატონ ნინო ანანიაშვილის მისამართით ვისმენთ, — მეუბნება საოპერო თეატრში მისულს ბალეტის მსახიობი აბესალომ გოგუა, — რატომ დავკარგეთ ასე ზომიერება? რატომ ვერ ვუკვირდებით, რას ვლაპარაკობთ?..

აბესალომ გოგუას დავცილდი და მშვენიერი მდივანი გოგონას დახმარებით ნინო ანანიაშვილის კაბინეტში აღმოვჩნდი, რათა ამ სკანდალის გამო, ჩვენი გაზეთისთვისაც ეთქვა ერთი-ორი სიტყვა საქვეყნოდ ცნობილ პრიმა-ბალერინას.

***— მე მერჩივნა, ქალბატონო ნინო, გვესაუბრა შარშანდელი სეზონის წარმატებებზე, სამომავლო გეგმებზე, მაგრამ ამ „ცხელ თემას“ გაზეთი გვერდს ვერ აუვლიდა და, იმედია, რამდენიმე კითხვაზე გვიპასუხებთ. მაგალითად, რამ გააღიზიანა ჩვენი საზოგადოება ასერიგად?..***

— ცხოვრებამ... ახლა მე ავდგე და ავყვე მაგათ?.. მე მშობლიურ თბილისში ჩამოვედი ჩემი პროგრამით. ვარ საბალეტო სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელი და მაქვს ჩემი ვალდებულება, რომ გავაკეთო ის, რისთვისაც ჩამოვედი... ცხადია, ხელისუფლების მხარდაჭერით, რომელიც ყველაფერში (და, რა თქმა უნდა, საგანმანათლებლო სფეროშიც) ატარებს რეფორმებს...

***— რატომ დაუკავშირდა თქვენი სახელი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლიდან აღსაზრდელთა გამოსახლებას?***

— ამ გამოსახლების შესახებ კარგა ხანია ისმის... მე შემომთავაზეს საბალეტო სტუდიის იქ გადაყვანა...

***— მერედა გეთქვათ იმ წუთას უარი... თქვენ ვერ გაითვალისწინეთ, რა აურზაურს გამოიწვევდა თბილისში ამ უზარმაზარი ტრადიციების მქონე სასახლის „ხელყოფა“?***

— ვინ მაცალა!.. მე უამრავი საქმე მაქვს, ხოლო, როდესაც ბევრი უკადრისი რამ იკადრეს ჩემი მისამართით, გამოვედი ტელევიზიით, მაგრამ ეს ინტერვიუ ამოჭრილი და დამახინჯებული იყო... ახლა რა ვქნა, პოლემიკაში ჩავერთო?..

***— ჰოდა, რომ არ ჩაერთეთ, ქალაქში ათასი ჭორი აგორდა. ასეთიც კი: ნახევარი სასახლე ნინოს ქმარს აქვს შესყიდულიო...***

— პირდაპირ მითხრას, ვინც მაგ სისულელეს ზურგს უკან ამბობს. გამოვიძახებ ჩემ ადვოკატს და გავარჩევთ საქმეს... ჩემ ქმარს ნამდვილად არა აქვს ასეთი ფინანსური შესაძლებლობები... საერთოდ, შეეშვან ჩემი ახლობლების ხსენებას, მამაჩემის ბინაზე დარეკვებს... მე ამას ძალიან განვიცდი... ახლა



ვფიქრობ, რომ შეიძლება ავდგე და საერთოდ წავიდე აქედან... მე თავისუფალი ადამიანი ვარ, დღესვე სიამოვნებით დამიდებენ ხელშეკრულებას იაპონიის, ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესი თეატრები. მე ჩამოვედი იმის გამო, რომ მსოფლიოში აღიარებულ ქართულ ბალეტს მომავალი სუპეროსტატების აღზრდაში დავეხმარო... არადა, უდიდესი პერსპექტივებია...

***— და ეს ყოველივე, მაინცადამაინც, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში უნდა გაკეთდეს?..***

— ჯერჯერობით ეს საქმე შეჩერებულია, სასახლის შენობაში ამჟამად ისედაც რემონტი მიმდინარეობს, ხოლო, ერთი წლის შემდეგ, ვნახოთ, რა იქნება...

ესაუბრა
**ვილენ მარდალეიშვილი**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# თბილისი ცხინვალს კონფლიქტის ზონაში მეწარმეობის მხარდამჭერის პროგრამას სთავაზობს

**საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში შეიმუშავეს სამხრეთ ოსეთში მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამის პროექტი. როგორც კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის პრესსამსახურში აღნიშნეს, დოკუმენტი უკვე გაუგზავნეს განსახილველად სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობას და ახლა თბილისი ცხინვალიდან ელის შესაბამის შემხვედრ წინადადებებს.**

პროგრამის მიზანია მეწარმეობის გააქტიურება, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის დასაქმების დონის ამაღლება. როგორც თბილისში ამტკიცებენ, მთელმა რიგმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა უკვე გამოთქვეს ამ პროექტის დაფინანსების მზადყოფნა, რომელიც, მისი შემმუშავებლების აზრით, „ხელს შეუწყობს ნდობის პროცესის განმტკიცებას და სამშვიდობო პროცესის გაღრმავებას ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში“.

ქართული მხარის ასეთმა ნაბიჯმა, როგორც ჩანს, საკმაოდ დააფიქრა სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობა. იქ ელოდნენ სულ სხვას — მკვეთრ რეაქციას ცხინვალის გადაწყვეტილებაზე, რომელსაც სურს მეზობლებისგან კაპიტალური სასაზღვრო ღობით შემოფარგლოს თავისი ტერიტორია. გასულ კვირას სამხრეთ ოსეთის დედაქალაქის შესასვლელთან დაიწყო საინჟინრო-სამშენებლო სამუშაოები, რომელთა საკმაოდ უცნაური ხასიათი შეუძლებელი იყო, არ შეენიშნა ქართულ მხარეს — საავტომობილო გზების გასწვრივ თხრიდნენ ორმოებს, დგამდნენ ლითონის ბოძებს. ყურადღებას იპყრობდა ასევე სამშენებლო ოპერაციის ტემპი და მისი განხორციელების ორგანიზებულობა, რომელსაც, როგორც ცხინვალის წარმომადგენლებმა განმარტეს, უნდა გადაეჭრა საქართველოდან სამხრეთ ოსეთში „არასასურველ პირთა“ შეღწევის პრობლემა. იქ არსებული ბლოკ-საგუშაგოები, რკინაბეტონის ფილები და შლაგბაუმი, როგორც ცხინვალში მიიჩნიეს, ამ ამოცანის გადასაწყვეტად არ იყო საკმარისი.

შიდა ქართლის რეგიონის გუბერნატორის მოადგილის გელა ზოზიაშვილის თქმით, გაირკვა, რომ ცხინვალის ხელისუფლებას გადაწყვეტილი ჰქონდა შეექმნა რაღაც ადმინისტრაციული საზღვრის მსგავსი, თანაც, იგი გადაიტანეს დაახლოებით ასი მეტრით სოფელ ერგნეთის მიმართულებით, რომელსაც ქართული მხარე აკონტროლებს. „ეს ამბავი სასწრაფოდ შევატყობინეთ თბილისს და კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალების სარდლობას“, — აღნიშნა ზოზიაშვილმა. მოლაპარაკების შემდეგ ოსურმა მხარემ შეწყვიტა სამუშაოები.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ბიზნეს-ინიციატივის განმარტებისას, საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში გიორგი ხაინდრავამ გამოთქვა იმედი, რომ „ახლა ცხინვალის ხელისუფლება აღარ იფიქრებს „რკინის ჭიშკრის“ მშენებლობაზე და სერიოზულად ჩაუფიქრდება იმ უფრო კონსტრუქციულ გეგმებს, რომელსაც შეუძლია რეგიონში დაძაბულობის შენელება“.

მთლიანად კი ვითარება კონფლიქტის ზონაში თანდათანობით ნორმალური ხდება.

**იური სიმონიანი,**
**„ნეზავისიმაია გაზეტა“, 7 სექტემბერი.**

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

გუბერნატორის მოადგილის გელა ზოზიაშვილის ინფორმაციით, ამ დღეებში მხარეები, რუს სამშვიდობოთა მონაწილეობით შეუდგნენ უფრო მნიშვნელოვანი საქმეების მოგვარებას, რომლებიც ზამთრისთვის მომზადებას უკავშირდება. განიხილავენ კონკრეტულ საკითხებს, მაგალითად იმას, თუ ტყის რომელ მასივებში დაამზადებენ შეშას ოსური სოფლებისთვის და რომელში — ქართული დასახლებული პუნქტებისთვის. განიხილავენ ასევე ზამთრის პერიოდში რეგიონის დასახლებული პუნქტების წყალმომარაგებასთან და ენერგოუზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს. ეს, როგორც რეგიონის ქართული ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა თქვეს, „გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და პროდუქტიულია“, ვიდრე საზღვართან დაკავშირებული საქმიანობა.

ინფორმაცია

## სამხედროებსაც უვარგის წყალს ასმევენ...

**ვაზიანის სამხედრო დასახლების მოსამსახურეთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, ვინაიდან დასახლებას სასმელად უვარგისი წყალი მიეწოდება.**

**ამ ინფორმაციას არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული წყლის ჰიგიენური და მიკრობიოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე აკეთებს. ინფორმაციას ადასტურებს ვაზიანის სამხედრო ბრიგადის ყოფილი სამხედრო ექიმი გიორგი ლილუაშვილიც, რომელმაც თანამდებობა 2004 წლის ოქტომბერში დატოვა.**

**როგორც გუშინ გამართულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე ითქვა, ვაზიანის სამხედრო ბაზის ჯარისკაცები კატასტროფულად დაბინძურებულ წყალს სვამენ.**

**ლილუაშვილი აცხადებს, რომ პირველი ქვეითი ბრიგადის ჯარისკაცებში ხშირია ინფექციური დაავადებების გავრცელების ფაქტები. კერძოდ, ადგილი ჰქონდა წითელასა და წითურას ეპიდემიას და „ბ“ და „ც“ ჰეპატიტების გავრცელების შემთხვევებს. მისივე ინფორმაციით, ბრიგადის არაერთი ჯარისკაცი ერაყში სწორედ იმის გამო ვერ გაემგზავრა, რომ მათ აღნიშნული ინფექციური დაავადებები აღმოაჩნდათ.**

## ორი მინისტრი — კრინიცაში

**7-10 სექტემბერს პოლონეთის ქალაქ კრინიცაში მე-15 ეკონომიკური ფორუმი გაიმართება, სადაც 40 ქვეყნის 1500 წარმომადგენელი მიიღებს მონაწილეობას.**

**ფორუმზე საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე და ფინანსთა მინისტრი ალექსი ალექსიშვილი წარმოადგენენ.**

**ფორუმს ევროპის ქვეყნების მეთაურები და მთავრობის წევრები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრებიან და ევროკავშირისა და მისი მეზობელი ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებს განიხილავენ.**

**ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი საერთაშორისო აუდიტორიას წარუდგენს მოხსენებებს საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და საერთაშორისო ინვესტიციების შესახებ.**

**გიორგი ბარამიძე შეხვედრებს პოლონეთის საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებში გამართავს. ის, ასევე, პოლონეთის ყოფილ პრეზიდენტსა და საზოგადო მოღვაწეს ლეხ ვალენსას შეხვდება.**

**ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე საქართველოში 13 სექტემბერს დაბრუნდება.**

## ახალი ძველს აღარ ინდობს

**პარლამენტარი მერაბ სამადაშვილი საქართველოს პარლამენტის ექსდეპუტატს და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ ჯემალ საჯაიას დარბევით ემუქრება. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ჯემალ საჯაიამ განუცხადა.**

**მეექვსე დღეა, დაბა წყნეთის თამარ მეფის №54-ში გრძელდება აფხაზეთიდან დევნილი პარლამენტარის ჯემალ საჯაიას საპროტესტო აქცია, რომელშიც მონაწილეობას აფხაზეთიდან დევნილებიც იღებენ.**

**აქციის მონაწილეები პარლამენტარ მერაბ სამადაშვილს დაბა წყნეთში მიწის ნაკვეთის უკანონო მიტაცებაში და ხელისუფლების ყველა შტოებზე ზეწოლაში ადანაშაულებენ.**

**მისი განცხადებით, დეპუტატი სამადაშვილი დაბა წყნეთში მიწის იმ ნაკვეთს ედავება, რომელიც „სამადაშვილმა არა ერთი კურიოზული კანონდარღვევით შეიძინა“. იგი გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ შევარდნაძის თანაგუნდელი სამადაშვილი პრეზიდენტ სააკაშვილის მმართველობის დროსაც ახერხებს ხელისუფლების ორგანოებზე ზეწოლას და მისთვის დროებით გამოყოფილი მიწის ნაკვეთის დაკანონებას და აფხაზეთიდან დევნილის შევიწროებას.**

**საჯაია დახმარებისათვის პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მიმართავს და დარწმუნებულია, რომ იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი სამადაშვილის მიერ უკანონოდ მითვისებული წყნეთის ნაკვეთის ისტორიით დაინტერესდება, „მერიის სამსახურებში, სასამართლოებში და სასამართლო აღმასრულებლებში უამრავ არაკეთილსინდისიერ ჩინოვნიკსა და მოსამართლეს აღმოაჩენს“.**

## სკოლებში მონიტორინგს განახორციელებენ

**საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სპეციალური ჯგუფები ახალი სასწავლო წლიდან სკოლებში მონიტორინგს განახორციელებენ. ისინი შეეცდებიან გააკონტროლონ, რამდენად იქნება დაცული „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის ის მუხლები, რომელიც რწმენის თავისუფლებას შეეხება.**

**ახალი კანონმდებლობა პედაგოგებს სკოლაში ქადაგებასა და სხვა სარწმუნოების მოსწავლეთა „გადაბირებას“ უკრძალავს. როგორც სახალხო დამცველის აპარატში არსებული თავისუფლებისა და თანასწორობის სამმართველოს უფროსმა ბექა მინდიაშვილმა „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა, აქამდე სკოლებში რელიგიის ისტორიის მასწავლებლები და ხშირად სხვა საგნების პედაგოგებიც პირდაპირ ქადაგებდნენ მართლმადიდებლობას. მისივე თქმით, ქადაგების მიზანი არამართლმადიდებელ მოსწავლეთა მართლმადიდებლობაზე გადაყვანა იყო.**

**აღნიშნული კანონით გათვალისწინებულია კიდევ ერთი მუხლი, რომელსაც ბექა მინდიაშვილი „მტკივნეულს“ უწოდებს და მიაჩნია, რომ იგი სკოლებში პროტესტს გამოიწვევს. კერძოდ, სკოლებში რელიგიური სიმბოლოების გამოფენა იკრძალება. მინდიაშვილის თქმით, საქართველოს არაერთი საშუალო სკოლის საკლასო ოთახში არის მოწყობილი რელიგიური კუთხე, რამდენიმე სკოლის ეზოში კი ეკლესიაც მოქმედებს.**

**სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელს მიაჩნია, რომ აუცილებელია შეთანხმების მიღწევა, რომ ღვთისმსახურება სასწავლო პროცესის პარალელურად არ ჩატარდეს.**

**ინტერპრესნიუსი**

ენამ გულისა უნდა თქვას

# მატარებელი მიდის, მაგრამ არა იქით, საითაც უნდა წავიდეს...

## ამბობს დავით ზურაბიშვილი

***— ბატონო დავით, თქვენ მოულოდნელად ოპოზიციაში გადაიჭერით და უმწვავესი საკითხები წამოჭერით. რამ შეუწყო ხელი თქვენს სახეცვლილებას — ეს უცებ მოხდა, თუ ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩამოგიყალიბდათ ფრაქციიდან წასვლის გადაწყვეტილება?***

— ამ შემთხვევაში დავეთანხმები უმრავლესობის იმ წევრებს, რომლებიც ამბობენ, რომ ჩემი ეს გადაწყვეტილება მოულოდნელი არ ყოფილა, რომ ხშირად ვკამათობდი მათთან და ბევრ საკითხშიც არ ვეთანხმებოდი.

თავიდან მეგონა, რომ იყო რაღაც შეცდომა, რომელიც შეიძლება შიგნიდან გაასწორო, მაგრამ სამწუხაროდ, ბოლო დროს დავრწმუნდი, რომ ხელისუფლებას ეს უკვე ჩვევაში გადაეზარდა. თვითონ პარლამენტში ისეთი ატმოსფეროა და თამაშის ისეთი წესებია, რომ რაიმე პოზიტიურზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. პრინციპულად ოთხი-ხუთი კაცი წყვეტს ყველაფერს, გინდა თუ არ გინდა, ამას უნდა დაემორჩილო და მერე მიაჭირო თითი პულტს.

მე ნამდვილად არ გამოვდგები საამისოდ, რადგან ასეთი არასოდეს ვყოფილვარ. გადაწყვეტილების მიღებისას მთავარი ეს იყო. თუმცა რაღაც პრინციპულ საკითხებზე განსხვავებული აზრი ყოველთვის მქონდა, ვინაიდან უმრავლესობის წევრი ვიყავი და საჯარო გამოსვლები და დაპირისპირება მართებული არ იყო, მაინც ვცდილობდი ჩემი აზრი დელიკატურად გამომეთქვა, თუნდაც, კენჭისყრის დროს გამომეხატა ეს პოზიცია — ან არ მივდიოდი კენჭისყრაზე, ან არ ვაძლევდი ხმას, ან წინააღმდეგი ვიყავი. ამას ყოველთვის ვაკეთებდი.

***— დარწმუნებული ხართ, რომ უმრავლეოსობაში გუნდურობის კი არა, კლანურობის პრინციპი მოქმედებს?***

— აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ეს პრინციპია გამეფებული. უწინაც ასე ხდებოდა, თუ ის შენიანია და შენს წრეშია, რასაც უნდა აკეთებდეს, მას ყველაფერი ეპატიება. მთავარია კლანისადმი ერთგულება, დანარჩენი — მეორეხარისხოვანია.

იგივე კლანურობის პრინციპია, როცა ოპოზიციიდან წამოსულ რაღაც აზრს უარყოფ. არა აქვს მნიშვნელობა, კარგია თუ ცუდი. არც ასეთი დამოკიდებულებაა მაინცდამაინც ჭკვიანური და კარგი ქვეყნისთვის. კლანურობა სწორედ ეს არის: „მხოლოდ ჩვენ ვფლობთ ჭეშმარიტებას. ყველაფერი ჩვენია!“

***— თქვენ სხვა გაზეთებისთვის მიცემულ ინტერვიუებში მთავარ ფიგურად უმრავლესობაში გიგა ბოკერია დაასახელეთ...***

— იგი მართლაც მთავარი ფიგურაა დღეს პარლამენტში. შეიძლება ითქვას, რომ პარლამენტის თავმჯდომარე დღეს რეალურად ბოკერიაა. ფაქტობრივად, მას მიჰყავს პარადი. კიდევ არის რამდენიმე გავლენიანი ადამიანი პარლამენტში, თუნდაც მიხეილ მაჭავარიანი, დავით კირკიტაძე, მაია ნადირაძე, თუმცა ეს უკანასკნელი მაინცდამაინც მთავარი არ არის ფრაქციაში. კიდევ გიორგი არველაძე იყო ასეთი.



სულ რამდენიმე ადამიანია. პრეზიდენტთან ერთად გადაწყვეტილებებს ეს ხალხი იღებს. ეს ხალხი თავს არ აიგივებს პარლამენტთან. პარლამენტი მათთვის არის ძირითადად ბურჯანაძე, მათ ასეთი ხედვა აქვთ და თუ პარლამენტის პრესტიჟი დაეცემა, ეს სრულებითაც არ ანაღვლებთ.

***— როგორ ფიქრობთ, რამდენად თავისუფლები არიან უმრავლესობის წევრები საკუთარი აზრის გამოთქმის დროს და რა შეიძლება მათ ამისთვის ემუქრებოდეთ?***

— ვინც ხმას ამოიღებს, შეიძლება მასზე პიროვნულად არც არსებობდეს კომპრომატი, მაგრამ ისეთი ქვეყანა გამოვიარეთ და 15 წელზე მეტ ხანს ისეთ გარემოში ვცხოვრობდით, შეუძლებელია ვიღაც არ აღმოჩნდეს რაღაც საქმეში გარეული. საქართველო პატარა ქვეყანაა, უამრავი ნათესავი ჰყავს ადამიანს და ასეთი ადამიანის პოვნა არ გაძნელდება. გეტყვიან, რომ აი, შენი ძმა, შვილი... ელენე თევდორაძემ რაღაცაზე ხმა ამოიღო და მაშინვე შვილი გაახსენეს. რამიშვილი-ბექაურის ამბებთან დაკავშირებითაც იგივე მოიმოქმედეს — გამოვიდა კირკიტაძე და განაცხადა, თევდორაძეს შვილის ბიზნესის ინტერესები უნდა განვიხილოთო. ეს დიდი ხანია გრძელდება, ასე ახსენებენ მუდამ ელენე თევდორაძეს შვილს და არა მარტო მას. ასეთი დამოკლეს მახვილი ჰკიდია უმრავლესობის ყველა იმ წევრზე, რომელიც ხედავს, რომ ქვეყანაში საქმე არცთუ კარგად მიდის.

***— ბატონო დავით, ხომ არ გგონიათ, რომ თქვენს მიმართაც გამოძებნიან რაიმე კომპრომატს?***

— ცოტა უხერხულია, მაგრამ მართლა ყველაზე მდიდარი ვარ ჩემს ახლობლებში ჩემი ხელფასით. ბოლოს და ბოლოს პრეზიდენტს დიდი ხანია ძალიან კარგად ვიცნობ. თუ პირდაპირ მისი ბრძანება არ იქნება, სხვამ არა მგონია, რაიმე გაბედოს. არანაირი ფინანსური ინტერესი რომ არ მაქვს, ეს ყველამ იცის და ვინმემ თუ ამაზე დაიწყო საუბარი, სასაცილოც იქნება. უბრალოდ, არავინ დაიჯერებს.

***— თქვენს მიერ ფრაქციის დატოვებას ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა ასეთი კომენტარი გაუკეთა: პოლიტიკის მატარებელი მიდის, ზოგი ვერ უძლებს და ჩადისო. თქვენ რას იტყოდით?***

— ეს მატარებელი კი მიდის, მაგრამ არა იქით, საითაც უნდა წავიდეს, არამედ ხრამისკენ. იმ მატარებლიდან უნდა ჩამოხვიდე, ან გააჩერო. გაჩერება არ უნდათ, სიჩქარეს ყოველდღე უმატებენ.

ფრაქციაში ნორმალურად არა თითო-ოროლა, არამედ უმრავლესობა აზროვნებს, მათ შეუძლიათ ხმა ამოიღონ ამა თუ იმ საკითხზე, მაგრამ ხედავენ, რომ ხმის ამოღებისთვის რეპრესიული ღონისძიებები ტარდება, „ამუშავებენ“ ადამიანებს. წელიწადნახევარში, თანდათანობით უმრავლესობაში ხალხის „აყვანა“ — დამუშავება ამ მეთოდებით მოხდა, თორემ პირველი დღიდანვე კი არ უთქვამთ მათთვის, ბიძაშვილს ან ძმას დაგიჭერთო.

***— საკუთარ თავზე თუ გამოგიცდიათ ეს?***

— კობა დავითაშვილი ავრცელებდა ხელმოწერებს რაღაც საკითხის დასაყენებლად, მეც მომიწერია მასზე ხელი. ჩემთან არავინ მოსულა, მაგრამ დანარჩენებთან მივიდნენ, ზოგი დაიბარეს, დაამუშავეს, ხელმოწერა უკან წააღებინეს, რომ იტყვიან, გაწურეს. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ რომ ამას გააკეთებს ადამიანი, უკვე მორჩილი ხდება. აგერ ვიღაცას შვილი დაუჭირეს, ვიღაც სულ ტყუილად ციხეში თავად ჩასვეს, თუნდაც ჯანიკაშვილი. ამას ხომ უყურებენ? ცხადია, შიშის სინდრომიც ნელ-ნელა ჩნდება. მეორესაც ხომ უყურებენ, რომელიც ყველაფერს აკეთებს და ხმას არავინ სცემს. რაც მთავარია, პრეზიდენტისგან არანაირი გარანტია არ არსებობს, რომ დაგიცვას, ერთხელ და სამუდამოდ დაარტყას მუშტი მაგიდაზე და თქვას: დაანებეთ თავი შვილებზე, ბიძაშვილებზე, მამიდაშვილებზე საქმეების აღძვრას. ამის იმედი არავის აქვს. ასეთი დამოკიდებულების გამო, ეს ხალხი ვერაფერს ამბობს, თორემ უკმაყოფილო, ცხადია, ბევრია. ამ სიტუაციაში კმაყოფილი ვერც იქნები.

თუნდაც ბექაური-რამიშვილის ამბავი, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პარლამენტის პრესტიჟისთვისაა ცუდი. ცხადია, არ უხარიათ, მაგრამ ვერც ვერაფერს იტყვიან.

***— ყველა მოელოდა ბორჯომში გამართული ფრაქციის სხდომაზე, რომ ბექაურის საკითხი მწვავედ დაისმებოდა. რატომ არ მოხდა ასე?***

— ბექაურზე შეგნებულად არ იღებენ ხმას. ასეთი ტაქტიკაა: ბექაურზე ნუ ვილაპარაკებთ. თითქოს თვითონ თუ ხმას არ ამოიღებენ, სხვა არაფერს იტყვის. ეს სირაქლემის პოზიციაა. ვითომ არაფერი მომხდარა — წავუყრუოთ. მასმედიის საშუალებებში შეეცდებიან ჩაცხრეს ეს საკითხი. გავა დრო, ხალხს დაავიწყდება, — ასეთია მიდგომა.

***— რას იტყოდით მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლესთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე?***

— ამ საკითხზე მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება მაქვს. უცებ გადაწყვიტეს, რომ ბალეტი ყოფილა თბილისში პრიორიტეტი, ოღონდ რატომ — კაცმა არ იცის. მერე თვითონაც დაინახეს, ისე შეტოპეს, საიდანაც ველარ გამოვიდოდნენ. დაინახეს, რომ ასე ადვილად ეს არ დამთავრდებოდა. ეს არ არის სამედიცინო კოლეჯი, მხოლოდ ვიწრო წრის ინტერესებს რომ გამოხატავდა. სასახლის საკითხმა საზოგადოების მრავალი ფენა მოიცვა.

გარწმუნებთ, რომ არ შეეშვებიან. დაიწყება ნელ-ნელა შიგნით განხეთქილების მონახვა, ვიღაცას ეტყვიან, რომ შენ დარჩები, ის გავუშვათ, რატომღაც გადაემტერნენ ფიზიკის და ქიმიის წრეებს, თუმცა რას ერჩიან ფიზიკას და ქიმიას, არ ვიცი?!

ამას საზოგადოების დიდი პროტესტი უნდა დახვდეს. თავად ნახეთ, რა ძალა აქვს ამ პროტესტს. „მზიურის“ პირველი თაობის მუსიკოსების გამოსვლა, რომ ისინი თბილისობაზე უარს იტყვიან „ვარსკვლავის“ გახსნაზე, უფრო დიდი დარტყმაა ხელისუფლებისთვის, ვიდრე ჩემი ნათქვამი.

ხელისუფლებამ უნდა დაინახოს საზოგადოების ძალა, მაშინ ცოტა სხვანაირად მოიქცევიან, იძულებული გახდებიან, დათმობაზე წავიდნენ.

**ესაუბრა
თამარ
შაიშმელაშვილი**

სიტუაცია

# მე, ყოფილი პიონერთა სასახლის ყოფილი აღსაზრდელი...

**ამ სიტყვებით გამოეხმაურა მწერალ ნოდარ დუმბაძის ქალიშვილი მანანა დუმბაძე სასახლეში გამართულ საპროტესტო აქციებს. იქ კი, „მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე ჩვენია და არავის დავუთმობთ!“— ამ ლოზუნგით იმართება სასახლის პედაგოგთა, აღსაზრდელთა თუ ყოფილ აღზრდილთა ყოველდღიური შეკრებები...**

**ღელავს ყველა, ვისაც სასახლის კაბინეტ-ლაბორატორიებში, კლუბებსა თუ წრეებში ცოდნასთან ერთად საქართველოს სიყვარული ჩაუნერგეს, ცოდნის მიღებასთან ერთად პროფესიის არჩევაში დაეხმარნენ...**

**— დარჩება თუ არა სასახლე ბავშვებს?! ეს ფიქრი დღეს ბევრს აწუხებს, მათ შორის მანანა დუმბაძესაც, მოსწავლე ახალგაზრდობის ინტერკლუბის ყოფილ აღსაზრდელს. გთავაზობთ მის წერილს.**

„ — მრავალმა თაობამ გაატარა თავისი საუკეთესო წლები სასახლის კედლებში. დღეს ისინი სხვადასხვა ასპარეზზე უანგაროდ ემსახურებიან თავიანთ სამშობლოს, რაც გარკვეული სიამაყით გვავსებს კაბინეტის დღევანდელ პედაგოგებსა და აღსაზრდელებს!“ — ეს არის ნაწყვეტი იმ მიმართვა-კითხვარიდან, რომელიც ახლა საწერ მაგიდაზე მიდევს და ბუნებრივია, ჩემგან გულწრფელ და მადლიერ პასუხს მოელის. ბუნებრივია-მეთქი რომ ვამბობ, აქვე დავძენ, რომ ერთხანს ყოფილი პიონერთა სასახლის ერთ-ერთი კაბინეტის აღსაზრდელი გახლდით (ჩვენ მას „ინტერკლუბს“ ვეძახდით), დღეს კი, ეს კაბინეტი სასახლის კედლებში გამოწრთობილ ვეტერანთა რიგებში მიპირებს შეყვანას.

წინასწარ ვუხდი მადლობას მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის ხელმძღვანელებს პატივისა და დაფასებისთვის. შეიძლება ასეთი რამ არც კი დამიმსახურებია. ერთს კი გამოგიტყდებით: „სამშობლოს უანგარო სამსახური“ ცოტა არ იყოს განზოგადებულ და რბილადაც რომ ვთქვა, ბუნდოვან ცნებად მიმაჩნია. ვერც იმას დავიჟინებ, რომ ჩვენსას არ ვიტყვი და, პირადად ჩემი უანგარო სამსახური რამდენადმე „აღავსებდეს სიამაყით დღევანდელ პედაგოგებსა და აღსაზრდელებს“. ისევ მათ დიდსულოვნებას უნდა მივაწერო ჩვენი ნაღვაწის ამგვარი დაფასება, თორემ რა ხანია საქართველოში ქუჩების, ორგანიზაციების, შენობების, პარტიების სახელწოდებათა, ცხოვრების წესის, თანამდებობების, პრინციპებისა და პოზიციების ცვალებადობასთან ერთად ღირებულებათა გადაფასების და მოვლენათა შეფასების კრიტერიუმების ცვალებადობის ტენდენცია ელვისებურად იზრდება.

ასე მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი და აზროვნება ჩემთვის სასახლეში არ უსწავლებიათ. იქ პირიქით — დღენიადაგ გვამეცადინებდნენ, აზრი მკაფიოდ და ნათლად გამოხატეთ, შუბლი გახსენით, თვალები ფართოდ გაალეთ და ვიდრე ბავშვები ხართ, შეირგეთ ეს ბავშვობაო. ოჯახებიდან კვირაობით დიდი სიამოვნებით მიგვერეკებოდნენ „ინტერკლუბში“ ხასიათის მოსათოკად, თუმცა იქ არც თავისუფალ, დამოუკიდებელ აზროვნებას გვიშლიდნენ და არც პირზე მომდგარი პირველივე სისულელისთვის გვიწყობდნენ ამხანაგურ სასამართლოებს. აღმზრდელები აქ ცხოვრების გლობალურ (მაშინ ეს სიტყვა მოდაში არ იყო) აღქმას, ანუ დღეს როგორც იტყვიან, „საერთაშორისო სტანდარტებით“ აზროვნებას გვაჩვევდნენ.

აქ გატარებული წლების გამოცდილებამ მოგზაურობის კულტურას, გარემო პირობებისადმი შეგუებასა და გამძლეობას მიმაჩვია...

... ყოველი კვირადღე ჩვენგანის დღეობას გავდა. კოხტად გამოწყობილები კაბინეტის სპეცკოსტიუმებში მივეშურებოდით სასახლეში ერთმანეთის შესახვედრად და გამოგიტყდებით, რომ იქ მხოლოდ ამერიკელ ზანგთა ბედუკუღმართ ცხოვრებასა და ჰიროსიმას უბედურებაზე არ ვსაუბრობდით, არც ლპობადი კაპიტალიზმის გინებით და აყვავებული სოციალიზმის პროპაგანდით ვიძაბავდით კისრის ძარღვებს, უბრალოდ ვკითხულობდით ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონს, შიგადაშიგ ფადეევს, ოსტროვსკის, შოლოხოვს, შემდეგ ისევ აკაკის, ილიას, მურმანს, მუხრანს, ანას, ხანდახან საკუთარ „ნაწარმოებებსაც“ ვკითხულობდით, საპატიო სტუმრებსაც ვიწვევდით, ვხატავდით ყველაფერს... ყოველივეს ხელი არ შეუშლია გიგი სულაკაურისთვის უმშვენიერესი ლექსები ეწერა, ეხატა ჩამავალი წითელი მზე და ცეცხლმოკიდებული ზღვა. არც ჩემთვის შეუშლია ხელი არაფერს იმ მიმართულებით მევლო, საითაც გული მიმიწევდა, სადაც ოჯახივით მელოდნენ, მეკეთებინა ის, რაც მომეპრიანებოდა.

მე ყოფილი პიონერთა სასახლის, ყოფილი „ინტერკლუბის“ ყოფილი წევრი და აწ მისი, ანუ ბავშვთა საერთაშორისო ურთიერთობათა კაბინეტის ვეტერანი გახლავართ.

სასახლესთან დაკავშირებულმა დღევანდელმა „აურზაურმა“ (რბილად რომ ვთქვათ) მაიძულა გულდასმით გადამეკითხა, რა დავწერე მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის შესახებ 9 წლის წინათ: თურმე საზოგადოებას სასახლეში რეფორმების გატარებისკენ მოვუწოდებდი.

რას წარმოვიდგენდი, თუ საქართველოს დღევანდელ ურევოლუციონურესი, უპროგრესიულესი და უსამართლიანესი, დემოკრატიულობაზე რომ არაფერი ვთქვათ, მთავრობა თავისი მმართველობის „ოქროს ხანას“ უშუალოდ ჩემი ოცნებების ახდენას მოანდომებდა და ამას არა რომელიმე ამერიკული, ან ევროპული, ან, თუნდაც, სოროსისეული დრომოჭმული მეთოდით, არამედ სრულიად ქართული და ზედმიწევნით ეროვნული პროექტის მიხედვით განსახორციელებლად. ხოლო პროექტის ავტორი ჩვენი სასიქადულო, მსოფლიოში სახელგანთქმული, ყოფილი საბჭოთა ხელოვანი და დღეს საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე ნინო ანანიაშვილი იქნებოდა... გუნდითურთ!

ჰოდა, მეც, უკეთეს მომენტს სად ვიშოვიდი: როგორც ყოფილი პიონერთა სასახლის ყოფილი აღსაზრდელი, მეტიც, წარმოშობით გურული,



უპირველეს ყოვლისა, მადლობას მოვახსენებ „პარტიას და ხელისუფლებას“ იმისათვის, რომ ჩვენზე უკეთ სცოდნია რა სჭირდება დღეს ახალგაზრდობას. ზუსტად იცის, რომ ყოფილი პიონერთა სასახლის „პოსტ-კომუნისტური აზროვნების“ პედაგოგთა გარემოში თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტებს მისადაგებული ახალგაზრდა ვერ გაიზრდება, ამიტომ ყველაფრის სანაცვლოდ მას საბალეტო სკოლის ტკბილ და უწყინარ გარემოს სთავაზობს.

სირცხვილია!

**მანანა დუმბაძე**

ინფორმაცია

### ჩეხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩო გაიხსნება

**ჩეხეთში საქართველოს პირველი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი შესაძლოა კახა სიხარულიძე გახდეს.**

**საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტს ჩეხეთში ელჩის პოსტზე კახა სიხარულიძის კანდიდატურა უკვე წარუდგინა. ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტმა სიხარულიძის კანდიდატურა დღეს განიხილა და მას მხარი დაუჭირა. კახა სიხარულიძის კანდიდატურა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საშემოდგომო სესიაზე გავა.**

**კახა სიხარულიძე 1963 წელს თბილისში დაიბადა. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. არის ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, 1992 წელს დაინიშნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის გაეროს სამმართველოს პირველ მდივნად, 1994-1996 წლებში მივლინებული იყო თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს კონსულად. 1999-2000 წლებში იყო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის ეუთოს სამმართველოს უფროსი, 2003 წელს მიენიჭა საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი, 2004 წელს დაინიშნა ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილედ.**

**ინტერპრესნიუსი**

### პოლონეთიდან საქართველოს ელჩი გამოიწვიეს

**საქართველოს პრეზიდენტმა პოლონეთიდან სრულუფლებიანი ელჩი ზაზა კანდელაკი გამოიწვია.**

**როგორც პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე კომიტეტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ განაცხადა, კანდელაკის გამოწვევა „ოჯახური პირობების გამო“ მოხდა.**

**ასევე კომიტეტმა განიხილა ზურაბ ჭიაბერაშვილის კანდიდატურა ევროპის საბჭოსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის თანამდებობაზე.**

**კომიტეტი დაეთანხმა, აგრეთვე, კახა სიხარულიძის კანდიდატურის განხილვას ჩეხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის თაობაზე.**

**ჭიაბერაშვილისა და სიხარულიძის კანდიდატურებზე პარლამენტი მომავალ კვირას იმსჯელებს.**

### გასვლითი სხდომა — მატარებელში

**სატრანსპორტო პოლიტიკის შემმუშავებელი სამთავრობო კომისია ზეგ გასვლით სხდომას გამართავს.**

**სხდომას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, შპს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორი დავით ონოფრიშვილი და კომისიის წევრები დაესწრებიან.**

**გასვლითი სხდომა მატარებელში ჩატარდება. სხდომის წევრები რკინიგზის სფეროში არსებულ პრობლემებს განიხილავენ და დასავლეთ საქართველოს რკინიგზის სადგურებს მოინახულებენ. იგეგმება კასპის რკინიგზის სადგურის საზეიმო გახსნაც და განიხილება, აგრეთვე, გარდაბნის რკინიგზის სადგურის რესტავრაციის საკითხი.**

### თურქული გრანტი

**საქართველოს თავდაცვის სამინისტრო თურქეთისგან მილიონ 745 ათასი ლარის ოდენობის სამხედრო გრანტს მიიღებს.**

**როგორც პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ნიკოლოზ რურუამ კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, ზემოხსენებული გრანტის მიღება თურქეთსა და საქართველოს შორის სამხედრო თანამშრომლობის გაგრძელებაა.**

**„თურქეთთან სამხედრო თანამშრომლობა ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია. გრანტი თავდაცვის სფეროს მოხმარდება“, — აღნიშნა ნიკოლოზ რურუამ.**

### სახელმწიფო ბიუჯეტი გაიზრდება

**საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი მიმდინარე წელს 26 მლნ. ლარით გაიზრდება.**

**როგორც პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გიორგი გოდაბრელიძემ განაცხადა, აღნიშნული თანხიდან დაფინანსება რამდენიმე სახელმწიფო სტრუქტურას გაეზრდება.**

**„26 მილიონი გადანაწილდება ენერგეტიკის, სპორტისა და კულტურის, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროებზე. დაფინანსება გაეზრდება თავდაცვის სამინისტროსა და საზღვრის დაცვის დეპარტამენტსაც“, — განაცხადა გიორგი გოდაბრელიძემ.**

**ასევე ბიუჯეტიდან გამოიყოფა 556 ათასი ლარი, რომელიც პარლამენტის შენობის რემონტს მოხმარდება.**

### ავტოტრანსპორტის მოძრაობა აიკრძალა

**ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის საავტომობილო გზის 85-ე კმ-ში აფეთქებითი სამუშაოები მიმდინარეობს, რის გამოც 7 სექტემბერს იქ 14-დან 21 საათამდე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აიკრძალა.**

**როგორც მედიანიუსს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში განუცხადეს, საავტომობილო გზის აღნიშნული მონაკვეთი გაზაფხულსა და ზაფხულში მომხდარმა სტიქიურმა მოვლენებმა სერიოზულად დააზიანა, რის გამოც აუცილებელი გახდა საავტომობილო გზის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე კლდეებისა და ფერდობების ჩამოწმენდა.**

**ზამთრისთვის მოსამზადებელი სამუშაოები გუშინ გვიან საღამოს დასრულდება.**

**მედიანიუსი**

გამაგებინეთ!

# მართლა პირველი ბანდიტია პარლამენტარი?

**1 ოქტომბერს საქართველოს 5 რაიონში შუალედური საპარლამენტო არჩევნებია. როგორც ყოველთვის, ახლაც დიდი ციებ-ცხელებაა. 5 ადგილზე ბარე 25 პარტია იბრძვის საკუთარი კანდიდატის გასაყვანად. გაყვანამდე, ცხადია, არჩევნები უნდა შედგეს, ელექტორატი საარჩევნო ყუთთან მივიდეს, თითოეულმა ადამიანმა სასურველ კანდიდატს ხმა მისცეს...**

წინასაარჩევნო პერიოდში ყველა დათაფლულია, ენაგაკრეფილია. ცდილობენ გასიამოვნონ, ხელისგულზე ერბოკვერცხი მოგიწვან, შენი ინტერესები, შენი მოთხოვნები შეასრულონ, — გზა მოგიასფალტონ კი არა, ლამის სახლიდან ნაგავიც გაგიტანონ. ახლაც დღეში 1000-ჯერ გვესმის ტელეეკრანიდან: — ძვირფასო ამომრჩევლებო! მიბრძანდით საარჩევნო უბნებში, მონახეთ თქვენი გვარი, არ დაკარგოთ ხმა და ა. შ. მიაქციეთ ყურადღება, — ძვირფასო ამომრჩევლებოო! ეს წინასწარ, ვიდრე არჩევნები შედგება, თორემ მერე ძვირფასი კი არა, ვიღაც ოხერ-ტიალი ხარ, ცხრა მთას იქიდან მოთრეული.

არა? მე არ ვლაპარაკობ ათასი დაპირების შეუსრულებლობაზე, იგივე გზების მოასფალტებაზე ან ლიფტების შეკეთებაზე. საუბარია ელემენტარულ ყურადღებაზე, ხალხის მიცემული ხმის დაფასებაზე, ამომრჩევლის როლის გათვითცნობიერებაზე როგორც პოზიციის, ისე ოპოზიციის ფორმირებაში. თუ დემოკრატიაზე ვდებთ თავს, ხომ ორივეს უნდა მივაგოთ საკადრისი პატივისცემა?



წინა არჩევნებისას ხალხმა თავიანთ რჩეულებად აქცია მიხეილ მაჭავარიანიც, ბესო ჯუღელიც, დავით გამყრელიძეც, კობა ბექაურიც... ახლახან პატარა სკანდალი ატყდა და, წავიდა ერთმანეთის შემკობა-დახასიათება: — ეგ მატყუარა, ეგ ნაძირალა, ეგ არაკაცი, ეგ პირველი ბანდიტი! არის ზოგჯერ ფიზიკური ანგარიშსწორებაც, — როგორც ქუჩაში, ისე პარლამენტის შენობაში ცემა-ტყეპაც, თვალის ჩალურჯებაც, თავის გატეხვაც...

ნათქვამია, სახელის გატეხვას თავის გატეხვა სჯობიაო. არის თუ არა სახელის გატეხვა, როცა თავად ამომრჩეველი კი არა, პარლამენტარი უწოდებს კოლეგას პირველ ბანდიტს? ვინ ფიქრობს ასეთ დროს ელექტორატზე, იმ ამომრჩეველზე, რომელმაც თავის დროზე ხმა მისცა ამ პირველ ბანდიტს? არის თუ არა ეს ხმა შეგინებული, შეფურთხებული, ჩაწიხლული?

ტელეეკრანიდან კი ისევ მოსჩქეფს: — ძვირფასო ამომრჩევლებო!

რა ძვირფასო, რის ძვირფასო! ვიდრე საარჩევნო ყუთთან მივიდოდეთ, უკვე გაჯერებული ვართ შეურაცხმყოფელი თიკუნებით, — ეს კანდიდატი ნარკომანების მფარველიაო, ეს კანდიდატი ინტრიგების მბეჭველიაო და სხვა და სხვა.

რა ქნას უბრალო, მოკვდავმა ხალხმა, ვის მისცეს ხმა? როგორ ამოიცნოს ამა თუ იმ პარტიის (თუმცა ახლა მაჟორიტარული არჩევნებია) 235-კაციან სიაში ან მომავალი პირველი ნარკომანი ან პირველი ბანდიტი?

და თუ ელექტორატმა არჩევნებისას შეცდომა დაუშვა და მართლაც პირველი ნარკომანი და პირველი ბანდიტი აირჩია, მიეცით მას ამ შეცდომის გამოსწორების უფლება, მიიღეთ კანონი პარლამენტიდან დეპუტატის გამოწვევის შესახებ. რატომ ითრევთ ფეხს? თავადაც გეშინიათ?

აბა, ეძახეთ ერთმანეთს ნარკომანები და ბანდიტები, ჩამშვებები და კორუმპირებულები. თქვენც ერთობით და ელექტორატიც!

**ბონდო გულიაშვილი**

გვწერენ

# ავაღორძინოთ ქართული მრეწველობა

**„სანამ მოსაზიდი მეტი გვექნება,
ვინემ გასაზიდი, მონობას ვერ ავცდებით...“
ნიკო ნიკოლაძე.**

ჩვენს ქვეყანაში წლების განმავლობაში არაერთი ისეთი სამრეწველო პროდუქცია დაუმზადებიათ, რომლებიც მსოფლიო ბაზარზე ნებისმიერ ქვეყანას უწევდა კონკურენციას. ამიტომ შეგვიძლია ჩვენი სამშობლო გადავაქციოთ მიმწოდებელ და არა ასი პროცენტით მომხმარებელ ქვეყნად, — როგორიც დღეს არის. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ერთდროულად დავასაქმოთ როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობა. ამით დაიწყება ქვეყნის ეკონომიკური აღორძინება.

**ამიტომაც მოვუწოდებ საქართველოს პატრიოტ ბიზნესმენებს, პარლამენტარებს, სამინისტროებისა და კანცელარიის ყველა პირველ პირს, ჩაერთონ ამ საშვილიშვილო საქმეში. დროულად გამოიძებნოს რეალური გზები და ჩვენ თვითონ ყოველგვარი ბიუჯეტისა და უცხო ინვესტორების გარეშე ავაღორძინოთ ნამდვილი ქართული მრეწველობა.**

ვფიქრობ, ამისთვის აუცილებელია შეიქმნას **ქართული მრეწველობის „საერთო სახალხო აღორძინების ფონდი“**, ხოლო მთავრობამ, უპირველესად კი საქართველოს პრეზიდენტმა, ბიზნესმენებთან ერთად ყველანაირად შეუწყოს ხელი ქართული მრეწველობის — მანქანათმშენებლობის განვითარებას.

ამ ფონდის განმკარგავი თვითონ იქნებიან ისინი, ვინც ამ ფონდში შეიტანს ფულს, მათ ეს თანხა არ დაეკარგებათ და სათანადო დივიდენდებსაც მიიღებენ, ეს ქარხნები შემდგომში კი მათი შვილების და შვილიშვილების გახდება.

**თეიმურაზ
ლორთქიფანიძე,
ტექნიკის
მეცნიერებათა კანდიდატი.**

**სტატისტიკა**

# რა გაძვირდა და რა გაიაფდა?

**ჩვენმა მთავრობამ ზაფხულის განმავლობაში ძალა და ენერგია არ „დაზოგა“ იმაზე ფიქრით, როგორმე საამური გაეხადა ცხოვრება მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის, რომელთაც ჯერ კიდევ ძალიან უჭირთ, განსაკუთრებით კი 28 ლარის შემყურე პენსიონერთათვის „ზრუნავენ“, რადგან თანხა, რომლის აღებასაც ისინი მთელი თვე ელოდებიან, ხომ ყველამ ვიცით, სინამდვილეში ერთი დღის ბაზრის ფულიც არ არის.**

| | 2002 | | 2003 | | 2004 | | 2005 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ფასების ინდექსი | პროცენტული ცვლილება წინა თვესთან | ფასების ინდექსი | პროცენტული ცვლილება წინა თვესთან | ფასების ინდექსი | პროცენტული ცვლილება წინა თვესთან | ფასების ინდექსი | პროცენტული ცვლილება წინა თვესთან |
| იანვარი | 102.0 | 2.0 | 102.1 | 2.01 | 100.4 | 0.4 | 102.1 | 2.1 |
| თებერვალი | 103.0 | 1.2 | 101.6 | -0.5 | 100.9 | 0.4 | 102.4 | 0.3 |
| მარტი | 103.6 | 0.4 | 101.6 | 0.04 | 101.1 | 0.1 | 103.0 | 0.6 |
| აპრილი | 105.4 | 1.8 | 102.1 | 0.5 | 100.2 | -0.2 | 103.4 | 0.4 |
| მაისი | 105.4 | 0.03 | 102.3 | 0.2 | 100.8 | 0.004 | 102.0 | -1.3 |
| ივნისი | 103.0 | -2.3 | 102.4 | 0.1 | 99.2 | -1.6 | 100.6 | -1.4 |
| ივლისი | 101.9 | -1.1 | 101.5 | -0.9 | 100.1 | 0.8 | | |
| აგვისტო | 101.7 | -0.1 | 101.4 | -0.1 | 99.5 | -0.6 | | |
| სექტემბერი | 102.1 | 0.4 | 101.9 | 0.5 | 101.0 | 1.5 | | |
| ოქტომბერი | 102.5 | 0.4 | 101.9 | 0.0 | 102.6 | 1.6 | | |
| ნოემბერი | 103.6 | 1.1 | 106.8 | 4.8 | 103.9 | 1.3 | | |
| დეკემბერი | 105.4 | 1.7 | 107.0 | 0.2 | 107.5 | 3.5 | | |

მთავრობის წევრები, დეპუტატები ხან ქობულეთსა და ბათუმში ატარებენ სხდომებს, ხან – ბორჯომში. გვეშველება რამე? საეჭვოა. დარწმუნებული ვარ, ამ „გარჯას“ შედეგიც აუცილებლად მოყვება, ყოველ შემთხვევაში სტატისტიკის დეპარტამენტის ფასების განყოფილებაში მივედი იმის გასარკვევად, თუ რა გაიაფდა და რა გაძვირდა?

2005 წლის ივნისში 2004 წლის დეკემბერთან შედარებით ფასების საერთო დონე 0,6 პროცენტით გაიზარდა. ამ ექვს თვეში ფასების ზრდა აღინიშნა ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე 23,7 პროცენტით, ხილზე – 19,3, ხორცისა და ხორცის პროდუქტებზე – 13,1, უალკოჰოლო სასმელებზე – 7,6 პროცენტით, ამასთან, აღსანიშნავია, რომ ფასები შემცირდა რძის, ყველისა და კვერცხის ჯგუფზე 22 პროცენტით, თევზეულზე – 7,3 და ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე – 12,3 პროცენტით.

2005 წელს ექვს თვეში ხანმოკლე მოხმარების საქონლის ფასები გაიზარდა 0,2 პროცენტით, საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონლისა კი 1,1 პროცენტით, მომსახურების ტარიფები – 1,9 პროცენტით, ხოლო ფასების საერთო დონე ხანგრძლივი მოხმარების საქონელზე პრაქტიკულად არ შეცვლილა, – თქვა ფასების სამმართველოს უფროსმა ქალბატონმა ლია მდინარაძემ.

მოგვყავს სამომხმარებლო ფასების ინდექსები უკანასკნელი ოთხის წლის მიხედვით (იხ. ცხრილი).

– სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშებაში გარდა სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლის ფასებისა, მონაწილეობს მეორე კომპონენტი, – თქვა ქალბატონმა ლიამ, – თითოეული ამ საქონლის მოხმარების წილი საქართველოს მოსახლეობის მოხმარების მთლიანი სტრუქტურიდან. ანუ რამდენს მოიხმარს ქვეყანაში ტიპიური მომხმარებელი, მაგალითად, პურს, შაქარს, ბენზინს, ანტიბიოტიკს და ა. შ. აღნიშნული მაჩვენებელი საჭიროა იმისათვის, რომ მოახდინოს ინდექსის მოსწორება, ანუ ჰარმონიზება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მხოლოდ ფასებს დავაპროცენტებთ ერთმანეთთან, გამოვა, რომ ადამიანი რამდენ ცალ პურსაც ყიდულობს, იმდენ ავტომანქანას, იმდენ ტელევიზორს და ა. შ.

ვამბობთ, რომ ექვს თვეში საქართველოში 22,5 პროცენტით გაიაფდა რძე, ყველისა და კვერცხის ნაწარმი. მათ შორის: ყველი გაიაფდა 32,7 პროცენტით, ხოლო კვერცხი – 22,0 პროცენტით.

ვამბობთ, რომ ექვს თვეში საქართველოში 13,1 პროცენტით გაძვირდა ხორცი და ხორცის პროდუქტები. მათ შორის ღორის ხორცი – 24,7 პროცენტით, ძროხის ხორცი – 20,5 პროცენტით, ღორის ხორცის კონსერვი – 12,7 პროცენტით და ცხვრის ხორცი – 5,9 პროცენტით.

თორმეტ თვეში, ანუ 2005 წლის ივნისში 2004 წლის ივნისთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 9,0 პროცენტი შეადგინა.

რუსეთის ფედერაციაში არსებულ მდგომარეობაზე სტატისტიკის დეპარტამენტში ასეთი ინფორმაცია მომაწოდეს: საქართველოსგან განსხვავებით, რუსეთის ფედერაციაში 2005 წლის ექვს თვეში ინფლაციამ 8,0 პროცენტი შეადგინა. ფასების საერთო დონის ფორმირებაზე სეზონური ფაქტორის გარდა ფასიან მომსახურებაზე ტარიფების ზრდამ იმოქმედა. მაგალითად, კომუნალური გადასახადები 29,1 პროცენტით გაიზარდა, ცხელ წყალზე – 36,0, გაზმომარაგება – 24,7, ნაგვის გატანის გადასახადი – 27,6 პროცენტით და ა. შ.

კიდევ კარგი, ჩვენთან ჯერჯერობით კომუნალურ მომსახურებაზე ფასები არ გაზრდილა.

2005 წლის ივნისში საქართველოში წინა თვესთან შედარებით დეფლაციის დონემ 1,4 პროცენტი შეადგინა. 2004 წლის ივნისში წინა თვესთან შედარებით დეფლაციის დონე 1,6 პროცენტი იყო, 2003 წელში კი ფასების დონე თითქმის უცვლელი (მოცემულ პერიოდში სეზონური ფაქტორის ზეგავლენით სურსათის ფასების შემცირება პურისა და პურპროდუქტების ფასების ზრდამ გადაფარა), 2003 წლის ივნისში ინფლაციის დონე 0,1 პროცენტი იყო, ხოლო 2002 წლის ივნისში დეფლაციამ 2,3 პროცენტი შეადგინა.

2005 წლის ივნისში 2004 წლის ივნისთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 9,0 პროცენტი შეადგინა.

აი, ასეთია ჩვენი ცხოვრების დონე სტატისტიკის ენით. ყოველ შემთხვევაში პრაქტიკულად მისი გაუმჯობესების ტენდენცია ჯერჯერობით, რაც ძალიან სამწუხაროა, არ შეინიშნება. ვნახოთ, სექტემბერი რას მოგვცემს.

**შენ – ნიჭო ჩემო!**

# პრაღა კარგია, გაგრა საფიცარია...

**უჭირს აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას.**

**– მეტადრე უჭირს ახალგაზრდობას, მაგრამ სულით მაინც არ ეცემა, – ნიჭიერება გზას მაინც იკვლევს. გოჩა ოჩიგავაც ერთ-ერთი მათგანია.** იგი გაგრიდანაა, საკურორტო ქალაქის სითბოს ბავშვობიდან ისრუტავდა. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეს ახსოვს მისი დაცემა და თეთრი გემით გაგრიდან თავის დაღწევაც... სწავლა შემდეგ თბილისში განაგრძო, უმაღლესი განათლებაც დედაქალაქში მიიღო. წარჩინებით დაამთავრა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია. იყო აფხაზეთის ახალგაზრდული პარლამენტის თავმჯდომარე. კონკურსში გაიმარჯვა და პრაღაში გამგზავრების უფლება მოიპოვა, ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობის სტიპენდია დაენიშნა. პრაღის უნივერსიტეტის ბაზაზე წარმატებით გაიარა სადოქტორო სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული უცხო ენებისა და პროფესიული სწავლების სპეციალური კურსი. უკვე გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი. მიწვეულიც იყო ამერიკის შეერთებული შტატების ვირჯინიის შტატში კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე. გოჩა პროექტში – „ადამიანის უფლებათა ჰელსინკის ფონდი“ – გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობას აპირებს, რაც ადამიანის უფლებათა სფეროში წვრთნასა და სემინარების გავლას, საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარებას გულისხმობს. ეს კონკურსი ვარშავიდან იწყება, მოსკოვში გრძელდება და სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გრძელდება.

გარდა ამისა, გოჩა პრაღის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ საქართველოს პრეზიდენტის სახელობის სტიპენდიის მოსაპოვებლად არის წარდგენილი. მას რეკომენდაცია გაუწია აფხაზეთის უმაღლესმა სასამართლომ, საქართველოს პარლამენტმა. ადამიანის უფლებათა სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებმა: „საბინებმა“, „ქალები მომავლისათვის“, ჩეხეთის რესპუბლიკის ადვოკატთა ბიურომ, საქართველოში ჩეხების სათვისტომომ.

კითხვაზე, თუ როგორ იქცევიან ჩეხეთში სასწავლებლად ჩასული ქართველი სტუდენტები, გოჩა ოჩიგავამ მიპასუხა:

– ამას წინათ რუსმა სტუდენტებმა მოსკოვში დაგვახასიათეს, როგორც აგრესიულობით და უხეშობით გამორჩეულები. მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ, პრაღაში ჩვენებურები სიკეთით, მეგობრობით, ზოგადი განათლების მაღალი დონით გამოირჩევიან. ჩეხეთში ისინი სანიმუშონი არიან. ჩვენს ამ თვისებებს მასპინძლებიც აღიარებენ. ამბობენ კიდეც, – ქართველები საოცრად თბილი ხალხია, მათთან მეგობრობა შეიძლებაო. პრაღის უნივერსიტეტში ჩემთან სწავლობენ თბილისელები ირაკლი ჭედია, დავით ჯაჭვლიანი, სოხუმელი მარი ბოკერია, ქუთაისელი ნიკო შევჩუკი და ირაკლი სოკელოვსკი (ქართველობენ); კახეთიდან ვახტანგ დარჩიაშვილი (ის პრაღის უნივერსიტეტის რამდენიმე ფაკულტეტზე სწავლობს და ცოდნის მაღალი დონით გამოირჩევა). ჩვენი ოთახები ხომ მუდამ სავსეა ახალგაზრდებით. არის დისკუსია, სიმღერა, ცეკვა. აქ შეხვდებით ჩეხს, სლოვაკს, ბულგარელს, პოლონელს, ამერიკელს, იაპონელს, ჩინელს... მათ ვაცნობთ ქართულ კულტურას. ისინი გულდასმით უსმენენ საქართველოზე მონათხრობს.

ვაჩვენეთ ქართული ფილმები, ფოტოები...



გოჩა ოჩიგავა.

გოჩა ოჩიგავას სწავლის პროგრამა სამწლიანია, რომელიც სამეცნიერო ხარისხის მოპოვებასაც მოიცავს. გარდა ამისა, ის აქტიურად მონაწილეობს თვითმოქმედებაში, წერს ლექსებს, მღერის, უკრავს მუსიკალურ ინსტრუმენტებზე. მისი აქტიური მონაწილეობით პრაღის უნივერსიტეტში არა ერთი ქართული შინაარსის ღონისძიება გაიმართა: „მშვიდობისა და დემოკრატიისათვის“, „ქართული კულტურის დღეები“. ამ ღონისძიებებზე მოწვეულნი იყვნენ ჩეხეთში სასწავლებლად ჩამოსული სტუდენტები ამერიკიდან, რუსეთიდან, ყაზახეთიდან, უზბეკეთიდან, აზერბაიჯანიდან, მონღოლეთიდან, პოლონეთიდან, რუმინეთიდან, ბულგარეთიდან, ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებიდან, ალჟირიდან, მალიდან, ეთიოპიიდან, პალესტინიდან, სირიიდან, იორდანიიდან, კოლუმბიიდან, ეკვადორიდან. გოჩამ სათანადო ყურადღება მიაქცია პრაღის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების სტუმრობას. გოჩა მათ საქართველოს ერთ-ერთი კუთხის აფხაზეთის ღირსშესანიშნავ ადგილებზე ესაუბრა, მოუთხრო ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებზე, კულტურულ და სამეცნიერო მოღვაწეებზე, ქართული ენის სიდიადეზე. უცხოელებს ანსამბლ „ქართული ხმების“ შესრულებით ქართული სიმღერებიც მოასმენინა და საკუთარი სიმღერები აფხაზეთზეც. ამ ღონისძიებაზე პრაღის რადიომ ასე აუწყა თავის მსმენელებს: „ახალგაზრდებს მუდამ ემახსოვრებათ მრავალფეროვანი, შთამბეჭდავი და დადებითი ემოციებით დატვირთული „ქართული კულტურის დღეები“, რომლის ორგანიზატორი აფხაზეთიდან დევნილი ქართველი ჭაბუკი გოჩა ოჩიგავა იყო“.



მეგობრები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

გოჩა ჩეხეთში იმ ფესვებს ეძებს, ვისაც საქართველოსთან რაიმე ურთიერთობა ჰქონია. წლების მანძილზე საქართველოში მოღვაწე რატილის მშობლიურ ქალაქში ჩავიდა.

პრაღაში წასვლის წინ გოჩასგან მოვისმინე:

– მიხარია, რომ ევროპის ამ ქალაქში ვსწავლობ, მაგრამ სადაც არ უნდა ვიყო, ჩემი საქართველო, მისი ლამაზი კუთხე აფხაზეთი მიდგას თვალწინ.

მას სჯერა, რომ მომავალში მოღვაწეობა აფხაზეთში მოუწევს. არ ავიწყდება გაგრის ტრაგედია, ქართველთა დევნა მშობლიური ადგილებიდან. ჩეხეთშია თუ თბილისში, იგი მაინც მუდამ თავის ზღვისპირა ქალაქშია, თვალწინ უდგას გაგრის დაცემის დღეს დედის გაქვავებული სახე და რომელი ერთი ჩამოგითვალოთ... „ზლატა-პრაღაში“ ქართველების საფიცარი საქართველოა!



„ზლატა-პრაღა“.

**ნათელა ფაილოძე**

**ინფორმაცია**

## აუქციონის წესით გაიყიდება

**„რუსთავის მეტალურგიული კომბინატი“ აუქციონის წესით გაიყიდება. ეკონომიკური განვითარების სამინისტრო კომბინატზე აუქციონს ოფიციალურად რამდენიმე დღეში გამოაცხადებს, საწარმოს საწყისი ფასი კი, სავარაუდოდ, 50 მილიონი ლარი იქნება.**

**გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებს „მეტალურგიული კომბინატის“ გაკოტრების მმართველი მალხაზ ალბორაშვილი. თუმცა, ქარხნის აუქციონზე გატანას ადასტურებს კომბინატის ყოფილი ინვესტორის „არეს ინტერნეშენალის“ წარმომადგენელი გოჩა ცეკვაშვილი. მისივე თქმით, „არეს ინტერნეშენალი“ აუქციონში მონაწილეობას აუცილებლად მიიღებს.**

**მეტალურგიული კომბინატის აუქციონის წესით გაყიდვას ქარხნის კრედიტორები აპროტესტებენ.**

**„რუსთავის მეტალურგიულ კომბინატზე“ ინტერესთა გამოხატულების შესახებ განცხადება საქართველოს მთავრობამ 2005 წლის დასაწყისში გამოაქვეყნა.**

## სულხან მოლაშვილს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს

**საქართველოს კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს სულხან მოლაშვილს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. სასამართლო განაჩენის გამოცხადებას დარბაზში ხმაური მოჰყვა.**

**მოლაშვილის მხარდასაჭერად თბილისის საქალაქო სასამართლოში ოჯახის წევრები, ნათესავები იყვნენ შეკრებილი. სასამართლოს დარბაზში პარლამენტარი ლაშა ნაცვლიშვილი, მსახიობი დიმიტრი ჯაიანი და სხვა ცნობილი სახეები იმყოფებოდნენ. „საქართველოში მიმდინარეობს პოლიტიკური რეპრესიები და მანამდე გაგრძელდება, ვიდრე ქვეყნის სათავეში ამჟამინდელი ხელისუფლება იქნება. მოვა დრო და ამ პროცესის გამო მოსამართლე მანუჩარ კაპანაძე და პროცესის მონაწილე პროკურორები ჩვენებებს მისცემენ“, – განაცხადა მოლაშვილმა განაჩენის მოსმენის შემდეგ.**

**განაჩენის წაკითხვა ხმამაღალი რეპლიკების ფონზე მიმდინარეობდა. სულხან მოლაშვილის მეუღლემ სასამართლო დარბაზიდან ერთ-ერთი ქალბატონიც კი გააძევა, რომელმაც მოსამართლის დაცვა სცადა.**

**გადაწყვეტილების გამოცხადებას არ დასწრებია სულხან მოლაშვილის ოჯახის მიერ დაქირავებული არც ერთი ადვოკატი. სასამართლოში მხოლოდ სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატი გოგი ონიანი გამოცხადდა, რომელმაც განაჩენის წაკითხვამდე დატოვა დარბაზი. პროტესტის ნიშნად რამდენიმე წუთით დარბაზი დატოვეს სულხან მოლაშვილის ოჯახის წევრებმა და მხარდამჭერებმაც, თუმცა ისინი განაჩენის გამოცხადებას მაინც დაესწრნენ.**



**სულხან მოლაშვილი დამნაშავედ სცნეს სამსახურებრივი უფლებამოსილების არაერთგზის ბოროტად გამოყენებაში, სამსახურებრივი უფლებამოსილების არაერთგზის გადამეტებასა და მითვისება-გაფლანგვაში.**

**როგორც განაჩენის გამოცხადების შემდეგ მოლაშვილის ოჯახის წევრები აცხადებდნენ, პროკურატურის წარმომადგენლებისგან მათთვის წინასწარვე იყო ცნობილი, რომ მოლაშვილს 9 წლით თავისუფლების აღკვეთას მიუსჯიდნენ.**

**გადაწყვეტილების გასაჩივრება 14 დღის ვადაში თბილისის საოლქო სასამართლოშია შესაძლებელი, თუმცა, მოლაშვილის ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ მათ მხოლოდ სტრასბურგის სასამართლოს იმედი აქვთ.**

## ვინ შევა კომისიაში?

**მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის პედაგოგები სპეციალური კომისიის წევრების ვინაობას 9 სექტემბერს დაასახელებენ.**

**ამის შესახებ გუშინ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში გამართულ შეხვედრაზე სასახლის „პიონერფილმის“ ხელმძღვანელმა გრიგოლ ჩიგოგიძემ განაცხადა. მისი თქმით, სასახლეში 9 განყოფილებაა. მათი წევრები იმსჯელებენ და საკუთარ კანდიდატებს ზეგ წარმოადგენენ.**

**მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის პრობლემების შემსწავლელი სპეციალური კომისიის შექმნა გუშინ იგეგმებოდა, თუმცა, პედაგოგთა გადაწყვეტილებით ვადები შეიცვალა. კომისია თბილისის მერიის, კულტურისა და განათლების სამინისტროებისა და სასახლის პედაგოგებით დაკომპლექტდება. კომისია პედაგოგების მხრიდან გამოთქმულ ინიციატივებს ერთი თვის განმავლობაში შეისწავლის. ყველა ინიციატივა ინდივიდუალურ რეჟიმში განიხილება.**

**სასახლის პედაგოგები აქციებს 9 სექტემბრიდან ისევ განაახლებენ.**

## უმწეოებს დაეხმარებიან

**ფინანსთა სამინისტრომ სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს უმწეოთა სოციალური დახმარებებისთვს 1 650 800 ლარი გადაურიცხა. ფონდმა პროგრამული ხარჯებისთვის 696 500 ლარიც მიიღო.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროში განუცხადეს, გასული კვირის ბოლო სამუშაო დღეს სახაზინო სამსახურმა სახელმწიფო ბიუჯეტიდან 26 969 100 ლარი დახარჯა.**

**აგვისტოს თვის შრომის ანაზღაურების ნაწილი – 344 200 ლარი გადაერიცხა საბიუჯეტო ორგანიზაციებს. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ ლტოლვილთა შენახვის ხარჯების დასაფარად 38 ათასი ლარი მიიღო, 67.8 ათასი ლარით დაფინანსდა საბიუჯეტო ორგანიზაციების კვების ხარჯები.**

**საბიუჯეტო ორგანიზაციების სუბსიდიებისა და მიმდინარე ტრანსფერების დასაფინანსებლად ხაზინიდან 343 100 ლარი გაიცა. საბიუჯეტო ორგანიზაციებს მივლინებების და სხვა მომსახურებისთვის, აგრეთვე, კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად 14 546 300 ლარი გადაერიცხათ.**

**რეგიონებში განლაგებულმა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა 1 135 300 ლარი მიიღეს. დაფინანსდა სოფლის მეურნეობის და ჯანდაცვის პროგრამული ხარჯები.**

**ინტერპრესნიუსი**

**სოფელი**

# მეტეორივით შემოჭრილი... თხილი

**ჯერ კიდევ ათი-თორმეტი წლის წინათ ერთმა ჩემმა ახლობელმა, კარგმა აგრონომმა და გამრჯე მეურნემ გრიშა დოლიძემ მითხრა: თხილის მოშენებას საქართველოში დიდი პერსპექტივა აქვს, ხალხმა კარგად არ იცის მისი ფასი. დადგება დრო და თხილი ნახევარ საქართველოს დააპურებსო. ისე, ახლობლურად მირჩია კიდეც, გურიაში შენს ეზოში თხილი გააშენე, დამიჯერე, მოიგებ, მერე გაიხსენებ ჩემს სიტყვებსო. გრიშა დოლიძე გარდაიცვალა, კაცი, რომელიც სადაც კი მივიდა და იშრომა, იქაურობა ბაღნარად აქცია. მე კი მისი რჩევა მივაყურისძირე. არ დავუჯერე და, რა თქმა უნდა, წავაგე.**

ამის თქმის საფუძველს ჩემი შვებულების დროს გურიაში გატარებული დღეები მაძლევენ.

მეტი სიცხადისათვის სტატისტიკას მოვიშველიებ, გამოკვლევის შედეგად ციფრები მეტყველებენ, რომ უმუშევრობის დონე არსებითად განსხვავდება ქალაქსა და სოფელს შორის. ქალაქში ბოლო მონაცემებით, უმუშევრობა ძალიან მაღალია, 2004 წელს ეს მაჩვენებელი 24,3 პროცენტი იყო, ხოლო სოფლად 3-4 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. მდგომარეობა წელსაც არ შეცვლილა. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ სოფლად უმუშევრობის ასეთ დაბალ დონეს სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმების მასობრივი ხასიათი განაპირობებს – იგი სოფლად მთლიანი დასაქმების თითქმის 80 პროცენტია. ეს იმიტომ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციის მიხედვით საკუთარი მიწის ნაკვეთის დამუშავება ან პირუტყვის მოვლა „თვითდასაქმების“ კატეგორიას მიეკუთვნება. თუ სასოფლო თვითდასაქმებას გამოვრიცხავთ, ან მას არასრული დასაქმების კატეგორიას მივაკუთვნებთ, მაშინ სოფლად უმუშევრობის დონე გაცილებით მაღალი იქნება ქალაქთან შედარებით.



ეს იმიტომ მოვიტანე, რომ სოფელში მართლაც ყველა თავისთვის ფუსფუსებს, ეზო-კარს უვლის, საკუთარი ბოსტანი აქვს და თუ ადამიანი სულ წყალწაღებული არ არის, თავს ირჩენს და ქალაქიდან ჩამოსულ შვილებსა და შვილიშვილებსაც დაანაყრებს, სტუმარსაც შესაფერისად დახვდება. ამას დედაჩემი ნინა ჩხაიძე, ოთხმოცს გადაცილებული ქალი ახერხებს და ახალგაზრდამ რომ ვერ შეძლოს, დიდი სირცხვილია.

... დილით მეზობლის ხმამ გამომაღვიძა, თინა იყო, გუგუშვილი. სამეგრელოდან, კერძოდ, აბაშიდან გამოთხოვილმა ქალმა ქინქლაძეებს ორი ქალიშვილი შესძინა. ოჯახის ნამდვილი მუჭუჭია, ეზოში ერთ გრამ მოსავალს არ დაკარგავს. დილაადრიან დედაჩემს თავზე დაადგა, დახმარება სთხოვა, უთხრა: იქნებ იცოდე, ვინმე მეზობელი ხომ არ მიდის ოზურგეთში, თხილს გავატან ჩასაბარებლადო.

თუმცა მალევე გაირკვა, რომ ოზურგეთში წასვლა, თურმე, სულაც არ ყოფილა აუცილებელი: სოფელში დადის ავტომანქანა და თხილს საკმაოდ მაღალ ფასებში იბარებდნენ. გაიხარა თინამ, მანქანას დაუდარაჯდა და თავისი მოსავალი უკლებლივ ჩააბარა. 3,5 ლარი კილოგრამ ბერძნულა ჯიშის თხილში ცოტა არ გახლავთ.

გადავიდოდა თუ არა შუადღე, ისმოდა მანქანის სიგნალი, ხმაზე ვცნობდი, შუკაში შეუყვებოდა თუ არა, იქ ელოდებოდნენ ქალები, კაცები შეგროვებული თხილით და აბარებდნენ. გასამრჯელოს კი ხელზე ღებულობდნენ. ეს ბევრს ნიშნავს სოფლისათვის. მოსახლეობა გამოფხიზლდა, საკუთარ მოსავალზე ფიქრი დაიწყო და ეზოკარმიდამოს სულ სხვა თვალით შეხედა. ადრე თუ მხოლოდ ჩაის პლანტაციების მოვლა-პატრონობაზე ფიქრობდა, ახლა სხვა საზრუნავიც გაუჩნდათ. თხილი მათ ცხოვრებაში მეტეორივით შემოიჭრა და დიდი სარგებელიც მისცა. გლეხმა ამოისუნთქა და ახლა უფრო გულით უვლის თხილის ხეებს.

რაც მე ვნახე, სოფელ აცანის ჩემს პატარა უბანში განსაკუთრებულად მოვლილია როინ და რეზო ქინქლაძეების, ნუგზარ მგელაძის, იამზე ჯინჭარაძის, კაკო ჩხაიძის თხილის ბაღები, ერთ ზედმეტ ღერსაც ვერ შენიშნავთ. თხილის ქვეშ ნიადაგი გასუფთავებულია, ხეებს ისეთი სიმაღლე აქვთ, რომ ადვილად მიწვდე და ჩამოკრიფო, ამასთან ჩამოცვენილი თხილიც ადვილად მოძებნო.

ამიტომაც იყო, რომ მეზობლის ქალებს ერთი წუთითაც არ ჩაუმუხლავთ, შუაგულ სიცხეში – აგვისტოში ისე მარიფათიანად იმუშავეს, მტერს შეშურდებოდა. ისინი ყველანი ერთმანეთის მოყვრები არიან, სისხლით თუ არა, ერთმანეთთან თანაცხოვრებით მაინც.

– ვეღარ მოიცალე ჩემთან რომ ამოხვიდე-მეთქი? – ვუსაყვედურე გულნაზ მოდებაძეს. იგი ცოტა ჩემს ქვემოთ ცხოვრობს.

– რა ვქნა, არ მცალია, თხილი მაქვს მოსაკრეფი, ლამის თხილის ძირში დავიძინო, არ მინდა, რომ რამე დავკარგო.

არც კარგავს. ისეთი მეოჯახე ქალია, სულ წკრიალი გაუდის მის სახლ-კარს. მარტო ეს რას ეყოფა, ქათამიც მრავლად ჰყავს, ჩაისაც კრეფს, პამიდორის მოყვანას კი ვერვინ დაასწრებს.

ექვსი შვილის დედაა ლამარა ჩხაიძე, ვაჟის მოლოდინში ხუთი ქალიშვილი გააჩინა. მეექვსედ დათო შეეძინა, მშრომელი და ალალი ახალგაზრდა. ხან თბილისში საქმიანობს, ხან სოფელში დედ-მამას ეხმარება, დასაქორწინებელია და ალბათ ამ შემოდგომას არ გადააცილებს. კაკო, მამამისი გაყიდული თხილის საფასურად უთუოდ კარგ ქორწილს გადაუხდის. ლამარა უბანში ერთადერთი ქალია, რომელსაც ძროხა ეწველება და ყველსაც ყიდის, მისი ყველი რომ შეიძინო, რიგში უნდა ჩადგე. ისეთ გემრიელს აკეთებს, მეზობლები ერთმანეთს ეცილებიან. ქათმებთან ერთად იხვებიც ბლომად ჰყავს.

გენადი მგელაძის ხელწართიანობასა და ჭკუაგამჭრიახობაზე ვინ აღარ საუბრობს. რა არის, რომ მისმა ხელმა არ გააკეთოს. ოქროს ხელი აქვსო, ხშირად იტყვის დედაჩემიც. მეუღლეც ნათელა ისეთი გამრჯე და საქმის ერთგული ჰყავს, რომ რა გაუჭირდება. აი, ლამაზ-ლამაზი ციკნები, ტყეში ბარდებს რომ ეპოტინებიან, სულ მისია. სოფელი ცხოვრობს და ცოცხლობს, მთავრობას დიდად არ აწუხებენ, თავიანთი გარჯითა და შრომით ცდილობენ საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

ორი თვეა, მესამე ბიჭი გაუჩნდა ნუგზარ მგელაძეს, გენადის ძმას. მიუხედავად ჩვილბავშვიანობისა, მადონა ისეთი ყოჩაღი ქალია, მთელ უბანში ყველაზე ადრე მწვანე ლობიო მან დაკრიფა, ბულგარული წიწაკა მან მოიყვანა, ჭყინტი სიმინდი მან მოხარშა. აბა, პირველი შვილი, მეოთხეკლასელი ჯემალი ცისმარე დილას ათობით ძროხასა თუ ციკანს ტყეში მიდენის და მერე სკოლაში მიეშურება, თანაც ხუთებზე სწავლობს.

**ლალი ქინქლაძე**

◎ მერე ბიუჯეტს რაღა?

# ანგარიში ყოველთვის გასასწორებელია, ვალი კი – უკან დასაბრუნებელი

## მეორე ოპერატორის გასაჭირი

**ცნობილმა იტალიელმა კრიმინალისტმა ლომბროზომ დამნაშავეთა სამყაროს ტიპების მეტად საგულისხმო კლასიფიკაცია შექმნა, რომელსაც მთელ მსოფლიოში აღიარებენ მისი უნივერსალურობის გამო. თუმცა საეჭვოა, რომ სოფო არჩუაძისნაირი ტიპი კი არა, გნებავთ თუნდაც ერთი ეგზემპლარი იყოს აღწერილი. მისი უნიკალურობის შესახებ კი თავად შეგიძლიათ იმსჯელოთ.**



ინგა ცუცქირიძემ, ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს განცხადებით რომ მიმართა, სწორედ სოფო არჩუაძის გამო მოხდა. საქმე ის გახლავთ, რომ ი. ცუცქირიძემ, რომელიც თბილისში, ქინძმარაულის ქუჩაზე შიდა და საერთაშორისო საუბრების მომსახურებას, აგრეთვე მობილური ტელეფონების მონობარათებით ვაჭრობას ეწევა, მეორე ოპერატორად ს. არჩუაძე აიყვანა. ორ დღეში ს. არჩუაძემ მუშაობა დაიწყო, ი. ცუცქირიძემ მას ჯიხურში არსებული ფასეულობები (539 ლარის ღირებულების) ჩააბარა, თუმცა... იმავე საღამოს ი. ცუცქირიძემ შეიტყო, რომ ჯიხური დაკეტილი იყო, მოგვიანებით კი საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა თანდასწრებით მან ის გახსნა და აღმოჩნდა, რომ ს. არჩუაძეზე გადაცემული ფასეულობები (10 ცალი მონობარათი, 12 ცალი „ლაი-ლაი" ბარათი, მობილური ტელეფონი, „მაგთიკომისა" და „ლაი-ლაის" სატელეფონო ნომრები, 70 ლარი ნავაჭრი თანხა, ასევე TV-ლოტოსა და სხვა ლატარიის ბილეთები) მასთან ერთად გამქრალიყო.

ყველაზე გასაოცარი კი ის არის, რომ ყოველივე ეს ახსნა-განმარტებებით დაადასტურეს როგორც ი. ცუცქირიძემ (რაც არც არის გასაკვირი) და... ს. არჩუაძემაც, რომელიც ერთი კვირის შემდეგ საპატრულო პოლიციამ მიიყვანა ისანი-სამგორის რაიონის შს სამმართველოში. ს. არჩუაძე დაპირდა ი. ცუცქირიძეს მითვისებული ქონების უკან დაბრუნებას, თავისი საქციელი კი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით ახსნა, თუმცა... არც ერთი ნივთი უკან არ დაუბრუნებია, რის გამოც მის მიმართ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

### „მერკურ +"-ის შეცდომა

**სხვა თემაა ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს მიერ მოწოდებული მასალები შპს „მერკურ +"-ის მიერ განხორციელებული კომერციული საქმიანობისა და სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხების შემოწმების შესახებ.** როგორც სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ დადგენილებაშია აღნიშნული, შარშან ივნისში საზოგადოებამ 93325 ლარის ღირებულების 205431 ლიტრი ნავთობის ნედლეულის ადგილობრივი შესყიდვა განახორციელა, რაც საწარმოს მიერ საგადასახადო ინსპექციაში წარდგენილ შესაბამის დეკლარაციებში არ აისახა. შემდგომ, სექტემბერში, „მერკურ +"-მა კიდევ 112 ტონა მაზუთის ნედლეული შეიძინა, რაც ფირმის საბუღალტრო დოკუმენტაციაში ასევე არ აუსახავთ. სექტემბერშივე საწარმომ შეისყიდა საწვავ-საპოხი ნედლეული, ხოლო ოპერაციის შედეგად ინსპექციაში წარდგენილ მასალებში ადგილობრივი მიწოდებისთვის დღგ-ს თანხა დაახლოებით 59 ათასი ლარითაა შემცირებული.

მოკვლევის მასალებზე დაყრდნობით, ფინანსურმა პოლიციამ რკინიგზის სადგურ „ველში" საზოგადოების კუთვნილი რეზერვუარები დალუქა, სადაც საწვავ-საპოხი ნედლეული და გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქცია ინახებოდა. ამის შემდგომ, ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს მიმართვის საფუძველზე, პოლიციამ გამოიტანა დასკვნა, რომლის თანახმადაც „მერკურ +"-ის კუთვნილი 102845 ლიტრი ნეფრასი და 432125 კილოგრამი მაზუთი შეესაბამება არსებულ ნორმებს. ეს, თავისთავად, დადებითი და საგულისხმო გარემოებაა, თუმცა საზოგადოების სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხის შესწავლის შემდეგ, მას დამატებით 19180 ლარის გადახდა დაეკისრა, რაც სისხლის სამართლის აღძვრის საფუძველი გახდა.

**ეს კიდევ ერთი მაგალითია, რომ მეწარმეები, გარდა იმისა, რომ მომხმარებელს ნაღდ პროდუქციას უნდა აწვდიდნენ, სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშეც ვალმოხდილნი უნდა იყვნენ.**

**ოთარ ტურაბელიძე.**

---

◎ სამეგრელოს მხარე

# ცაიში კიდევ ბევრჯერ გაგვაოცებს

**ცაიშში არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს. სულ უფრო ნათელი ეფინება ჯერ კიდევ ბურუსით მოსილ ძველი კოლხეთის ისტორიას. ამის დასტურია მეცნიერი არქეოლოგის, კოლხეთის ისტორიის ერთ-ერთი გამორჩეული სპეციალისტის, პროფესორ რეზო პაპუაშვილის ხელმძღვანელობით ტუფურიების ეზოში აღმოჩენილი ძვ. წ. ა. VIII-VII საუკუნეების სამაროვანი სამარხი, ანუ აკლდამა.**

ტუფურიების ეზოში ნაპოვნი კოლექტიური სამარხი 30 საუკუნეს მოითვლის, რომლის შესახებ ადრე არავინ არაფერი იცოდა. პირველად მისი ვიზუალური დათვალიერება 2001 წელს შედგა. გაირკვა, რომ ეს იყო ტიპიური სამაროვანი სამარხი. 2003 წელს კი პირველი საცდელი თხრილიც გაკეთდა, რაც წლეულს სენსაციური აღმოჩენის წინაპირობა გახდა.

რეზო პაპუაშვილს, როგორც იტყვიან, სული მიუდიოდა ცაიში გათხრების დაწყებაზე, მაგრამ ფინანსების უქონლობის გამო არქეოლოგიური სამუშაოები ფერხდებოდა. ნათქამია, „სჯობს გვიან, ვინემ არასდროსო" და წლეულს, როგორც იქნა ზუგდიდის რაიონის გამგეობამ ამ საქმისთვის 4 ათასი, ხოლო ქალაქის გამგეობამ 1 ათასი ლარი გამოყო. აღსანიშნავია, რომ ამაში დიდი როლი შეასრულა რაიონის გამგებლის მოადგილემ თენგიზ ესებუამ, რადგან ის თავად ყოფილი არქეოლოგია და კარგად იცის ცაიში გათხრების მნიშვნელობა.

მართალია, ეს თანხა დიდი არ იყო, მაგრამ საქმის უთავბოლო გადადებას მაინც დაუსვა წერტილი. პირველი შედეგები უკვე არის, რითაც კმაყოფილი არიან როგორც არქეოლოგები, ისე მოსახლეობა.

სპეციალისტების აზრით, ცაიში აღმოჩენილი სამარხი ორმო მხოლოდ კოლხეთისთვისაა დამახასიათებელი და ანალოგი არსად მოეპოვება. არსებობს წერილობითი წყაროები იმის შესახებ, რომ ძველ კოლხეთში მიცვალებულებს ჯერ ხეზე კიდებდნენ, სხეულის გახრწნის შემდეგ ძვლებს ამუშავებდნენ, მერე ხდებოდა კრემაცია და კიდურები და თავი სპეციალურად გამზადებულ ორმოში ეტაპობრივად შეჰქონდათ.

ცაიშში ნაპოვნია ორი გამოსახულება: მხედრები, რომლებიც ცხენზე ქალურად სხედან და ხელში ბავშვები უჭირავთ. ასევე მიკვლეულია ცხვრის გამოსახულებები, რაც კოლხეთში „ოქროს საწმისის" არსებობის დამამტკიცებელია.

კოლხეთის ისტორია ნაკლებადაა შესწავლილი. შეიძლება ვინმემ თქვას, წერილობითი ძეგლები ფაქტორივად არ არსებობსო, სამაგიეროდ ჩნდება ისეთი ნივთიერი კულტურის ნიმუშები, რომლებიც ფასდაუდებელია მისი მრავალსაუკუნოვანი მდიდარი წარსულის შესწავლისათვის.

არქეოლოგების მიერ ცაიშში ნაპოვნი ნივთები გვაკვალიანებენ, რომ კოლხეთში 30 საუკუნის წინათ ცხოვრობდნენ მაღალი კულტურის ადამიანები. თუ ეს არა, მაშინ როგორ ამზადებდნენ ასეთი მცირე ზომის ნივთებს, ან როგორ ქმნიდნენ გრავირებულ გამოსახულებებს?

ახლა მთავარია, მათ შთამომავლობას არ დავუკარგოთ და გავაცნოთ ისინი. არქეოლოგიური გათხრები მომავალშიც გაგრძელდება. ცაიში ბევრჯერ გაგვახარებს და გაგვაოცებს.

# ამერიკულ პეპელასთან თამაში სახიფათოა

**სოფლის კაცს ყოველთვის წინააღმდეგობათა ბორბლების ქვეშ უხდებოდა ყოფნა. ასეა დღესაც. ესაა ბუნებრივ-კლიმატური თუ სხვა შემხვედრი სიძნელეები. რამდენ წყალდიდობას, მეწყერს, ქარიშხალსა და მიწისძვრას გაუძლოს გლეხმა და თანაც ასეთ მძიმე ეკონომიკურ პირობებში! თუ აქამდე სამეგრელოს მშრომელებს ბუნების მოვლენები უტევდა, ახლა მათ ე. წ. ამერიკულმა თეთრმა პეპელამაც ძალუმად შეუტია. ისე შეუტია, რომ მთლიანად გააძვალტყავა მრავალწლიანი ნარგავები.**

ეს თეთრი პეპლები დაესია ზუგდიდის რაიონის ყველა სოფელს. განსაკუთრებით ანაკლიას, ერგეტას, დიდინეჯს, შამგონას, კახათს, ინგირს, რუხს, რიყეს, ზედაეწერს, ჩხორიასა და ტყაიას.

ადგილობრივი მმართველი ორგანოების მოთხოვნის საფუძველზე სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და მცენარეთა დაცვის სახელმწიფო სამსახურმა შექმნეს სამკაციანი ოპერატიული ჯგუფი ზურაბ ლიპარტიას ხელმძღვანელობით. ჯგუფში იყო ოპერატორი ნუგზარ გალეგაშვილი და მძღოლი ავთანდილ თოთოსაშვილი. ჯგუფს მავნებელთა სალიკვიდაციო სამუშაოების ოპერატიულად ჩატარება დაევალა.

ზუგდიდში მოვლინებული ოპერატიული ჯგუფისა და ადგილობრივი დამხმარე ძალების მიერ გაკეთებულ საქმეზე გვესაუბრება **მცენარეთა დაცვის ზუგდიდის სარაიონთაშორისო სადგურის უფროსი ზაირა ღუბელაძე:**

– საკარანტინო მავნებელი – ამერიკული თეთრი პეპელა სამასამდე დასახელების მრავალწლიან და ბუჩქოვან ნარგავებს აზიანებს. განსაკუთრებით მტრობს თუთას, თხილს, ვაშლს, მსხალს, ალუბალს, კომშსა და სხვა ხეხილს. ზუგდიდში პეპელა 1991 წელს შეამჩნიეს, ხოლო 1992-93 წლებში მავნებლის გავრცელებას კეროვნული ხასიათი ჰქონდა. შემდგომ წლებში მისი რიცხობრიობა თითქოს მაქსიმალურად შემცირდა, მაგრამ წლეულს ამ საშინელმა მწერმა მთელი რაიონი მოიცვა. ოპერატიულმა ჯგუფმა ქარხნის კონვეიერიდან ახალგამოსული „ТИФА" მარკის ამერიკული აგრეგატის საშუალებით შხამქიმიკატებით შეწამლა ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი და ქალაქის ცენტრალური ქუჩების მოსახლეობის ეზოებში არსებული ხეხილის ნარგავები. თავიდან შედეგი ცუდი არ იყო, მაგრამ გადაუღებელმა წვიმებმა ხელი შეგვიშალა, შეწამვლის აგროვადებიც ამოიწურა და ზუგდიდში მივლინებული ჯგუფიც წავიდა. ასე რომ, ათასობით ჰექტარი დაზიანებული მწვანე ნარგავი დარჩა შეუწამლავი. რაოდენ საწყენიც არ უნდა იყოს, ვიტყვი, რომ სოფლის გამგებლებს დროზე უნდა გაეტანათ შხამქიმიკატები და დაერიგებინათ მოსახლეობისათვის. ხომ შეიძლებოდა ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების განკარგულებაში რიცხული სატრაქტორო შესასხურებელი დანადგარების გამოყენება, მაგრამ ამის მიმხედავი არავინ იყო.

მართალია, ქალბატონ ზაირა ღუბელაძეს გული შესტკივა მწვანე ნარგავებზე, მაგრამ მარტო ამ საქმეში უძლურია. ქვეყნის ხელისუფლებამ რაიონის მოსახლეობის გასაჭირისთვის უნდა მოიცალოს.

**ოდიკ ქუხილავა,**
**„სრ" საკ. კორ.**

---

# მოხსენება გაეროში კორუფციის შესახებ

**გამოაქვეყნეს დამოუკიდებელი საგამოძიებო კომისიის მოხსენება, რომელსაც ხელმძღვანელობს ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური სარეზერვო სისტემის ყოფილი მეთაური პოლ ვოლკერი.**



**ეს მოხსენება ეძღვნება „ნავთობი სურსათის სანაცვლოდ" გაეროს პროგრამას.**

თითქმის ათასგვერდიან დოკუმენტში მოყვანილია მონაცემები გაეროს ამ პროგრამის ფარგლებში არალეგალურ მიწოდებათა შესახებ, ჩამოთვლილია კორუმპირებულ მოხელეთა გვარები, დასახელებულია ქრთამების თანხა და გამოთქმულია საკმაოდ მძიმე ბრალდებები. ამ მეტისმეტად მკაცრმა დასკვნამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მომავალი კვირისთვის დანიშნულ სამიტზე, როცა ძლიერნი ამა ქვეყნისა გაეროს ნიუ-იორკის რეზიდენციაში შეხვდებიან ერთმანეთს, წერს იტალიური გაზეთი „ლა რეპუბლიკა".

დამოუკიდებელი კომისიის ერთწლიანი მუშაობის შედეგად შექმნილი ეს მოხსენება ეძღვნება გაეროს ისტორიაში ყველაზე სერიოზულ სკანდალს და იგი გადაეცემა ამ საქმის ორ მთავარ სუბიექტს: გაეროს გენერალურ მდივანს კოფი ანანს და უშიშროების საბჭოს, რომელიც დოკუმენტის მიღებისთანავე დაიწყებს დებატებს ამ მოხსენების თაობაზე.

ანანმა, რომელიც სამშაბათს საღამოს დაბრუნდა ლონდონიდან, არ აპირებს თანამდებობის დატოვებას, ხოლო „ბი-ბი-სისთვის" მიცემულ ინტერვიუში მან გამოთქვა მოსაზრება, რომ გაერო საერთოდ არ უნდა ჩაუღრმავდეს ამ პროგრამის გარჩევას. როგორც ცნობილია, პროგრამა „ნავთობი სურსათის სანაცვლოდ" დაიწყო 1996 წელს და იგი მიზნად ისახავდა შეემსუბუქებინა ერაყის მოსახლეობის მდგომარეობა, რომელიც მნიშვნელოვნად გაუარესდა სადამ ჰუსეინის რეჟიმის წინააღმდეგ შემოღებული სანქციების შედეგად.

და მართლაც, გაეროს ეგიდით ერაყის ნავთობის გაყიდვის შედეგად ამონაგები სახსრები ხმარდებოდა სურსათისა და მედიკამენტების შესყიდვას. მაგრამ, გაეროს არაეფექტიანი მუშაობის, უშიშროების საბჭოს უსულგულო დამოკიდებულების და მთელი მსოფლიოს მასშტაბით უზარმაზარი ქრთამების შედეგად, სადამ ჰუსეინმა შეძლო ეს პროგრამა გამოეყენებინა პირადი გამდიდრებისა და შეიარაღების შესყიდვის მიზნით.

გასულ თვეებში წარმოდგენილ ორ მოხსენებაში ვოლკერის კომისიის წევრები აღნიშნავდნენ, რომ პირადი პასუხისმგებლობა ეკისრებათ გაეროს ზოგიერთ მაღალი თანამდებობის მოხელეს. მოხსენებებში ასევე აღნიშნული იყო, რომ საკმაოდ ბუნდოვან როლს ასრულებდა პროგრამის განხორციელებაში გაეროს გენერალური მდივნის ვაჟი კოიო ანანი. იგი მუშაობდა შვეიცარიის „კოტეკნას" კომპანიაში, რომელიც აყვავდა გაეროს ამ პროგრამის რეალიზაციის წყალობით. დოკუმენტი შეიცავს ამ სკანდალის სრულ სურათს, მასში გამოთქმულია ბრალდებები კონკრეტულ პირთა მიმართ და წინადადებები.

მოხსენების ავტორები არ ადანაშაულებენ კოფი ანანს მისი ვაჟის უკანონო საქმიანობის გამო, მაგრამ საკმაოდ აკრიტიკებენ გაეროს ამჟამინდელ გენერალურ მდივანს, მის წინამორბედს ბუტროს გალის და თვით უშიშროების საბჭოსაც. ამასთან, განსაკუთრებით გამოყოფილია გაეროს უშიშროების საბჭოს ორი მუდმივი წევრი – საფრანგეთი და რუსეთი. ვოლკერი აღნიშნავს, რომ გაეროს მუშაობა უნდა ეფუძნებოდეს კომპეტენტურობას, პატიოსნებას და ორგანიზაციის წევრი-ქვეყნების მიმართ პასუხისმგებლობას: „სწორედ ეს თვისებები ძალზე ხშირად არ შეინიშნებოდა ხოლმე „ნავთობი სურსათის ნაცვლად" პროგრამის მართვის დროს".

რაც შეეხება თვით ანანს, კომისიის დასკვნები მისთვის ძალზე არახელსაყრელ მომენტში გამოქვეყნდა. ერთი მხრივ, ეს დოკუმენტი მძიმე დარტყმას აყენებს გენერალური მდივნის რეპუტაციას 14-16 სექტემბრისთვის დანიშნული გაეროს რეფორმებისადმი მიძღვნილი სამიტის წინ, რომლის წყალობითაც ანანი აპირებდა დაეტოვებინა კვალი ისტორიაში. მეორე მხრივ კი, მოხსენება კიდევ უფრო ართულებს მოსამზადებელ მუშაობას, რომელსაც უკვე გამოუცხადა საბოტაჟი თავისი მოქმედებით ჯონ ბოლტონმა, ამერიკის ახალმა ელჩმა გაეროში. ბოლტონმა, რომელიც ცნობილია თავისი კონსერვატიული პოზიციებით და მრავალპოლარულობისადმი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულებით, უკვე წარმოადგინა ასობით შესწორება სამიტის დასკვნით განცხადებაში, რამაც, შესაძლოა გამოიწვიოს ამ უმაღლესი დონის შეხვედრის საერთოდ ჩაშლაც კი, წერს დასასრულ იტალიური გამოცემა.

# ეგვიპტეში პრეზიდენტის პირდაპირი ალტერნატიული არჩევნები გაიმართება

**ეგვიპტეში, ამ ქვეყნის ისტორიაში პირველად გაიმართება სახელმწიფოს მეთაურის არჩევნები ალტერნატიულ საფუძველზე. ქვეყნის ამჟამინდელ პრეზიდენტს და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერს ჰოსნი მუბარაქს არჩევნებზე 9 კანდიდატი დაუპირისპირდება.**

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრთა თქმით, ხმების დაანგარიშებას დასჭირდება სულ ცოტა სამი დღე, და არჩევნების შედეგები, ალბათ, შაბათამდე ვერ შეჯამდება. 77 წლის მუბარაქი კენჭს იყრის მეხუთე საპრეზიდენტო ვადით. მისი ძირითადი კონკურენტები არიან აიმან ნური (პარტია „ალ-გადი" – „ხვალ") და ნაუმან ალ-გუმაა „ალ-ვაფდის" პარტიიდან. წერა-კითხვის უცოდინარი ამომრჩევლებისთვის კანდიდატების გვარების გასწვრივ დაბეჭდილი იქნება სპეციალური სიმბოლოები. მაგალითად, მუბარაქისთვის სიმბოლოდ შეარჩიეს ნახევარმთვარე, ნურისა და ალ-გუმაასთვის შესაბამისად –პალმა და ჩირაღდანი.

იმის მიუხედავად, რომ არჩევნები ალტერნატიულია, გამარჯვებულის ვინაობა თითქმის ყველამ იცის – იგი იქნება ქვეყნის მოქმედი პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს არჩევნების შედეგები უკვე მთლიანად გადაწყვეტილი იყოს. ყველაზე სერიოზული პრობლემა, რომელსაც შეიძლება გადააწყდეს ხელისუფლება, არის ამომრჩეველთა გამოცხადების დაბალი დონე.

ეგვიპტეში საარჩევნო ხმის უფლების მქონე მოქალაქეთა რიცხვი დაახლოებით 32 მილიონს შეადგენს.

არჩევნებზე არ იქნებიან მეთვალყურეები – არც უცხოელები და არც ეგვიპტის საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები. მაგრამ ორი ათასამდე საზღვარგარეთელი ჟურნალისტი მაინც გააშუქებს პრეზიდენტის არჩევნების მიმდინარეობას.

გარდა ამისა, ხელისუფლებას საკმაო უსიამოვნება შეიძლება მიაყენონ მოხალისე-მეთვალყურეებმა, მოსამართლეებმა და ოპოზიციონერებმა, რომლებიც აპირებენ არჩევნებს მიუძღვნან დიდმასშტაბიანი საპროტესტო აქციები.



# მკვლელობა ღაზის სექტორში

**ღაზის სექტორში მოკლეს პალესტინის ავტონომიის საერთო უშიშროების სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი, იასირ არაფატის ბიძაშვილი – მუსა არაფატი. ჯერჯერობით არც ერთ პალესტინურ დაჯგუფებას არ უკისრია პასუხისმგებლობა ამ მკვლელობის გამო.**

დაუდგენელმა შეიარაღებულმა პირებმა მუსა არაფატი მისივე სახლში მოკლეს. გავრცელებული ინფორმაციით, შეიარაღებულ პირთა ჯგუფმა ჯერ ცეცხლი დაუშინა არაფატის სახლს, შემდეგ კი შტურმით აიღო შენობა.

არაფატის სახლზე თავდასხმის დროს გაიტაცეს მისი უფროსი ვაჟი ნიმჰელი, რომელიც ასევე არის უშიშროების სამსახურის მაღალი თანამდებობის თანამშრომელი.

შეგახსენებთ, რომ ერთი წლის წინათ „ალ-აქსის მოწამეთა ბრიგადების" ზემოქმედების შედეგად იასირ არაფატმა თავისი ბიძაშვილი გადააყენა მთელი ავტონომიის ეროვნული უშიშროების სამმართველოს უფროსის პოსტიდან და დანიშნა უფრო დაბალ თანამდებობაზე ეროვნულ სპეცსამსახურში.

მაგრამ მუსა არაფატი ინარჩუნებდა ღაზის სექტორში საერთო უშიშროების სამსახურის მეთაურის თანამდებობას, იგი ემორჩილებოდა გენერალ მაჯეიდს, რომელიც ხელმძღვანელობს ამ სამსახურს ღაზის სექტორსა და მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე. მუსა არაფატის დანიშვნამ უწესრიგობათა ტალღა გამოიწვია ამ ტერიტორიებზე. საპროტესტო აქციათა მონაწილეები მას ადანაშაულებდნენ კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობასა და ხაზინის ქურდობაში.

მოგვიანებით, 65 წლის მუსა არაფატი ამ თანამდებობიდანაც დაითხოვა პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის ამჟამინდელმა მეთაურმა მაჰმუდ აბასმა. მას ბრალდებები კორუფციაში წაუყენეს პალესტინელთა სხვადასხვა ფრაქციების წარმომადგენლებმა.

მუსა არაფატი იყო მოძრაობა „ფათჰის" ერთ-ერთი დამფუძნებელი, მას მრავალი მტერი ჰყავდა და, როგორც ვარაუდობენ, მუსა არაფატის ფიზიკური განადგურება უნდა უკავშირდებოდეს პალესტინელთა ფრაქციებს შორის არსებულ კონფლიქტს.

---

07 სექტემბერი, 2005 წელი — ქ. რუსთავი

# განცხადება

## სს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის" გაკოტრების მმართველი მალხაზ ალბორაშვილი აცხადებს აუქციონს სს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის" კუთვნილ გაკოტრების მასაში შემავალ ქონებაზე

**სს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის" საქმიანობის სფეროა მეტალურგიული წარმოება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა – სააქციო საზოგადოება.**

**1. აუქციონზე იყიდება:**

ა) სს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის" კუთვნილ გაკოტრების მასაში არსებული ქონება: საწარმოს ტერიტორია (მიწის ნაკვეთი), წყლის ფილტრატი, წყლის საქაჩი (წყალაღების სისტემა), სხვადასხვა მოწყობილობა და მანქანა-დანადგარები, წიდასაყარი, ნაცარსაყარი, მილსაგლინავი, მილამდიდავი, საგლინავი, რკინიგზის, მექანიკური და სხვა საამქროები (გარდა კირისა და დოლომიტის საამქროს მოწყობილობის, მანქანა-დანადგარების, შენობა-ნაგებობების, მიწის ნაკვეთის და დედოფლისწყაროს რაიონში მდებარე კირქვის კარიერზე არსებული ქონებისა) მიწის საერთო ფართით 4 845 766 მ².

ბ) ქ. რუსთავში გაგარინის ქუჩა №12-ში არსებული კირისა და დოლომიტის საამქროს მოწყობილობა, მანქანა-დანადგარები, შენობა-ნაგებობები და მიწის ნაკვეთი 45 936 მ²;

გ) დედოფლისწყაროს რაიონში მდებარე კირქვის კარიერზე არსებული სს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის" მოწყობილობა, მანქანა-დანადგარები, შენობა-ნაგებობები, მისასვლელი გზები, მიწის ნაკვეთი 35 000 მ².

**2. ქონების საწყისი ფასია:**

ა) სს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის" კუთვნილი დანარჩენი ქონება - 20 500 000 $ აშშ დოლარი ეროვნულ ვალუტაში.

ბ) კირისა და დოლომიტის საამქრო - 1 000 000 $ აშშ დოლარი ეროვნულ ვალუტაში.

გ) დედოფლისწყაროს რაიონში მდებარე კირქვის კარიერზე არსებული ქონება - 500 000 $ აშშ დოლარი ეროვნულ ვალუტაში.

**3. აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა უნდა შეიტანონ ბეს სახით თანხა სს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის" სს „თი-ბი-სი ბანკის" ქვემო ქართლის რეგიონალურ ფილიალში არსებულ ანგარიშზე №240801:**

ა) სს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის" კუთვნილ დანარჩენ ქონებაზე 2 050 000 $ აშშ დოლარი ეროვნულ ვალუტაში.

ბ) კირისა და დოლომიტის საამქროზე 100 000 $ აშშ დოლარი ეროვნულ ვალუტაში.

გ) დედოფლისწყაროს რაიონში მდებარე კირქვის კარიერზე არსებულ ქონებაზე – 50 000 $ აშშ დოლარი ეროვნულ ვალუტაში.

**4. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის გადახდა, არანაკლებ საწყისი ფასის ბიჯის გათვალისწინებით, რომელიც შეადგენს:**

ა) სს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის" კუთვნილ დანარჩენ ქონებაზე - 50 000 $ აშშ დოლარს ეროვნულ ვალუტაში.

ბ) კირისა და დოლომიტის საამქროზე - 20 000 $ აშშ დოლარს ეროვნულ ვალუტაში.

გ) დედოფლისწყაროს რაიონში მდებარე კირქვის კარიერზე არსებულ ქონებაზე - 10 000 $ აშშ დოლარს ეროვნულ ვალუტაში,

5. განაცხადების წარმოდგენისა და ბეს გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითრის, აგრეთვე აუქციონში მონაწილეობის მსურველის პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტის, იურიდული პირის დამადასტურებელი სადამფუძნებლო დოკუმენტაციისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების, ნოტარიალურად დადასტურებული დოკუმენტების წარმოდგენის ვადა განისაზღვრება 2005 წლის 07 ოქტომბრამდე სს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის" იურიდიულ მისამართზე ქ. რუსთავში გაგარინის ქუჩა №12-ში.

6. აუქციონში მონაწილის მსურველის მიერ **ბეს სახით გადახდილი თანხა ბეს გადამხდელს დაუბრუნდება** მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განაცხადის მქონე პირი მიიღებს მონაწილეობას გამართულ აუქციონში და ვერ გაიმარჯვებს (წინააღმდეგ შემთხვევაში ბეს გადამხდელს თანხა არ დაუბრუნდება), ხოლო აუქციონზე **გამარჯვებულს გადახდილი ბე ჩაეთვლება თანხის ნაწილის წინასწარ გადახდაში.**

7. აუქციონზე გამარჯვებულის მიერ **თანხის ნახევარი (აუქციონზე გაყიდული ქონების ფასის 50%) გადახდილი უნდა იქნეს აუქციონის დამთავრებიდან ერთი თვის ვადაში 2005 წლის 13 ნოემბრამდე, ხოლო თანხა სრულად უნდა იქნეს დაფარული აუქციონის დამთავრებიდან ორ თვეში 2005 წლის 13 დეკემბრამდე**. აუქციონზე გამარჯვებულის მიერ თანხის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს შემოტანილი თანხა უკან არ დაუბრუნდება, არ ექნება უფლება განაცხადოს რაიმე პრეტენზია ქონებაზე და დაინიშნება ხელახალი აუქციონი ქონების რეალიზაციის მიზნით. **აუქციონზე გამარჯვებული ქონებაზე საკუთრების უფლებას მოიპოვებს მხოლოდ თანხის დანიშნულ ვადაში სრულად გადახდის შემთხვევაში.**

**8. აუქციონი დანიშნულია 2005 წლის 12 ოქტომბერს, აუქციონი გაიმართება სს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის" ადმინისტრაციულ შენობაში, ქ. რუსთავში გაგარინის ქუჩა №12-ში:**

ა) სს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის" კუთვნილ გაკოტრების მასაში არსებულ ქონებაზე (გარდა კირისა და დოლომიტის საამქროს მოწყობილობის, მანქანა-დანადგარების, შენობა-ნაგებობების, მიწის ნაკვეთის და დედოფლისწყაროს რაიონში მდებარე კირქვის კარიერზე არსებული ქონებისა) **11 საათზე.**

ბ) კირისა და დოლომიტის საამქროს მოწყობილობასა და მანქანა-დანადგარებზე, შენობა-ნაგებობებსა და მიწის ნაკვეთზე **13 საათზე.**

გ) დედოფლისწყაროს რაიონში მდებარე კირქვის კარიერზე არსებულ ქონებაზე **15 საათზე.**

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ქ. რუსთავში სს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის" იურიდიულ მისამართზე, ტელეფონი **№824-19-40-20, №824-19-20-95.**

გაკოტრების მმართველი
**მალხაზ ალბორაშვილი**

◎ ჟურნალისტი მივლინებიდან დაბრუნდა

# 1. შენებაშია მშვენება...

*ვიდრე კალამს ხელს მოვკიდებდი, ჩვენი გაზეთის ერთი წლის წინანდელ ნომრებს თვალი გადავავლე. რა დრო გასულა, თანაც — ასე სწრაფად! თითქოს გუშინ იყო, როცა დაუვიწყარ აჭარაზე იმ სტრიქონებს ვწერდი. გუშინ დავბრუნდი მივლინებიდან და უკვე მერამდენედ ვეკითხები ჩემს თავს: რითი დავიწყო? მე ხომ უამრავი მასალა და შთაბეჭდილება ჩამოვიტანე! როგორ დავალაგო ისინი, რომ მკითხველმაც სათანადოდ აღიქვას და განიცადოს? მაგრამ ღმერთი მაღალია — მისი შეწევნით სათქმელს უთუოდ ვიტყვი!*

*მოვლენებს წინ უნდა გავუსწრო და შორეულ ხულოში სულიკო თავართქილაძესთან საუბრის ერთი მონაკვეთი გავიხსენო. როგორღაც სიტყვა საქართველოსთან აჭარის დაბრუნებაზე ჩამოვარდა. „— რას გეტყვით, იცით? — უცებ გაწიწმატდა ჩემი თანამოსაუბრე, — აჭარა არსადაც არ წასულა!“ ვუხსნი, რომ მხედველობაში მქონდა სამასწლიანი შავბნელი ეპოქა. არაფრის გაგონება არ სურს. რაღაცნაირად მსიამოვნებს კიდეც მისი სიჯიუტე.*

*მაგრამ მეც მახსოვს ზოგ-ზოგი რამ ახლო წარსულიდან. თუნდაც ის, რომ თბილისელებს ხელოვნურად გვაბრკოლებდნენ ხოლმე ჩოლოქთან, სანთლით რომ გეძებნათ, ბათუმში ერთ ცალ „საქართველოს რესპუბლიკას“ ვერ ნახავდით, „ასლან-ფაშა“ დემონსტრაციულად არ ჩამოდიოდა დედაქალაქში, ცენტრალურ ბიუჯეტს კი კუთვნილ თანხებს არ ურიცხავდნენ...*

*და მაინც ვეთანხმები ბატონ სულიკოს: აჭარა არც იმ სამასი წლის მანძილზე „არ წასულა“ საქართველოდან და, მით უმეტეს, არ წასულა გუშინ და გუშინწინ — ის ყოველთვის მშობელ დედასთან იყო თავისი მრწამსით, ცხოვრების სტილით, მსოფლგაგებით და სულისკვეთებით! ხოლო ვინც ამისი მოსურნე გახლდათ, დიდი ხანია, დასამარდნენ! ასე დაემართება ყველას, ვინც საქართველოსთვის უამურს მოინებებს...*

*ჯანდაბას ქვეყნად ყველა ფარღული,*
*ოცნებამ სულ სხვა ფიქრი აჩალა, —*
*ვარ მწევარივით კვალზე გაკრული,*
*ისევ ვიხილო უნდა აჭარა!*
*აჭარა კი ბათუმით იწყება...*

*ხოლო თუ ბათუმზე წერ, უსათუოდ მის თავკაცს — **მურმან ბერიძეს** უნდა შეხვდე.*

*ასეც მოვიქეცი.*



მე კი არა, მთელმა საქართველომ იცის, რომ ბათუმშიც და მთლიანად აჭარაში ბევრი რამ შეიცვალა.

— წინა ხელისუფლებამ უმძიმესი ეკონომიკური და სოციალური პრობლემები დაგვიტოვა. უმიზნოდ და უყაირათოდ იხარჯებოდა ქალაქის ბიუჯეტი. გაჩანაგებული იყო საქალაქო მეურნეობის მთელი ინფრასტრუქტურა. მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის არც ერთი პროგრამა არ ხორციელდებოდა.

აქედან გამომდინარე ქალაქის მთავრობამ გასაზღვრა მისი ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრიორიტეტები.

2004 წელს ქალაქის ბიუჯეტმა შეადგინა 12 მილიონი ლარი. აქედან ნახევარი მაისამდე დაიხარჯა. მიმდინარე წლის ექვს თვეში ქალაქის ბიუჯეტში შემოვიდა 7,5 მილიონი ლარი. გარდა ამისა, 4 მილიონი ლარით დაგვეხმარა აჭარის მთავრობა. აღნიშნული საბიუჯეტო შემოსავლები პრიორიტეტების მიხედვით განაწილდა. პირველ რიგში იგი საქალაქო მეურნეობის ინფრასტრუქტურის აღდგენას მოხმარდა — დაიხარჯა 11 401,7 ათასი ლარი. მათ შორის: კეთილმოწყობის ღონისძიებებზე — 7 243,4 ათასი ლარი, წყალმომარაგებაზე — 1 313,4 ათასი ლარი, სანიტარიულ დასუფთავებაზე — 1 637,6 ათასი ლარი, გამწვანებასა და პარკების მოვლა-შენახვაზე — 389,3 ათასი ლარი, სხვადასხვა სამშენებლო-სარემონტო საპროექტო ღონისძიებებზე — 818 ათასი ლარი.

**— ახლა განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გზებს...**

— როგორც ქვეყანაში, ისე ჩვენთანაც ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა გზებია. ქალაქში 200-ზე მეტი ქუჩაა. თითქმის ყველა კაპიტალურად შესაკეთებელი იყო. უკვე შეკეთდა 38. მათ შორის აღსანიშნავია გოგებაშვილის ქუჩის მონაკვეთი, აეროპორტიდან ქალაქში შემოსასვლელი. მსოფლიო ბანკის მუნიციპალური განვითარების ფონდის მხარდაჭერით დაიწყო სულაბერიძის ქუჩის რეკონსტრუქცია მიწისქვეშა კომუნიკაციებით და განათების სისტემის მონტაჟით, რომელიც ოთხ თვეში უნდა დამთავრდეს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსური დახმარებით მოხდა მოსკოვის, მთისძირის, ხიმშიაშვილის, ბაგრატიონის, თამარის გამზირის, რუსთაველის ქუჩის ორი მონაკვეთის მთლიანი რეკონსტრუქცია მიწისქვეშა კომუნიკაციებით. მთლიანად კაპიტალურად შეკეთებული ქუჩების საერთო ფართი 100 668 კვადრატული მეტრია.

**— ბატონო მურმან, თქვენც თბილისივით ხომ არ გაწუხებთ მიკროავტობუსების სიმრავლე?**

— არც უმაგისობაა, ამიტომ ქუჩების განტვირთვისთვის ქალაქის ბიუჯეტის სახსრებით შევიძინეთ „ბოგდანის“ ტიპის 30 ავტობუსი. წლის ბოლომდე ვაპირებთ კიდევ 15 ავტობუსის შეძენას. ყოველივე ამის შემდეგ მნიშვნელოვნად განიტვირთება ქალაქი, ამასთან, გაიაფდება მგზავრობის ღირებულება.

ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფაა. არსებული ქსელი გასული საუკუნის სამოციან წლებშია შექმნილი. მას შემდეგ მისი აღდგენისათვის კაპიტალური სამუშაოები არ ჩატარებულა. რეაბილიტაციას საჭიროებს ჩაქვის წყალსადენის სათავე ნაგებობა, რაც მსოფლიო მუნიციპალური განვითარების ფონდის ინვესტიციით უახლოეს პერიოდში განხორციელდება, მისი სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა 2,4 მილიონი ლარი.

გარდა ამისა, გერმანიის სამთავრობო ბანკი KFW გეგმავს საინვესტიციო პროგრამას 50 მლნ. ევროს ოდენობით (გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტი). პროექტი ითვალისწინებს ჩაქვის წყალსადენის მაგისტრალური 26 კმ მილსადენისა და ქალაქის წყალმომარაგების მთლიანი ქსელის რეაბილიტაციას. მოწესრიგდება 28 ათასი კუბური მეტრი მოცულობის სამარაგო რეზერვუარები, მოწესრიგდება ყოროლისწყლის წყალსადენის სათავე გამწმენდი ნაგებობა და ქალაქში შემომყვანი მაგისტრალური მილსადენიც.

მუნიციპალური განვითარების ფონდი ბათუმში ახორციელებს ქალაქის კანალიზაციის მთავარი კოლექტორის დაზიანებული 400-მეტრიანი მონაკვეთის მშენებლობას, რაზეც 3 მლნ. დოლარი დაიხარჯება.

ამჟამად მუშავდება გერმანელების პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება. ბათუმში იმყოფებიან ტენდერში გამარჯვებული ფირმა „მაქსის“ ექსპერტები, ისინი შეისწავლიან წყალკანალიზაციის საინჟინრო ნაგებობებისა და კომუნიკაციების მდგომარეობას, რის საფუძველზეც დამუშავდება სარეაბილიტაციო პროექტები და 2006 წლიდან დაიწყება პროგრამის რეალიზება. გეგმაში გვაქვს სხვა ღონისძიებებიც.

**— წლეულს ბათუმმა არაერთხელ განიცადა სტიქიის შემოტევა. დედაქალაქში შეშფოთებით ვადევნებდით თვალს ტელეეკრანს...**

— მოგახსენებთ... გაყვანილია ახალი სანიაღვრე სისტემა 1760 გრძივ მეტრზე, სისტემატურად იწმინდება ზღვაში გამავალი სანიაღვრე არხები და კოლექტორები. ასეთი სამუშაოები შესრულდა 35 ქუჩაზე, რის შედეგადაც წვიმების დროს წყლით აღარ იტბორება. თამარის დასახლებაში, მდინარე ყოროლისწყლის მარცხენა ნაპირზე თებერვალში დაიწყო და ახლახან დასრულდა ნაპირდამცავი კედლის (გაბიონის) მშენებლობა. მდინარის კალაპოტის გაწმენდითი სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულმა შპს „ფიროსმანმა“ ჩაატარა. ქალაქის ბიუჯეტიდან გაიხარჯა 402 068 ლარი. ამით თამარის დასახლების 45 ოჯახს მოეხსნა ხშირი წვიმების დროს ადიდებული მდინარის წყლით დატბორვის პრობლემა. დასრულდა აგრეთვე თამარის გამზირზე ზღვის სანაპიროს საყრდენი კედლის სარემონტო სამუშაოები.

უკვე შესწავლილია და დასრულდა სტიქიის შედეგად დაზიანებული ჩაქვის, ყოროლისწყლისა და ლეჩოს სათავე ნაგებობების და მათგან გამომავალი მილსადენების გამაგრებითი და აღდგენითი სამუშაოების მოცულობები. ამ მხრივ მუშაობა, ცხადია, კვლავაც გაგრძელდება.

**— თუ შეიძლება, ზღვისპირა პარკზეც გვითხარით ორიოდე სიტყვა.**

— ბათუმი ყოველთვის ამაყობდა თავისი ზღვისპირა პარკით, რომელსაც საფუძველი წინა საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა. ახლა იგი ხუთ კილომეტრზეა გაჭიმული. მთელს ტერიტორიაზე შეიქმნა ახალი საკომუნიკაციო ქსელი — წყალსადენი, კანალიზაცია, სანიაღვრე არხები, უწყვეტი ელექტრომომარაგება, დეკორატიული განათება. მოეწყო სამი ახალი ხეივანი — დეკორატიული ფილებით, ბორდიურებით, გამწვანებით, ლამპიონებით. არდაგანის ტბაზე განხორციელდა მთელი რიგი სამუშაოები ტერიტორიის გასაფართოებლად, გასაწმენდად, მოეწყო ორი ხელოვნური კუნძული, გაშენდა ბამბუკის ხეივანი, გადასასვლელი ხიდი, ბიზნეს ცენტრ „რივიერას“ მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარეობს ახალი ბილიკის მოწყობა. მთლიანად ზღვისპირა პარკის რეკონსტრუქციასა და სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 1 181 600 ლარი დაიხარჯა. ასეთი მასშტაბის სამუშაოები არასოდეს შესრულებულა.

**— უცხო თვალი უცბად ამჩნევს ხოლმე რაიმე სიახლეს. ქალაქში ახალი, დეკორატიული ლამპიონებიც დაგიმონტაჟებიათ.**

— დიახ, ქალაქის იერსახეს სრულიად ახალი ელფერი მისცა გარეგანათების სისტემის რეკონსტრუქციამ, რისთვისაც ქალაქის ბიუჯეტიდან იხარჯება 682 300 ლარი. ცენტრალურ ქუჩებში დამონტაჟდა 600-მდე დეკორატიული ლამპიონი. შევიძინეთ 2800 ცალი ეკონომიური ნათურა, რამაც საგრძნობლად შეამცირა ელექტროენერგიის ხარჯვა.

**— ბატონო მურმან, მოგეხსენებათ, დღეს ბევრს საუბრობენ პრივატიზაციაზე. თქვენთან როგორ არის საქმე, თქვენც ხომ არ ჩქარობთ?**

— განვლილ პერიოდში სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისა და საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებისათვის. მკვდარი წერტილიდან დაიძრა პრივატიზაციის პროგრამა, რომელიც წლების განმავლობაში იყო შეჩერებული. გაიყიდა 60 უმოქმედო საწარმო და არასაცხოვრებელი ფართი. პრივატიზაციიდან ქალაქის ბიუჯეტში შემოვიდა 2 მილიონი ლარი. გადაწყდა ქალაქის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის განკარგვის საკითხი. ბევრი უმოქმედო, გამოუყენებელი ფართობი გაიცა იჯარით, გაიყიდა მიზნობრივი კონკურსის საშუალებით, საბინაო მშენებლობისათვის საკონკურსო პირობებში ჩადებულია ქალაქისათვის საბინაო ფონდის გამოყოფა. მარტო ორი სახლის აშენებიდან მუნიციპალიტეტი მიიღებს საბინაო ფონდს, რომლითაც მთლიანად დააკმაყოფილებს გასული წლების საგარანტიო, ხანძრის შედეგად უბინაო მოქალაქეთა ბინის პრობლემებს.

პრივატიზაციიდან და მიწის გაცემის შედეგად პირველ ეტაპზე ჩვენი ვარაუდით 50 მილიონი დოლარის ინვესტიცია შემოვა ქალაქში. ერთი სიტყვით, არც საქმე გველევა და არც საფიქრალი. ვნახოთ...

**— აკი ნათქვამია, „შენებაშია მშვენება“. მე მგონი, შენება მართლაც შესანიშნავი რამ არის.**

— გეთანხმებით...

ესაუბრა
**ელგუჯა ლეჟავაძე.**
„სრ“ სპეც. კორ.
თბილისი-ბათუმი-თბილისი.

**სურათებზე: მურმან ბერიძე; ბათუმის სიახლეები.**







◎ ინფორმაცია

## არამი ლუკმა ვის შერგებია?

**ქართველთა სახლებში მცხოვრები აფხაზები თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლებისგან უძრავი ქონების მათ სახელზე გადაფორმებას მოითხოვენ.**

**ქართველთა სახლებში მცხოვრებმა 100-მა აფხაზი ეროვნების მოქალაქემ გუშინ სოხუმის მერიასთან საპროტესტო აქცია გამართა და სოხუმის მერ ასტამურ ადლეიბასგან ხელისუფლების მიერ მათთვის დროებით საცხოვრებლად გადაცემული სახლების დაკანონება მოითხოვა.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ სოხუმიდან აცნობეს, აფხაზური ხელისუფლება დევნილთა ქონების გადასაფორმებლად სახლების ქართველი მესაკუთრეების ოფიციალურ თანხმობას ითხოვს.**

**ქალაქის მერმა ასტამურ ადლეიბამ „პროტესტანტი მოქალაქეები“ საკითხების გასარკვევად აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების დეპარტამენტის ხელმძღვანელ დაურ თარბასთან გააგზავნა.**

**აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტ სერგეი ბაღაფშის განკარგულებით, 15 მაისიდან აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე უძრავი ქონების აღრიცხავა დაიწყო, რომელიც 1 ოქტომბრისთვის უნდა დამთავრდეს.**

**ბაღაფშის ადმინისტრაციის უფროსის ვალერი არშბას ინფორმაციით, აფხაზეთში უპატრონოდ დარჩენილი ქონების 60 პროცენტი ახალ მფლობელებზე სასამართლოს წესით არის გასხვისებული.**

## პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსანი დაჭრეს

**გურჯაანის რაიონის სოფელ კალაურის ერთ-ერთ ოჯახში, ურთიერთშელაპარაკებისას გურჯაანის რაიონის პოლიციის სამძებრო განყოფილების ყოფილი უფროსი ავთანდილ ბიწკინაშვილი დაჭრეს.**

**გავრცელებული ინფორმაციით, მას ცივი იარაღით მრავლობითი ჭრილობა ამავე პოლიციის ყოფილმა თანამშრომელმა ნუგზარ კვარაცხელიამ მიაყენა.**

**დაზარალებული გურჯაანის რაიონულ საავადმყოფოშია მოთავსებული. მედიკოსთა განცხადებით, იგი მძიმე მდგომარეობაშია.**

**თავად ეჭვმიტანილი უკვე დაკავებულია და გურჯაანის პოლიციის წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება.**

**მომხდარზე სამართალდამცავებს ჯერჯერობით ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებიათ.**

## ვინ ისროლა ყუმბარა?

**ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალების სარდალი, გენერალ-მაიორი მარატ კულახმეტოვი აცხადებს, რომ ოსურ სოფელ მამითადან ჩრდილო-აღმოსავლეთით, რვაასი მეტრის დაშორებით ყუმბარა აფეთქდა. შემთხვევის ადგილი სამმხრივმა კომისიამ დაათვალიერა, რომელმაც ძიება დაიწყო და თვითმხილველები დაკითხა.**

**კულახმეტოვის ინფორმაციით, ყუმბარა ახლომდებარე სიმაღლიდან ყუმბარმტყორცნის საშუალებით ისროლეს.**

**„გასროლა პროვოკაციის მიზნით განხორციელდა და უსაფუძვლოა იმაზე ლაპარაკი, რომ ამ აქტის ჩამდენი პირები ოსურ ან ქართულ მხარეებს მიეკუთვნებიან. ჩვენ ხელთ არსებული მტკიცებულებებით, მხოლოდ ვარაუდებით შეიძლება ლაპარაკი. რაიმე დასკვნების გაკეთება, თუკი რეალური ფაქტები არ არსებობს, იმ ძალებს ხელს აძლევს, რომლებიც ვითარების გამწვავებით არიან დაინტერესებულნი“, — აცხადებს მარატ კულახმეტოვი.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ გამოიცა

# „გული ყოველთვის მთელი უნდა იყოს...“

**უკვე თორმეტი წელია, მოსვენებას არ გვაძლევს დაკარგული ტერიტორიების ბედი. ქართველებს არ გვასვენებს როგორც მოკვეთილი მარჯვენა, ხოლო ავისმდომლებს — როგორც ყელში გაჩხერილი ძვალი. დროდადრო პრესაში კვლავაც აქტიურად ჟღერს ეს თემა. არის ათასნაირი მსჯელობა, მითქმა-მოთქმა, ვარაუდები. იწერება წერილები, იწერება წიგნები. და მაინც ამ ავბედითად აგორებული ომის მიზეზები ბოლომდე გახსნილი არ არის: საქმეში ღრმად ჩახედული პერსონები, ვისი ნებითაც აიქოჩრა ეს ბინძური ტალღა, გაჩუმებული არიან, რადგან ყველაფრის გამომზეურება მათთვის სახიფათოა. ხოლო ვისაც ჭეშმარიტების შეტყობის წყურვილი ჰკლავს, სათანადო დოკუმენტებამდე ხელი არ მიუწვდება...**

**კიდევ ბევრი დრო გავა, ვიდრე სათქმელი ბოლომდე ითქმება.**

„რებუსის“ ამოხსნის სურვილი დიდია. ეტყობა, სწორედ ამან უკარნახა ჩვენს კოლეგას **თემურ ქღენტს** კალმის ხელში აღება — შემოგვთავაზა მშვენიერი წიგნი (ყველანაირი გაგებით!) **„ტრაქტატი“**. მკითხველი მიხვდება, რომ მთელ წიგნს აქვს ერთი მთლიანი ღერძი — გეორგიევსკის ტრაქტატი, რომლის კანონზომიერი გაგრძელება გახლდათ აფხაზეთის ომი...

1993 წლის ზაფხულში გაზეთ „შანსის“ თორმეტკაციანმა კოლექტივმა სოხუმში გამგზავრება და მუშაობის იქ გაგრძელება გადაწყვიტა. ცხადია, ასე უფრო ცოცხლად გააშუქებდნენ მოვლენებს. მაგრამ ნათქვამი რომ არის, „კაცი ბჭობდა, ეშმაკი იცინოდაო,“ შანსელებს სწორედ ისე დაემართათ: „გამოვუშვით პირველი, მეორე, მესამე ნომერი და... ბასტა!.. ისეთი ლაგამი ამოგვდეს, უკეთესი რომ არ შეიძლებოდა“, — წერს თემურ ქღენტი. მიზეზი „მარტივია“: როცა არსებულ ვითარებას შეხედეს და გენერალიტეტს ლამის უვიცები და მოღალატეები უწოდეს, სამხედროებმა გაზეთის გამოცემა აუკრძალეს. **„მთელი ივლისის მეორე ნახევარი და აგვისტო, როდესაც აფხაზეთში ყველაზე ცხარე დღეები იდგა, ჩვენ უქმად ვიყავით. ვერც რაიმე სახარბიელოს ვაკეთებდით და ვეღარც სახლებში ვბრუნდებოდით“.**

„შინაპატიმრობაში“ მყოფი შანსელები სოხუმში, მოსკოვის ოლქის კუთვნილ სანატორიუმში ცხოვრობდნენ. აქვე იყვნენ ის პერსონაჟები, ვისთან ცხარე კამათშიც ირჩეოდა მტყუან-მართალი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, ისტორია და მიმდინარე ომის პერიპეტიები. ვერ გეტყვით, რომ მოპაექრეთაგან ყველა იზიარებდა ჩვენს გულისტკივილს, მაგრამ ომის გამო კი ყველა ერთსულოვნად გამოხატავდა აღშფოთებას.




თემურ ქღენტმა თავის წიგნს სწორედ ეს მოვლენები დაუდო საფუძვლად. **„სრული დამოუკიდებლობა მოგინდათ, არა? ვერ მოგართვით! შეგეშალათ, ძმობილო, შეგეშალათ!.. თუ ჭკუით არ მოიქცევით, ის, რაც აქ ხდება, მხოლოდ ჟურნალი იქნება!..“ ზუსტად ჟირინოვსკის სიტყვებით იმუქრება ოფიცერი ევგენი სერგეევიჩი, რომლის ბატალიონსაც სანატორიუმის დაცვა ევალებოდა.** გესლსა და შხამს სხვებიც გულუხვად ანთხევდნენ, მაგრამ იყვნენ ისინიც, ვინც ჩინებულად ერკვეოდა რუსების ორმაგ თამაშში. მათ შორის, უპირველესად, ჩეხი ჟურნალისტი პაველ ქმიდა უნდა მოვიხსენიოთ. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც საქართველოს მიმართ სიმპათიებს ამჟღავნებდნენ, მაგრამ არც თავისი რუსეთის ინტერესები ავიწყდებოდათ. ავტორი ძალიან თბილად ახასიათებს ვლადიმირელ პედაგოგს ნინა ანდრეევნას, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, როცა თანამემამულეების მუხანათობაში დარწმუნდა, სირცხვილისგან შეწუხებული სოხუმიდან გაიპარა...

აუღელვებლად ვერ წაიკითხავთ ჟიული შარტავასთან შეხვედრისადმი მიძღვნილ სტრიქონებს. **„ბატონი ჟიული რომ დავინახე, კინაღამ გული შემიწუხდა. არასოდეს მინახავს იგი ასეთი დათრგუნული...“ — წერს ავტორი. მიზეზიც მალე გახდა ცნობილი: „უნდა წახვიდეთ! — უცებ აუწია ხმას და იქვე დასძინა უკვე დაბალი ხმით — მალე ყველანი წავალთ“. კართან მისულს კი დაადევნა, გულს ნუ გაიტეხ, გული ყოველთვის მთელი უნდა იყოსო...**

აი, ეს „მალე ყველანი წავალთ“ იყო რეალობა, რომელსაც, ბუნებრივია, ჟიული შარტავა მძიმედ განიცდიდა.

ყველაფერი, რასაც თემურ ქღენტის თვალი და გული მისწვდა, ძალზე უბრალოდ და ამავდროულად ძალზე მტკივნეულად არის აღწერილი. გხიბლავთ კარგი ქართული, ძალდაუტანებელი, ბუნებრივი დიალოგები. იკითხება სულის ერთი მოთქმით (ვფიქრობ, წიგნი უფრო მოიგებდა, თუ ავტორი მას ქვეთავებად დაჰყოფდა. აჯობებდა, სათაურიც ცოტა სხვანაირი რომ შეერჩია...).

ავტორმა რუსეთ-საქართველოს, აფხაზეთის ომის „რებუსი“ მაინც გახსნა: **ერთ დღეს „გრადის“ რამდენიმე ჭურვი სანატორიუმის მახლობლად დაეცა. „შენობა შეტორტმანდა და ფანჯრის მინები ჩაიმსხვრა. წამოვიშალეთ ლოგინებიდან და ჩავცვივდით მორიგე ადმინისტრატორის ბუნკერად გადაკეთებულ კაბინეტში. უკან სხვებიც მოგვყვნენ... — გეთაყვა, — თითს იშვერს ჩემკენ ნინა ანდრეევნა და ნიშნის მოგებით მეკითხება, — ახლა რაღას იტყვით?.. ვინ ბომბავს რუსეთის კუთვნილ სანატორიუმს?“**

ამ დროს ბუნკერის კარი გაიღო. ევგენი სერგეევიჩი ტელეფონს ეცა: **„Альфа, слушай, это я... командир Н-ской части. Передай там, что бомбят МВО. Ты понял?.. Все...“**

ასე ამოიხსნა ამოცანა, ქართველები ბომბავდნენ თუ სხვები „რუსეთის კუთვნილ სანატორიუმს...“

აი, სწორედ ამის შემდეგ იყო, შერცხვენილი ნინა ანდრეევნა სანატორიუმიდან დაუმშვიდობებლად რომ გაიპარა...

**„რა გინდა, რომ ჰქნა? იქით — ენგურს გადაღმა, ეთერივით ნაიარევი, გაწბილებული აფხაზეთია, აქეთ — აბესალომივით შეცდენილი, შერცხვენილი დანარჩენი საქართველო. იმათ შუა კი დღესაც რუსეთია აღმართული... მურმანის ეკალივით“.**

ვაი რომ, მართლაც ასეა...

**გუჯა რთველაძე.**

**საბერძნეთის ადგილობრივი განვითარებისა და მართვის სააგენტო (EETAA SA) აცხადებს ღია კონკურსს:**

ა) სამედიცინო აღჭურვილობის შესყიდვაზე სამედიცინო ფონდ „ჰიპოკრატესთვის“ და ბ) რუსული წარმოების 2 სასწრაფო დახმარების ავტომანქანის შესყიდვაზე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკისთვის ყველაზე ეკონომიური ტენდერის მიხედვით, რომელიც ჩატარდება 2005 წლის 23 სექტემბერს.

ა) შესასყიდი **სამედიცინო აღჭურვილობის** სია თანხაზე 143 000 ევრო:

- **სარბენი ბილიკი კარდიოლოგიური დანიშნულების მონიტორით (სრული კომპლექტი);**
- **კოლონოსკოპი ცივი განათებით;**
- **გასტროდუოდენოსკოპი;**
- **სტაციონალური რენტგენაპარატი მონიტორითა და ვიდეოთი;**
- **ნახევრადავტომატური სისხლის სისტემა.**

ბ) თანხაზე 30 000 ევრო ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკისათვის რუსული წარმოების **2 სასწრაფო დახმარების ავტომანქანა** ყველა საჭირო აღჭურვილობით (საწოლითა და კარდიოგრაფით), რომელიც უნდა იყოს 4X4 მიკროავტობუსის ტიპის, 2500 კუბ.სმ.

ინფორმაციისთვის პირობებისა და ტექნიკური მახასიათებლების შესახებ კანდიდატებმა უნდა მიმართონ ბერძნულ სამედიცინო ფონდ „ჰიპოკრატეს“ ა.წ. 12 სექტემბრამდე მისამართზე: **თბილისი, ნინოშვილის ქ. 23, ტელ: 91 06 01**

შემოთავაზებები დახურულ კონვერტებში შეგროვდება ა.წ. **23 სექტემბრამდე** ბ.ს.ფ. „ჰიპოკრატეში“ ზემოთ აღნიშნულ მისამართზე. ფაილები გაიხსნება კომპეტენტური კომისიის წინაშე **2005 წლის 23 სექტემბერს 12 საათის შემდეგ.**

◎ გვირეკავენ, გვეკითხებიან

**— დანიშნული მაქვს სოციალური პენსია მამის გარდაცვალების გამო, ვინაიდან მას არ გააჩნდა შრომის სტაჟი. სულ მალე შემისრულდება 18 წელი. შემიწყდება თუ არა პენსია?**

**ვენერა სიამაშვილი.**

— მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოსწავლეებს და სტუდენტებს, რომელთაც მარჩენალის გარდაცვალების გამო დანიშნული აქვთ სოციალური პენსია, იგი მიეცემათ სწავლის პერიოდში, მაგრამ არა უმეტეს 18 წლის ასაკის შესრულებამდე.

**ირინე ღლონტი.**

**განცხადება**

**ს/ს „მარნეულნავთობპროდუქტის“ სამეთვალყურეო საბჭო განმეორებით იწვევს აქციონერებს რიგგარეშე საერთო კრებაზე, რომელიც შედგება ამა წლის 12 სექტემბერს დღის 11 საათზე ქ. მარნეულში, იაღლუჯის № 5-ში, შემდეგი დღის წესრიგით:**

1. 2005 წლის 25 ივლისს საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებების განხილვა.
2. სააქციო საზოგადოების ლიკვიდაცია.

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს დამატებითი ფულის გადება მოუწევს

ელდარ ბადირხანოვი,
„ვზგლიადი“, 7 სექტემბერი.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

**სამშაბათს საქართველომ დაიწყო მოლაპარაკება „გაზპრომთან“ ბუნებრივ აირზე ფასების მომატების შესახებ. „გაზპრომს“ დაგეგმილი აქვს გაზის საფასური გაზარდოს 20 დოლარით – 1000 კუბური მეტრი – 80 დოლარამდე – რაც ერთიორად ნაკლებია ევროპაში არსებულ ფასებთან შედარებით. მაგრამ ანალიტიკოსთა აზრით, თვით ამ შეღავათიან ტარიფსაც კი ვერ გაუმკლავდება საქართველოს ეკონომიკა.**

მოსკოვში სამშაბათს მოლაპარაკებისთვის ჩავიდნენ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ნიკოლოზ გილაური, საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი დავით ინგოროყვა და „გაზპრომის“ ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში დავით მორჩილაძე.

ამჟამად საქართველო რუსეთისგან 1000 კუბურ მეტრ ბუნებრივ გაზს 60 დოლარად ყიდულობს. საქართველო არ ეწინააღმდეგება ფასების მომატებას, მაგრამ ამ ქვეყნის დელეგაცია მოითხოვს, რომ ეს მოხდეს ეტაპობრივად, 2006 წლის იანვრიდან, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბუნებრივი გაზისა და ელექტროენერგიის ერთდროული მომატება, რადგან ელექტროენერგიის გამომუშავებაც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია რუსეთიდან მიწოდებულ გაზზე.

„ჩვენ უნდა ვიყოთ დარწმუნებული იმაში, რომ კომპანია „თელასი“ და „თბილსრესის“ მე-9 ენერგობლოკი, რომლის მფლობელია რუსეთის სააქციო საზოგადოება „ეეს-როსია“, მზად არიან რუსეთიდან იმპორტის გადიდებული ფასებით შესასყიდად. მოსკოვში მოლაპარაკებაზე ჩვენ ასევე შევეხებით ზოგიერთ სტრატეგიულ საკითხს“, – უთხრა ნიკოლოზ გილაურმა ჟურნალისტებს რუსეთის დედაქალაქში გამგზავრების წინ.

„თელასი“ ელექტროენერგიით უზრუნველყოფს თბილისს. ამ ბოლო წლებში ზამთარ-შემოდგომის პერიოდში „ეეს-როსია“ საქართველოს საშუალოდ აწვდიდა 350 მეგავატ ელექტროენერგიას (ქვეყნისთვის საჭირო ელექტროენერგიის დაახლოებით 20 პროცენტს). იმ შემთხვევაში, თუ გაზის ფასები მოიმატებს, „ეეს-როსიაც“ იძულებული იქნება, გაზარდოს ელექტროენერგიის საფასური.

თავის მხრივ, საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციაში ვერაფერ მოულოდნელს ვერ ხედავენ რუსეთიდან მოწოდებული გაზის ფასების მომატებაში, და აღნიშნავენ, რომ საქართველო დაამყარებს პარტნიორულ ურთიერთობას რუს მომწოდებლებთან.

„ჩვენი ურთიერთობა „გაზპრომთან“ ხდება კომერციული – სწორედ ისეთი, როგორიც უნდა იყოს პარტნიორებს შორის ურთიერთობა. გაზის საფასურმა მარტო საქართველოში როდი მოიმატა, და ჩვენ ამას მშვიდად უნდა მოვეკიდოთ. მოლაპარაკების დროს ჩვენი ამოცანა იქნება ის, რომ თავიდან ავიცილოთ ტარიფის ზრდა დროის ძალზე მოკლე მონაკვეთში, და ამით მოსახლეობას ავარიდოთ სირთულეები“, – თქვა დავით ინგოროყვამ.

„რა თქმა უნდა, გაზის საფასურის საკითხი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებისთვის პოლიტიკურია, და ამასთან, საქართველოს მოუწევს დათანხმდეს ნებისმიერ ფასს, რომელსაც დააწესებს „გაზპრომი“. ექსპორტი ამ კომპანიისთვის ხელსაყრელია, რადგან გაზის ფასები რუსეთში უფრო დაბალია, ვიდრე მისი საექსპორტო საფასური, თვით თანამეგობრობის ქვეყნებისთვის არსებული შეღავათების გათვალისწინებითაც კი“, – განაცხადა „ბროკერკრედიტსერვისის“ ანალიზური განყოფილების უფროსმა მაქსიმ შეინმა.

მისი კოლეგა დიმიტრი მანგილოვი ნაწილობრივ ეთანხმება ამ მოსაზრებას, თუმცა, აღნიშნავს: ამჟამად რუსეთის გაზის მომპოვებელი და მათ მახლობლად მდებარე სხვა რეგიონებისთვის არსებული შიდა ფასი 1000 კუბურ მეტრზე გაანგარიშებით დაახლოებით 40 დოლარს შეადგენს. სამხრეთი რეგიონებისთვის კი 1000 კუბური მეტრი გაზის ფასმა შეიძლება 65-70 დოლარსაც მიაღწიოს.

ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ „გაზპრომს“ სურს ერთმანეთს გაუთანაბროს თანამეგობრობის ქვეყნებსა და ევროპაში საექსპორტოდ მიწოდებული ბუნებრივი აირის ფასები. მაგალითად, პოლონეთში 1000 კუბური მეტრი რუსული გაზი 160 დოლარი ღირს. ექსპორტი საქართველოში ძალზე მცირეა, მაგრამ ეს საკითხი რუსეთის მხარისთვის პრინციპულია, რადგან „გაზპრომმა“ გამოაცხადა, რომ გაზრდიდა ნედლეულის საექსპორტო ფასებს თანამეგობრობის ქვეყნებისთვის“, – თქვა მანგილოვმა.

თუმცა, ექსპერტს ეჭვი ეპარება იმაში, რომ საქართველოს ეკონომიკამ შეძლოს, იტვირთოს 80 დოლარის გადახდა 1000 კუბური მეტრი გაზისთვის. „საქართველოს მხარეს ფული არა აქვს და რა ტარიფიც არ უნდა დავაწესოთ, იგი მაინც არ გადაიხდის. საქართველოს აქვს ძალზე დიდი პოლიტიკა, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება მისი ტერიტორიისა და მოსახლეობის შესაძლებლობებს და მიზერული ეკონომიკა“, – აღნიშნა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ვლადიმერ ჟარიხინმა.

როგორც მან თქვა, რუსეთს ყველაზე პროდუქტიული ურთიერთობა აქვს თანამეგობრობის იმ ქვეყნებთან, რომლებიც არანაირად არ არიან დამოკიდებული რუსეთიდან ენერგომიწოდებაზე. სადღეისოდ, გაზის მიწოდების საკითხში შეღავათებით სარგებლობენ უკრაინა, მოლდავეთი, ბელორუსია და საქართველო. „ბელორუსიის საკითხი გასაგებია – ჩვენ მასთან გვაქვს დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულება. ჰოდა, ბელორუსიას შეიძლება დაებადოს ასეთი კითხვა: რა საჭირო იყო ამ ხელშეკრულების დადება, თუ ქვეყნები, რომლებიც ევროკავშირისა და ნატოსკენ მიილტვიან, გაზს ასევე იღებენ შეღავათიანი ფასებით. სხვათა შორის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის დაფუძნების შესახებ ხელშეკრულებებში გაზის შეღავათიანი მიწოდების თაობაზე ლაპარაკი არ ყოფილა“, – აღნიშნა ჟარიხინმა.

# იგორ გიორგაძე ბრძოლას არ წყვეტს

ირაკლი გელაშვილი,
„როსიისკიე ვესტი“ 7-14 სექტემბერი.

РОССИЙСКИЕ ВЕСТИ

**საქართველოს ოპოზიციური პარტიის „სამართლიანობის“ წარმომადგენლები აპირებენ, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში გააპროტესტონ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება, რომელმაც საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარული დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გატარებაზე უარი განუცხადა პარტიის ლიდერს იგორ გიორგაძეს.**

საქართველოს პარლამენტში მაჟორიტარული სისტემით შუალედური არჩევნები გაიმართება 1 ოქტომბერს ხუთ საარჩევნო ოლქში – თბილისის ისნის რაიონში, ტყიბულში, ბათუმში, ქობულეთსა და შუახევში. ერთ-ერთ ამ ოლქში აპირებდა კენჭისყრას იგორ გიორგაძე. მაგრამ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არ გაატარა რეგისტრაციაში იგი იმის გამო, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში გიორგაძეს არ უცხოვრია საქართველოს ტერიტორიაზე და არც აღრიცხვაზე დგას საქართველოს საკონსულოში. „თუ თბილისის საოლქო სასამართლოში და საქართველოს უზენაეს სასამართლოში არ დააკმაყოფილებენ ჩვენს მოთხოვნას, იძულებული ვიქნებით მივმართოთ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს. ჩვენ უკან არ დავიხევთ“, – განაცხადა პარტია „სამართლიანობის“ პოლიტიკურმა მდივანმა რევაზ ბულიამ. ამჟამად პარტია თბილისის საოლქო სასამართლოში ასაჩივრებს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. პროცესის გამართვის თარიღი ჯერჯერობით არ არის დანიშნული.

საქართველოს უშიშროების სამსახურის ყოფილი შეფი იგორ გიორგაძე ცდილობდა კენჭი ეყარა საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნებში პროპორციული და მაჟორიტარული სისტემებით. სარეგისტრაციო განაცხადის გრაფაში „საცხოვრებელი ადგილი“ ეწერა – ზნაურის რაიონი, სოფელი ძაგინა. მაგრამ არჩევნებისთვის მზადების მთელი პერიოდის განმავლობაში ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარდგენილ დოკუმენტებში დაფიქსირებული იყო იგორ გიორგაძის რამდენიმე სხვადასხვა საცხოვრებელი ადგილი. გარდა ამისა, იგი აპირებდა, კენჭი ეყარა საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე 2004 წლის 4 იანვრის რიგგარეშე არჩევნებში, მაგრამ, მაშინაც, იმავე მიზეზის გამო უარი განუცხადეს რეგისტრაციაში გატარებაზე. გიორგაძე ასევე პროპორციული სისტემით იყრიდა კენჭს საქართველოს პარლამენტში 2004 წლის 28 მარტის ხელმეორე არჩევნების დროს. მის მიერ დაფუძნებული პარტიის „სამართლიანობის“ სიებში იგი პირველ ნომრად ფიგურირებდა.

იგორ გიორგაძის პოლიტიკური პოტენციალი ნამდვილად არ არის ამოწურული. მით უმეტეს, რომ მისი პროგნოზი საქართველოში სააკაშვილის რეჟიმის დროს მოვლენათა განვითარების შესახებ მართლდება. როგორც ჩანს, საქართველოს ამჟამინდელ პრეზიდენტს, ისევე, როგორც შევარდნაძეს, ეშინია გიორგაძისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძნელი გასაგებია, თუ რატომ არ სურს თბილისს რეალურად დანერგოს ქვეყნის პოლიტიკურ პრაქტიკაში მთელი მსოფლიოსთვის დაპირებული დემოკრატიის ნორმები.


## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
## მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)

**საიდენტიფიკაციო ნომერი: GOR/201**
**მსოფლიო ბანკის კრედიტი N 3701-GE**

### ქ. გორის წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესება (ვერხვების, კვერნაკის და სადგურის დასახლება)

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებით **ქ. გორის წყალმომარაგების სისტემის (ვერხვების, კვერნაკის და სადგურის დასახლება) გაუმჯობესების** სამუშაოების წარმოებაზე, რაც მოიცავს 400 მმ და 315 მმ დიამეტრის პოლიეთილენის მილების და 219 მმ დიამეტრის ფოლადის მილების მონტაჟს, საერთო სიგრძით 13400 მ, ურდულებისა და წყალმზომების მონტაჟს და დაკავშირებულ სამუშაოებს (კონტრაქტი № GOR/201). სამუშაოების ხანგრძლივობაა 12 თვე.

2. ტენდერი ჩატარდება საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების მიხედვით მსოფლიო ბანკის შესყიდვების წესების შესაბამისად (1995 წლის გამოცემა, განახლებული 1996, 1997 და 1999 წლებში). ადგილობრივ კონტრაქტორებს მიენიჭებათ პრეფერენციული შეღავათი.

3. საკონკურსო დოკუმენტაცია (და აგრეთვე დამატებითი ასლები) ინგლისურ ენაზე კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ მუნიციპალური განვითარების ფონდში მისამართზე: **იეთიმ გურჯის ქ. № 7ბ, თბილისი, 0105. ტელ: 94-32-40; 94-29-47, 92-34-70, 92-34-69 ფაქსი: 94-04-39,** თითოეული კომპლექტისათვის აუნაზღაურებადი 180 ლარის (ან 100 აშშ დოლარის) გადახდისას შემდეგ ანგარიშზე:

ბანკი „რესპუბლიკა“, გრ. აბაშიძის 2, თბილისი, კოდი: 220101757

ლარის ანგარიში № 3834080001

დოლარის ანგარიში № 334180001

ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

კონკურსანტის მოთხოვნის საფუძველზე საკონკურსო დოკუმენტაცია გაიგზავნება მითითებულ მისამართზე ფოსტით. თუკი კონკურსანტი მოითხოვს საკურიერო მომსახურებას, დოკუმენტები გაიგზავნება საკურიერო ფოსტით მიმღების ხარჯზე. დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოაღნიშნულ მისამართზე.

4. საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს მისამართზე: **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, ოთახი 302, იეთიმ გურჯის ქ. № 7ბ, თბილისი 0105,** არაუგვიანეს 2005 წლის 20 ოქტომბრის 13.00 საათისა. ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია 36000 (ოცდათექვსმეტი ათას) ლარზე ან ეკვივალენტურ თანხაზე თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში. საკონკურსო წინადადებები გაიხსნება **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში იეთიმ გურჯის ქ. № 7ბ, 0105 თბილისი, 2005 წლის 20 ოქტომბერს 13.00 საათზე** კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას.

5. დაგვიანებული წინადადებები უარყოფილ იქნება და დაუბრუნდება წარმომდგენს გაუხსნელად.


## ჭიდაობა

# თეირანში ქვისტოფვნება ბვიდასპინძლა



**გასულ უქმეებზე ირანის დედაქალაქმა ვეტერანთა მსოფლიო პირველობას უმასპინძლა თავისუფალ ჭიდაობაში. თეირანის ხალიჩაზე საასპარეზოდ 22 ქვეყნის 160-მა ფალავანმა მოიყარა თავი.**

გვესაუბრება ირანული ბატალიების თვითმხილველი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი მარლენ ოსეყმაშვილი.

– მსოფლიო პირველობაზე ჩვენი ქვეყნის შვიდმა წარმომადგენელმა მოსინჯა ძალები, – გვითხრა მან. – განსაკუთრებით თბილისელმა ემზარ კიკაბიძემ (85 კგ) და ქუთაისელმა ესტატე გოგლიჩიძემ (მძიმე წონა) იყოჩაღეს. მათ მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლები დათმეს და ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ. კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ავიდნენ ამბროლაურელი ბონდო სარდანაშვილი (58), აჭარიდან – ანზორ ლაზიშვილი (69) და თეიმურაზ ხაბაძე (97), რუსთაველი ვაჟა ლობჟანიძე (97) და თბილისელი დავით თოდრია (მძიმე წონა).

შეჯიბრება შესანიშნავად იყო ორგანიზებული. გამორჩეულად ფერეიდნელი ქართველების ქომაგობამ გაგვახარა. ზოგიერთი თურმე თეირანში ცხოვრობს და მუშაობს. ჩვენთან ქართულად საუბრით იჯერეს გული. ასპარეზობის შემდეგ შინაც მიგვიწვიეს და გაგვიმასპინძლდნენ.

ესაუბრა
**გიორგი გაგუა**

## ძიუდო

# პარკმა პოსტი შეინარჩუნა

**ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში დღეს იწყება ძიუდოისტთა პირად-გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც 12 სექტემბერს დამთავრდება.**

ქართველ ფალავანთაგან ტატამზე პირველები გავლენ და მედლებისთვის იბრძოლებენ ლაშა გუჯეჯიანი (მძიმე წონა) და გიორგი გუგავა (100 კგ), ხვალ კი ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური (90) და გრიგოლ შინჯიკაშვილი იჭიდავებენ.

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე კაიროში ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი გაიმართა, რომელსაც ოთხწლიანი ვადით პრეზიდენტად კვლავ სამხრეთკორეელი იონგ სუნგ პარკი აირჩია. მას 100-დან 85-მა დელეგატმა დაუჭირა მხარი და, ცხადია, რუმინელ მარიუს ვიზერს დიდი უპირატესობით აჯობა.

საერთაშორისო ფედერაციის მსაჯთა კომიტეტს უწინდებურად ესპანელი ხუან კარლოს ბარკოსი უხელმძღვანელებს, სპორტული დირექტორის პოსტზე ისევ ფრანგი ფრანკ ბესონი დარჩა.

საგულისხმოა, რომ 2007 და 2009 წლების მსოფლიო ჩემპიონატები, შესაბამისად, რიო-დე-ჟანეიროსა და როტერდამში გაიმართება.

**ლექსო ცინცაძე**

## ეს საინტერესოა

# ყველაზე ძლიერი სტრესი

**იტალიური „ლა გაძეტა დელო სპორტის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად სპორტსმენებს შორის ყველაზე ძლიერი სტრესი პროფესიონალ ფეხბურთელებს აქვთ. მათ ტრავმებისა და ცუდი თამაშისა ეშინიათ. იტალიის სხვადასხვა დივიზიონის 124 გამოკითხული ფეხბურთელიდან ორმა მესამედმა აღიარა, რომ მათ ცხოვრებას ძლიერი სტრესი უმწარებს. 22 პროცენტი თავად ცდილობს ამ ავადმყოფობის დაძლევას. სხვები კი ნეგატიურ ემოციებს თავიანთი ახლობლების წინააღმდეგ მიმართავენ, ეხსუბებიან მათ. ერთ ნაწილს მეგობარიც კი არა ჰყავს, რომ თავისი პრობლემები და განცდები გაუზიაროს.**

ერთი სიტყვით, ფეხბურთელებს ძვირად უღირთ წარმატებები, გნებავთ, ის სიმდიდრე, რომელსაც პროფესიული კარიერის განმავლობაში აგროვებენ, სხვა საკითხია, რომ კარიერის დამთავრების შემდეგ ბევრი მათგანი სამუშაოს ვეღარ შოულობს. ყველას როდი აქვს ხორხე ვალდანოს ნიჭი, რომელმაც მოთხრობების რამდენიმე კრებული გამოაქვეყნა, ან კიდევ პელეს შემოქმედებითი ტალანტი, რომელიც რამდენიმე სფეროში წარმოჩინდა.

## ჭადრაკი

# ლიდერთა შორის

**თურქეთის ქალაქ იზმირში გრძელდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოს წარგზავნილებიც მონაწილეობენ. მესამე ტურში ლევან ფანცულაიამ სოფიკო გვეტაძე დაამარცხა. წარმატებას მიაღწიეს მალხაზ სულაშვილმა, კახა შალამბერიძემ და დავით არუთინიანმა, რომლებიც უდანაკარგოდ ლიდერთა შორის არიან.**

## ფეხბურთი

# საბჭოთა კავშირია დამნაშავე?

**გრანდიოზული სკანდალი აგორდა 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე აზიურ ზონაში. იაპონელი მსაჯის ტომიშიცუ იოშიდას სერიოზული შეცდომების გამო ფიფამ გააუქმა უზბეკეთისა და ბაჰრეინის ნაკრებებს შორის პირველი შეპირაპირების მატჩის შედეგი, რითაც უზბეკეთის გუნდს ჩამოართვეს პატიოსნად მოპოვებული გამარჯვება.**

ბაჰრეინისა და უზბეკეთის ნაკრებებმა მესამე ადგილები დაიკავეს თავიანთ ქვეჯგუფებში, რაც არ აძლევდათ მათ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის პირდაპირ საგზურებს გერმანიაში. თუმცა აზიურ ზონაში კვალიფიკაციის ფორმა ამ გუნდებს აძლევდა შეპირაპირების მატჩების საშუალებით გერმანიაში მოხვედრის შესაძლებლობას. ამ გუნდებს ჯერ ერთმანეთში უნდა გაერკვიათ უძლიერესი, ხოლო შემდეგ ისევ ორ მატჩში უნდა შებრძოლებოდა იმ ნაკრებს, ვინც კონკაკაფის ზონაში მეოთხე ადგილზე გამოვიდოდა. როგორც იმ ზონაში გათამაშების შედეგები მოწმობენ, ეს გუნდი, შესაძლოა, ყოფილიყო ან გვატემალის ანდა ტრინიდადისა და ტობაგოს ნაკრები, რომლებიც ძალზე შორს დგანან მსოფლიო ფეხბურთის ელიტიდან. ასე რომ, ერთ-ერთ აზიურ გუნდს გერმანიაში წასვლის კარგი შანსი უჩნდებოდა.



ტაშკენტში კი უზბეკეთისა და ბაჰრეინის მატჩი ასე წარიმართა: მე-11 წუთზე სტუმრების კარში ბურთი გაიტანა გუნდის ვეტერანმა მარჯალოლ კასიმოვმა.

38-ე წუთზე იაპონელმა მსაჯმა ბაჰრეინელთა კარში პენალტი დანიშნა. სერვერ ჯეფაროვმა თერთმეტმეტრიანი მშვენივრად გამოიყენა. მაგრამ არბიტრმა სრულიად მოულოდნელად გოლი გააუქმა, თითქოს ერთ-ერთი უზბეკი ფეხბურთელი პენალტის დარტყმამდე შევიდა მეტოქის საჯარიმოზე და იმის ნაცვლად, რომ, როგორც წესი, საჯარიმო განმეორებით დაერტყმევინებინა, მსაჯმა დანიშნა თავისუფალი დარტყმა უზბეკების საწინააღმდეგოდ. მატჩი მაინც მასპინძლების გამარჯვებით დამთავრდა მინიმალური ანგარიით – 1:0.

უზბეკეთის ფეხბურთის ფედერაციამ მაშინვე შეიტანა პროტესტი ფიფასა და აზიის კონფედერაციაში, მისი გუნდისთვის ტექნიკური გამარჯვების – 3:0 – ჩათვლა და თანაც 7 სექტემბრის განმეორებით მატჩზე ჩინელი მსაჯების ევროპელი კოლეგებით შეცვლა მოითხოვა. შესაბამის გადაწყვეტილებამდე გუნდი ბაჰრეინის დედაქალაქ მანამაში გაფრინდა გუშინდელი განმეორებითი მატჩისთვის მოსამზადებლად.

მაგრამ მოხდა დაუჯერებელი ამბავი. მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო ბიურომ ევროპული ფეხბურთის თავკაცის ლენარტ იუჰანსონის ხელმძღვანელობით საერთოდ გააუქმა ტაშკენტის მატჩის შედეგი და დანიშნა განმეორებითი მატჩები – 8 ოქტომბერს ტაშკენტში, ხოლო 12 ოქტომბერს ბაჰრეინში. დაინიშნება აგრეთვე მსაჯთა ახალი ბრიგადები. ფიფას ეს გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ასე რომ, უზბეკეთის ნაკრებმა ყველაფერი ნულიდან უნდა დაიწყოს.

მსგავსი შემთხვევა ერთხელ უკვე მოხდა ფეხბურთის ისტორიაში. 2001 წლის შემოდგომაზე უეფამ დაადგინა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩის გადათამაშება მოსკოვის „ლოკომოტივსა“ და ავსტრიის „ტიროლს“ შორის იმის გამო, რომ როდესაც შეხვედრის არბიტრმა მარკო ვან დერ ენდემ მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა მოსკოველ რუსლან პიმენოვს, დაავიწყდა მინდვრიდან მისი გაძევება. თუმცა მაშინ ყველაფერი მაინც „ლოკომოტივის“ სასარგებლოდ დასრულდა, რადგან პირველი მატჩი მოგებული ჰქონდა – 3:1, მეორეში კი დამარცხდა 0:1.

როგორც ამბობენ, ყოველივე ეს იმიტომ მოხდა, რომ მსოფლიოსა და ევროპის ფეხბურთის ხელმძღვანელობას არ უნდა მომავალ ზაფხულში გერმანიაში ფინალურ სტადიაზე ყოფილი სსრ კავშირიდან ერთბაშად რამდენიმე გუნდის გამოჩენა.

შეგახსენებთ, რომ უკრაინის ნაკრებს ეს პრობლემა – საგზური გერმანიაში უკვე განაღდებული აქვს. ახლა სიტყვა რუსეთის ნაკრებზეა, ხოლო თუკი მას უზბეკეთის ნაკრებიც დაემატება, მაშინ... (?!).

**ვალიკო სიმონიშვილი**

## წარსულის ფურცლებიდან

# გარინჩას სახელი უკვდავყვეს

**მეოცე საუკუნის ლეგენდარული ბრაზილიელი მარჯვენა გარემარბის, რიო-დე-ჟანეიროს „ბოტაფოგოს“ და პენტრა კამპეონების შემადგენლობაში 1958, 1962 და 1966 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებში მოთამაშე მანუელ ფრანცისკო დოს სანტოს გარინჩას სახელი კარგად არის ცნობილი. შვედეთის VI და ჩილეს VII ჩემპიონატების ტრიუმფატორმა თავი დაგვამახსოვრა, როგორც ცრუმოძრაობათა დიდოსტატმა. მისი საფირმო, თავბრუდამხვევი „ფინტების“ წინაშე უძლურნი იყვნენ მრავალი ქვეყნის ნაკრებთა და საკლუბო გუნდების მცველები. „ხალხის მწარე სიხარული“ – ასე უწოდა მას ბრაზილიელმა ხალხმა. გარინჩას უდიდესი დამსახურება მიუძღვის ბრაზილიის ნაკრების გაჩემპიონებაში 1958 და 1962 წლებში. ბრაზილიის ფინანსთა სამინისტრომ მაშინ საგანგებოდ გამოუშვა 1000-იანი კუპიურა კრუზეირო (მაშინდელი ფულის ერთეული), რომელზედაც გარინჩა და პელე იყვნენ გამოსახული. სამწუხაროდ, 1983 წლის 20 იანვარს 49 წლის ასაკში გარდაიცვალა „ფეხბურთის ჩარლი ჩაპლინად“ მონათლული გარინჩა.**



მადლიერმა ბრაზილიელებმა იმავე წლის მიწურულს, ქვეყნის ახალი დედაქალაქის – ბრაზილიის სტადიონს – „ესტადიო მანე გარინჩას“ სახელი შეარქვეს, ხოლო „მარაკანას“ სტადიონის შესასვლელში მისი 5-მეტრიანი ძეგლი აღმართეს. ამასთანავე, 1984 წელს „ბოტაფოგოს“ ძველ სტადიონს მისი სახელი ეწოდა. საბედნიეროდ, ასევე მოიქცა ჩვენი საზოგადოებაც, როცა „ლოკომოტივის“ სტადიონს ლეგენდარული მიშა მესხის სახელი უწოდა.

**შალვა ქირია**

**სურათზე: გარინჩა და მიშა მესხი.**

## სპორტულ ორბიტაზე



### თავმჯდომარე თავად პრეზიდენტი იქნება

**რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ბრძანებულებით დამტკიცდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის საბჭო, რომლის თავმჯდომარე თავად ქვეყნის თავკაცი იქნება, ხოლო მოადგილე – ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფედერალური სააგენტოს ხელმძღვანელი ვიაჩესლავ ფეტისოვი.**

ბრძანებულების შესაბამისად საბჭოს საქმიანობის უზრუნველყოფას განახორციელებს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესაბამისი ქვედანაყოფი და მისი საქმეთა სამმართველო. საბჭოს საქმიანობის უზრუნველყოფის ხარჯები გაღებული იქნება კრემლის ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვიდან.

### არმსტრონგი აღარ მიდის

**როგორც ცნობილია, მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟულ ველორბოლაზე „ტურ დე ფრანს“ მეშვიდედ გამარჯვების შემდეგ ამერიკელმა ლენს არმსტრონგმა განაცხადა ველოსპორტიდან წასვლის შესახებ. მაგრამ მას შემდეგ აგორდა ფრანგი სპეციალისტებისა და ჟურნალისტების მიერ წამოწყებული აჟიოტაჟი, თითქოს 1999 წელს „ტურზე“ პირველი გამარჯვების დროს არმსტრონგი სისხლიან დოპინგს** EPO **ხმარობდა.**



ამის პასუხად ამერიკელმა ველოსიპედისტმა გამოაცხადა, რომ აღარ მიდის და აპირებს 2006 წლის „ტურ დე ფრანსზე“ მონაწილეობას. ამავე დროს მან ისიც თქვა, რომ 29 სექტემბრიდან 8 ოქტომბრამდე ალბათ მონაწილეობას მიიღებს რბოლაში „იმედის ტური“.

ისიც გახდა ცნობილი, რომ ლენსი და მომღერალი შერილ კროუ დაინიშნენ. ველოსიპედისტმა თავის დიდი ხნის დაქალს ხელი სთხოვა გასულ კვირაში, ქორწილს კი მომავალი წლის გაზაფხულზე აპირებენ. ეს კროუსთვის პირველი ქორწინება იქნება, არმსტრონგისთვის კი – მეორე, მას უკვე სამი შვილი ჰყავს.

### ლეგენდარული სტაიერი იმარჯვებს

**ჰოლანდიაში, ტილბურგის საერთაშორისო ტურნირზე 10 მილზე სირბილში გულშემატკივრები კვლავ გაახარა ლეგენდარულმა ეთიოპიელმა სტაიერმა, მსოფლიო და ოლიმპიურმა ჩემპიონმა 5 და 10 კილომეტრზე სირბილში, 32 წლის ჰაილე გებრესალასიემ.**

მან 10 მილი გაირბინა ამ დისტანციის ისტორიაში საუკეთესო დროში – 44,24.

### მარია შარაპოვა – ნახევარფინალში

**გუშინ ჩვენი დროით ადრე დილით 18 წლის რუსეთელი ჩოგბურთელი მარია შარაპოვა ჩოგბურთში ამერიკის ღია ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდა.**



2,5-საათიანი ბრძოლის შემდეგ მან თავისი თანამემამულე ნადეჟდა პეტროვა დაამარცხა – 7:6, 4:6, 6:4.

ფინალში გასასვლელად მარიას მძიმე ბრძოლა მოუწევს ძლიერ ბელგიელ კიმ კლეისტერსთან, რომელმაც ბოლო შეხვედრაში დაამარცხა ამერიკელი ვინუს უილიამსი – 4:6, 7:5, 6:1.

## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



თბილისის საბიბლიოთეკო სასწავლებლის პირველი კურსის სტუდენტები.
გადაღებულია 1969 წელს.

მოგვაწოდა ლია ღირსიაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

## გვემრავლოს!

# გამჯამაშვილებს მეცხრე შვილი შეეძინათ

ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.

ექვს სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის მე-5 სამშობიარო სახლში გლდანი-ნაძალადევის რაიონში, მაისურაძის ქუჩაზე მცხოვრებ ლალი ტაკაშვილ-გამჯამაშვილს მე-9 შვილი შეეძინა. 7 ვაჟისა და ორი გოგოს დედა ჯერ 36 წლისაა. ლალი მშვიდობით მოამშობიარეს ექიმ-გინეკოლოგმა კონსტანტინე ნიკოლაიშვილმა და ბებია ქალმა თინა ბიგვავამ. ლალის მეცხრე შვილი, ბიჭი 5 კილოგრამი, მართლაც რომ გოლიათი დაიბადა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობენ და სამედიცინო პერსონალის ყურადღება არ აკლიათ.



გამჯამაშვილების მრავალშვილიან ოჯახს არც ისე ულხინს, ერთოთახიან ბინაში ცხოვრობენ. უჭირთ, მაგრამ ახალგაზრდა ცოლქმარი მომავლისადმი იმედიანად არიან განწყობილნი.

პირველი, ვინც ლალის მეცხრე შვილის შეძენა მიულოცა, სამედიცინო კოლექტივი იყო, – გვაცნობა სამშობიარო სახლიდან უფროსმა მეძლამ იამზე ერისთავმა.

## ცოტაც გავიცინოთ...

„ახალი ქართველი" მანქანის მართვას სწავლობს:

– ინსტრუქტორო, ერთი ეს ამიხსენი, რატომაა, რომ ახალ მანქანებს უსაფრთხოების ბალიშები აქვს; ისინი ხომ არ ფიქრობენ, რომ როგორც კი ბოძს შევასკდები, ძილი მომინდება?

* * *

მე ამას უკეთესად გავაკეთებდი, მაგრამ ისინი მეხმარებოდნენ.

* * *

პატარძალი ქორწილში საუზმეულზე უარესი იყო.

* * *

ორი მამაკაცი საუბრობს:

– შარშან ქალიშვილს პიანინო ვაჩუქე, ვფიქრობდი, მუსიკალურ სკოლაში წავიდოდა, დაკვრას ისწავლიდა, მაგრამ ინსტრუმენტს არც კი გაჰკარებია...

– მეც მაგ დღეში ვარ – შარშან სიდედრს ჩემოდანი ვუყიდე...

* * *

– დედა, შეხედე, იმ ძიას თავზე ერთი თმაც კი არა აქვს.

– გაჩუმდი, ასე ხმამაღლა ნუ ამბობ, თორემ ძია გაიგონებს.

– ძიამ, ეს არ იცის?



* * *

– როგორ ბრძანდებით? როგორც გავიგე, კოსტიუმთან ერთად ორი შარვალი შეგიკერავთ.

– დიახ, ასეა.

– კმაყოფილი ხართ?

– ძალიან, მაგრამ ცოტა მცხელა.

* * *

– გაიგე? ვანომ ამას წინათ ერთი ქალი გაიტანა მანქანით, ახლა კი თურმე მასზე ქორწინდება.

– აბა, აბა, ასეთი შემთხვევები რომ ხშირად ხდებოდეს, მძღოლები უფრო ფრთხილად ივლიდნენ.

* * *

– მართალია, რომ მიხო ციხიდან გამოვიდა?

– რას ამბობთ, მე კი მითხრა, რომ ეს ერთი წელი ახლობლებთან გაატარა.

– მართალი უთქვამს, მასთან ერთად ციხეში ისხდნენ მისი სიმამრი, ცოლისძმა და ქვისლი.

# ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

საპატრულო სამსახური – 022;
გენერალური პროკურატურა – 99-74-10;
შინაგან საქმეთა სამინისტრო – 99-53-50;
საგარეო საქმეთა სამინისტრო – 28-47-47;
ფინანსთა სამინისტრო – 22-17-80; 22-09-24;
იუსტიციის სამინისტრო – 75-82-21;
ჯანდაცვის სამინისტრო – 94-34-98;
ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო – 38-47-98;
სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 98-57-81;
ეკონომიკური განვითარების სამინისტრო – 98-23-58; 50-69-00;
შსს სანებართვო განყოფილება – 98-57-01;
კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია – 95-30-81; 96-71-78;
თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია – 23-56-73;
საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 39-52-47;
თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 37-78-70;
შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური – 22-61-48; 22-33-53;
ერთიანი საპენსიო ფონდი – 69-65-93; 69-65-94.
კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება – 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში – 51-77-37.

## ლარის კურსი

### 8 სექტემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3169 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,8000 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2500 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0638 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0,3910 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,3893 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,6080 ლარი. |

## ამინდი დღეს

| 8 სექტემბერი | ☼ | ) |
|---|---|---|
| თბილისი | 22° | 16° |
| ბათუმი | 25° | 12° |
| სოხუმი | 23° | 14° |
| ქუთაისი | 25° | 17° |
| თელავი | 21° | 11° |

## პატივმიგება

# სიყვარული სიყვარულის წილ

**მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონ ია მაისაიას ჩვენ უამრავი მადლობა ვუთხარით, ჩვენმა შვილებმა კი ზღვა სიყვარული გამოუხატეს, უმორჩილესად გთხოვთ, ეს მადლობა სახალხოდ გვათქმევინოთ.**

ქალბატონმა იამ მაშინ მიხედა ჩვენს ბავშვებს, სასტუმრო „აჭარაში" მცხოვრებ დევნილებს, მაშინ ჩამოაყალიბა ბავშვთა ანსამბლი „სიხარული", როდესაც სიხარული და ყურადღება აკლდათ.

ია მასწავლებელმა დაუღალავი შრომით, ღვაწლით გაულამაზა ცხოვრება ჩვენს პატარებს – ექსკურსიები, კონცერტები, შეხვედრები, ფერწერის, ხელოვნებათმცოდნეობის, ისტორიის გაკვეთილები არა მარტო მათი გონებრივი თვალსაწიერის გაზრდა-გაფართოებას ხმარდებოდა, არამედ ხვალინდელი დღის იმედს უნერგავდა, ლტოლვილებს გულისტკივილს უამებდა...

სასტუმრო „აჭარაში" რომელი ბავშვისთვისაც არ უნდა გეკითხათ, ყველა ერთნაირი სიყვარულით, აღფრთოვანებით ჰყვებოდა ია მასწავლებელზე, მის მიერ საგანგებოდ მათთვის მიძღვნილ სიმღერაზე „აფხაზეთის ნოსტალგია", რომელიც მასწავლებელთან ერთად ჩაწერეს და რომლითაც ლამის მთელმა რესპუბლიკამ გაიცნო ისინი.

ჩვენთვის, მშობლებისთვის კი ის სიხარული, რომელიც ქალბატონმა იამ მიანიჭა ჩვენს შვილებს, ფასდაუდებელია. ამ სიკეთეს უბრალო მადლობით ვერ ამოწურავ, ამიტომაც გვინდა კიდევ ერთხელ, ამჯერად სახალხოდ გადავუხადოთ მას და მის მიერ შერჩეულ პედაგოგებს მადლობა, რომლებმაც უანგაროდ ასწავლეს ჩვენს შვილებს – ქვეყნის, მოყვასის, ენისა და ყოველივე ამაღლებულის სიყვარული, რაც მთავარია, ამაგის დაფასება.

იმედი გვაქვს, ჩვენი ურთიერთობა მომავალშიც გაგრძელდება.

**პატივისცემით, სასტუმრო „აჭარაში" მცხოვრებ მშობელთა ჯგუფი:**

**ი. გერზმავა, ზ. ჯოხაძე, ლ. ხუნწარია, ე. გუჯეჯიანი, ნ. გოგოხია, ზ. ანჩაბაძე, დ. ბაკურაძე, მ. ჯაიანი.**

## ალიართალი – ბალიართალი

### მაწონი გაყიდე

ჩვენი ძროხა ბევრს არა, მაგრამ ოჯახში რომ გვჭირდებოდა, იმდენს მაინც იწველიდა. ერთხელაც დედაჩემმა მაწონი ჩაადედა – ფული გვჭირდებოდა და უნდა გამეყიდა. ვაჭრობისა არაფერი გამეგებოდა, მაგრამ მეტი რა ჩარა იყო, ბედი უნდა მეცადა. ჩავაწყე ჩანთაში ნახევარლიტრიანი ქილები და რკინიგზის სადგურისკენ გავწიე. გზად აჩაჩულ-დაჩაჩულ სერგოს გადავეყარე. იმის მშობლებს მეურნეობის საერთო საცხოვრებელში ერთი ბუდრუგანა ეჭირათ. ჩემზე ორიოდე წლით უფროსი იქნებოდა. თვალები გაუბრწყინდა, ამ სიცხეში მაწონი კარგიაო. ფული თუ გაქვს-მეთქი. კიო, თავი დამიქნია და ხუთმანეთიანი მიჩვენა. მე ქილას სამ მანეთს ვაფასებდი.

ჩანთიდან ქილა ფრთხილად ამოვიღე, ქაღალდის საფარებელი მოვაცალე და მივაწოდე. დახე, ჯიბიდან კოვზი არ დააძრო? ეტყობა, ასეთ საქმეებში დახელოვნებულია! ასწლოვანი თელის ძირში მიჯდა და ჭამას აუჩქარებლად შეუდგა. ისე გემრიელად მიირთმევდა, პირწყალი მომადგა. მოთმინებით ველოდი, როდის ამოსვლეპდა იმ ქილას და ფულთან ერთად დამიბრუნებდა. ამოსვლეპით კი ამოსვლიპა და ქილაც დამიბრუნა, მაგრამ ფულის მოცემაზე უარი მტკიცა, სხვა რამისთვის მჭირდებაო.

ალმურმა უცებ ამკრა სახეზე. სხვა დროს როგორ შევბედავდი, მაგრამ მაშინ ისე დამცინავად მიყურებდა, ისე ნებივრად იზმორებოდა, ბევრი არ მიფიქრია, მივუხტი და წინ გადმოგდებულ ღიპში, რომელშიც ჩემი მაწონი უჭყამპალებდა, გამეტებით წიხლი ჩავცხე. სერგომ ხელები მუცელზე იტაცა, წელში მოიკაკვა, ბალახებზე გადავარდა და ფეხები ააფხარკალა. ჯიბე გადმოვუბრუნე, ის ხუთმანეთიანი ამოვაცალე და მჭადის ნატეხივით მივუგდე:

– ეს ფული მეც სხვა რამისთვის მჭირდება. ახლა შენა მდიე ხურდისათვის! – დავწვდი ჩემს ჩანთას და შინისკენ გავწიე, რადგან მივხვდი, ჩემგან ვაჭარი არ დადგებოდა...

იმ საღამოს ამბავი მოიტანეს, სერგოს დედა გარდაიცვალაო.

– წამლისთვის მჭირდებოდა, – მითხრა თვალცრემლიანმა სერგომ, როცა ის ფული ჯიბეში ჩავუკუჭე...

### ვალი დაუბრუნა

თელავის პედინსტიტუტის ახალგაზრდა თანამშრომელს ნიკო გოგოჭურს მამა გარდაეცვალა. დოცენტი ალექსანდრე მილორავა ჭირის სუფრაზე თამადის მოადგილედ აირჩიეს.

გავიდა მცირე ხანი. ერთმანეთს შეხვდნენ და ალექსანდრემ შეახსენა:

– იქანა მე ხუთასი კაცის თამადა ვიყავი (ხარისხი მოიმატა!).. რა სუფრა იყო, რა სუფრა! ხომ კარგად ვითამადე? ჰოდა, აწი რომ დაგჭირდება, აგერ ვარ!

– რა ჰქენი მერე, შეუსრულე „შეკვეთა"? – ვკითხე ნიკოს.

– არა, თვითონ მას დავჭირდი და ვალი დავუბრუნე...

**ელგუჯა ლეგანიძე**

## აღმოსავლური სიბრძნის სამყაროში

# მველინდური აფორიზმები

ღიღია ის, ვინც ბრმაა სხვათა ცოლების მიმართ, კოჭლი – სხვისი სიმდიდრის გამოდევნებაში, ყრუ – როდესაც ესმის ახლობლების კილვა.

* * *

მიბაძე კარგ თვისებას და მაგალითს თვით მტრებშიც, ცუდი არ გადაიღო თვით მშობლებისგანაც.

* * *

რამდენი ღირსებაც აქვს ადამიანს, იმდენი აქვს მანკიც. არავინ იბადება ამქვეყნად უმანკო.

* * *

ყურად იღე სასიკეთო სიტყვები, თუნდაც ისინი ეკუთვნოდეს ბავშვს, ნუ უსმენ უკეთურ სიტყვებს, თუნდაც მათ ამბობდეს მოხუცი.

* * *

რომელ ჩვენგანს არ აღამაღლებს ურთიერთობა დიდ ადამიანებთან? ერთი წვეთი წყალიც კი, როდესაც ლოტოსის ფურცელს დაეცემა, მარგალიტივით ბრჭყვიალებს.

* * *

დაძლევს რა პატივმოყვარეობას, ადამიანი სასიამოვნო ხდება, ძლევს რა სიბრაზეს, იგი ხალისიანი ხდება. ძლევს რა სიცხარეს და ქინიანობას, წარმატებას მიაღწევს. დაძლევს რა სიხარბეს, იგი ბედნიერი ხდება.

* * *

კეთილშობილ ადამიანებს უბერდება ჯერ ზრახვები და გულისწადილი, შემდეგ კი სხეული; ავკაცებს კი – მხოლოდ სხეული, ზრახვები – არასოდეს.

* * *

დიდი შრომით აგვაქვს ქვა გორაზე, ძირს კი ის თვალისდახამხამებაში ვარდება. ასევე გვეწევა ზემოთ სათნოება, ქვემოთ კი ბიწიერება.

* * *

ავ კაცს სწავლულობა ემსახურება კამათისა და ჯიუტი კინკლაობისთვის, ფული – ქედმაღლობისთვის, ძალაუფლება – სხვათა ჩაგვრისთვის; კეთილშობილ ადამიანს კი – პირიქით: განსწავლულობა მას სჭირდება ცოდნის გაღრმავებისთვის, ფული – ღატაკთა გასაკითხად, ძალაუფლება – სამართლიანობის დასაცავად.

* * *

ავკაცი ყველაზე თავხედურად ლმობიერთან იქცევა, რადგან აქ თავს უხიფათოდ გრძნობს. მაგრამ რა სწრაფად ქრება მისი თავხედობა თვით უმცირესი საშიშროების შეგრძნებისას!

* * *

ავკაცი ჰგავს კატას: იგი კაწრავს ხელს, რომელიც მას საჭმელს აწვდის.

* * *

ვინც იცოდა ავკაცობის შესახებ და შეეძლო წინ აღდგომოდა მას, მაგრამ ასე არ მოიქცა, ისეთივე დამნაშავეა, როგორც ავკაცი.

თარგმნა **ლაშა დადიანმა**

შპს „საქართველოს რკინიგზის" გენერალურ ინსპექციაში 2005 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა ცხელი ხაზი.



მოგმართავთ თხოვნით, რკინიგზის სისტემაში არსებული დარღვევა-ნაკლოვანებების შესახებ ინფორმაციის მოპოვების შემთხვევაში დაგვიკავშირდეთ ტელეფონზე 56-31-41.

მეუღლე დოდო შუბაშვილი, შვილები მარინა, დათო გაფრინდაშვილები, შვილიშვილი დათო ბასილაძე, სიძე მერაბ ბასილაძე, ძმები სულიკო, ელგუჯა გაფრინდაშვილები, რძალი იზო რიქამაძე, ძმისწულები ლელა, თეონა გაფრინდაშვილები მეუღლეებით, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

უშანგი პიმენის ძე გაფრინდაშვილი

პანაშვიდი 8, 9 IX, 17 სთ. გამოსვენება 10 IX, 14 სთ. გლდანის IV მ/რ. კერძო დასახლება, მორეტის ქ. №18ა (ყოფილი გაგარინის ქ.).

---

სპარტაკ და მანანა ქობულიები ოჯახით თანაუგრძნობენ ელგუჯა გაფრინდაშვილს ძვირფასი ძმის, ყოველმხრივ გამორჩეული პიროვნების

უშანგი გაფრინდაშვილის

გარდაცვალების გამო.

---



დედა მზია გოშაძე, ძმა გოჩა ცინცაძე, დეიდა ზეინაბ გოშაძე, ბიძა ოთარ ნემსიწვერიძე, დეიდაშვილები გიორგი, თამარ, ნინო ნემსიწვერიძეები, ბიძა ოთარ ცინცაძე, ბიცოლა ლია მახარაძე, ბიძაშვილები ნუგზარ, რუსუდან, ბესიკ, ნინო ცინცაძეები, მამიდა მარინე ცინცაძე, მამიდაშვილი ლადო მორგოშია, რძლები მაია გოგიბერიძე, ლილი მაისურაძე-მორგოშია, მაკა გვალია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზაზა დავითის ძე ცინცაძე

პანაშვიდი 8, 9, IX, 16 სთ. გამოსვენება 10 IX, 15 სთ. ი. ჭავჭავაძის გამზ. 62, მე-6 სად. ბინა 66.

---



შვილი დავითი, რძალი გურანდა ხვედელიანი, შვილიშვილები ნინო, ლადო იოსელიანები, თაკო, ნატო მახალდიანები, სიძეები გეგა მგალობლიშვილი, გიორგი საყვარელიძე, შვილთაშვილები ქეთევანი, ტასო, ლუკა, მძახლები ლენა ხვედელიანი, მანანა, ზურაბ მგალობლიშვილები, ეკა მამალაძე, ვალია მალცევა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიორგი დავითის ძე იოსელიანი

პანაშვიდი 8, 9 IX, 17 სთ. გამოსვენება 10 IX, 15 სთ. ვერიკო ანჯაფარიძის ქ. 9 (ფიქრის გორა).

---

კ. ერისთავის სახ. ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დაწესებულების ყოფილი საპატიო დირექტორი, აკადემიკოსი

გიორგი იოსელიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მედიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

გიორგი იოსელიანი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები დავით, იაკობ, გიორგი, რძლები ზიტა, ნინო, შვილიშვილები ზაზა, თენგიზ, ლაშა, ვლადიმერ, ბექა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვლადიმერ იაკობის ძე ზეზეშიძე

პანაშვიდი 8, 9 IX, 17 სთ. დაკრძალვა 10 IX, 14 სთ. მოსკოვის გამზირი, მე-2 კვ. კორპ. 2; ბინა 34.

---

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროსაინჟინრო სამსახურის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ტექნიკის რეგისტრაციის სამმართველოს უფროსი

ჯონდო შალვას ძე ალშაიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს პერინატოლოგთა და მეან-გინეკოლოგთა საზოგადოება, აკადემიკოს კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ექიმ მეან-გინეკოლოგ გურამ ნარსიძეს გარდაეცვალა დედა, ღვაწლმოსილი ექიმი მეან-გინეკოლოგი

მედეა ბაბოშიძე-ნარსიძე

და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.




# აქ შეიძლებოდა თქვენი რეკლამა ყოფილიყო!

## ყველაზე ხელსაყრელი და ეფექტიანი რეკლამა გაზეთში

მობრძანდით დედაქალაქის ცენტრში, კოსტავას 14, I სართული. დაგვიკავშირდით, ტელეფონი-ფაქსი 932813; ტელ: 931563. ვმუშაობთ ყოველდღე (კვირის გარდა) 10-დან 18 საათამდე.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „თანადგომა-1"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორის მოადგილე ალეკო ასლანიშვილი.
მორიგე რედაქტორი ელგუჯა ლეგანიძე.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

CYAN BLACK